დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2023 წლის 2 - 8 ოქტომბერი

N 43 1507

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## სადაა სამართლიანობა? ის არ არის!



20

იგორ კვესელავა: ამ ხელისუფლებამ საქართველოში სამართლიანობა იმიტომ ვერ აღადგინა, რომ გამსახურდიას მკვლელობა არ გახსნა!

## იგორ გიორგაძე: „ვფიქრობ, ამერიკა დათანხმდება გადატრიალებას და მაიდნის სცენარს!“



4-5

## ОСТОРОЖНО, СНАРЯД РАЗОРВАЛСЯ!



6-7

8

## მელიას გამოყოფა და ვაშაძის შეყოფა



შესაკრებთა გადანაცვლება

## ისევ ნაციონალები, მიხეილ?



24

## მაზაკვალის მაზაკვალი



19

## ნაციოპოზიციამ ლაზარეს მამის დუნდულებში ამოყო თავი!



2

გრიგორიადისმა, მისივე თქმით, ხელი მოისვა ორივე დუნდულაზე, საიდანაც სისხლი მოსდიოდა!

## ხაზარაძის უზორნიაში მოსახდენი მოხდა!



10-11

როგორც იქნა, პრემია „საბა“ ზაზა ბურჭულაძესაც მისცეს!

## უკრაინული ფაშიზმი ცოცხალია! 12

# ნაცოპოზიციამ ლაზარეს მამის დუნდულებში ამოყო თავი!

***ლაზარე გრიგორიადისზე** მოგეხსენებათ — მიმდინარე წლის მარტში, ე.წ. რუსულ კანონთან დაკავშირებული საპროტესტო აქციის დროს, სამართალდამცავებს „მოლოტოვის კოქტეილები“ რომ ესროლა და პოლიციის ავტომანქანები დაწვა, რისთვისაც დააპატიმრეს და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.*

ისიც იცით, რომ სანამ პოლიციის მანქანებს დაწვავდა და სამართალდამცავთა ცოცხლად დაწვას მოინდომებდა, **ლაზარე გრიგორიადისმა** ცივი იარაღით დუნდულაში დაჭრა საკუთარი მამა **ბექა გრიგორიადისი.** ეს ორი წლის წინათ მოხდა, ხოლო შვილის მიერ უკანალში დაჭრილმა ბექა გრიგორიადისმა გამოძიებას ასეთი ჩვენება მისცა:

*„ჯერ ერთ, შემდეგ მეორე დუნდულაზე ვიგრძენი ბასრი საგნის მოხვედრა. როდესაც მოვიხედე, დავინახე, ჩემს შვილს — **ლაზარე გრიგორიადისს,** მარჯვენა ხელში ეკავა დანა, რომელიც სისხლიანი იყო. ჩემი ძმა მაშინვე მოვიდა ჩემთან და მითხრა — დაგჭრაო? **მე ხელი მოვისვი ორივე დუნდულაზე** და ვნახე, რომ სისხლი მომდიოდა. ამ დროს ლაზარესთან მივიდა ჩემი ძმა და დაიჭირა, რათა არ მოსულიყო ჩემთან ახლოს. მე ძალიან დავიბენი, ვინაიდან ჩემთვის ჩემი შვილის საქციელი იყო აბსოლუტური მოულოდნელობა“.*

ჰოდა, სწორედ **მამის ორივე დუნდულაში დაჭრის გამო,** რაც სისხლის სამართლის კოდექსის ენაზე ოჯახში ჩადენილ ძალადობად კვალიფიცირდება, **ლაზარე გრიგორიადისს** გასულ კვირას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს — **სასამართლომ მას 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა!**

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, **ბექა გრიგორიადისს** ისეთი რა დუნდულები აქვს, რომ მათში დანის შერჭობა, თანაც — ღვიძლი შვილის მიერ, ქართული პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილად იქცა, თუმცა, ფაქტია, **რადიკალური ოპოზიცია მამის უკანალში დაჭრის გამო ლაზარე გრიგორიადისის გასამართლებას პოლიტიკურ დევნად განიხილავს.**

მაგალითად, **შარვალჩახდილი ზირჩი ჯაფარიძისა და რუბლგადახდილი ლიკაკა ხოშტარიას** პოლიტიკურმა პარტიებმა **მამის დუნდულების დასერვისათვის** გასამართლებულ **ლაზარე გრიგორიადისს** სოლიდარობა გამოუცხადეს და განაცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება **„ნათლად აჩვენებს საქმის პოლიტიზებასა და ცინიკურობას“.** მათვე ლაზარე გრიგორიადისს **„სისტემის მიერ მძევლად აყვანილი“** უწოდეს.



ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ვიდეომიმართვა, რომელიც **პრეზიდენტ ზურაბიშვილის** მიერ ცოტა ხნის წინათ შეწყალებულმა **ნიკა გვარამიამ** ლაზარე გრიგორიადისის გასამართლების კვალდაკვალ, ლიეტუვიდან გაავრცელა:

*„**ლაზარე გრიგორიადისი** დღეს არის ნამდვილად პირადი ტყვე რეჟიმის. მას მიუსაჯეს წელიწად-ნახევარი სრული სისულელისთვის, რამდენიმე წლის წინ დაწყებული საქმისთვის, რომელიც ეხება მასსა და მამამისს შორის შელაპარაკებას. **მიუსაჯეს იმიტომ, რომ იმყოფება პატიმრობაში აბსურდული „მოლოტოვის კოქტეილის“ საქმისთვის, რომელსაც ვერ უმტკიცებენ“.***



**ხედავთ, როგორ აკნინებს ნიკა გვარამია ბექა გრიგორიადისის დუნდულებს?** ლაზარესა და მამამისს შორის უბრალო შელაპარაკება მოხდაო... არადა, ბექას ჩვენება ხომ წაიკითხეთ, სადაც გასაგებად ამბობს — **ჯერ ერთ დუნდულაზე მოვისვი ხელი, მერე — მეორე დუნდულაზე და ორივე სისხლიანი მქონდაო!** ნიკა გვარამიავ, ეს არის „სრული სისულელე“ და ეს არის „შელაპარაკება“? **ვინ იცის, საწყალი ბექა რამდენ ხანს ვერ დებდა სკამსა და უნიტაზზე შვილის მიერ დასერილ დუნდულებს და რამდენ ხანს ვერ წვებოდა პირაღმა... ვინ იცის, როგორ იტანჯებოდა საცოდავი...** ვითომ ის არ ჰყოფნიდეს, მის დუნდულებს მისი შვილი ასე უდიერად რომ მოეპყრო და ახლა კიდევ გვარამია ცდილობს **ბექას საჯდომის** გაბიაბრუებას!

ასე არ შეიძლება, ბატონებო!

რაც შეეხება გვარამიას ნათქვამს — **ლაზარე გრიგორიადისს „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლას ვერ უმტკიცებენო,** ესეც მტკნარი სიცრუეა, რადგან **ლაზარე გრიგორიადისი** გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში თვითონვე აღიარებს, როგორ ესროლა ბენზინის ბომბები პოლიციელებს და როგორ დაწვა პოლიციის ავტომანქანები. აი, ფრაგმენტი მისი ჩვენებიდან:

*„პარლამენტის შენობის წინ მარცხენა მხარეს, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარე ტროტუარზე შევნიშნე, რომ განთავსებული იყო 2 შუშის ბოთლი, ხოლო მის გვერდით პლასტმასის ბოთლში განთავსებული იყო ბენზინი. **მე აღნიშნულ ბოთლებში ჩავასხი ბენზი-***




**ასეთი მაინც რა ხილია ეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომ მის დასაგემოვნებლად ხან მიხეილ სააკაშვილი უნდა გავუშვათ ციხიდან და ხან – ლაზარე გრიგორიადისი?**

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი*



როგორც ჯვარცმით არ დამთავრებულა მაცხოვრის ამქვეყნიური ყოფა, არამედ აღდგომითა და ამაღლებით, **ჩვენი ქვეყანაც, თუ ქრისტეს მცნებების ერთგული იქნება, აღდგება და ამაღლდება სულიერად,** აუცილებლად აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



2012 წლიდან ჩვენმა მთავრობამ **უწყვეტად და წარმატებით შეინარჩუნა მშვიდობა და სტაბილურობა,** რაც ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს.

რუსეთის მიერ **ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია** ჩვენი სახელმწიფოს უმთავრეს გამოწვევად რჩება, მჯერა, **მომავალი აფხაზთა და ქართველთა ერთობასა და მშვიდობას ეკუთვნის.**

„იმედინიუსი“

**მეუფე შიო**
*საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე*



ჩვენი მწუხარება სიხარულით შეიცვლება, **ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება და ჩვენსა და აფხაზებს შორის ისევ ძმობა აღდგება** — ერთადერთი გამოსავალი არის ურთიერთშენდობა, ურთიერთმონანიება, ურთიერთმისამძიმრება.

„ინტერპრესნიუსი“

**ბექა ოდიშარია**
*„ქართული ოცნების“ წევრი*



თუ **ბიძინა ივანიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოსვლას დააპირებს,** ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ — ასეთი გამოცდილების ადამიანი, ბუნებრივია, **კარგი იქნება თუ სამოქალაქო სექტორში იქნება.**

„ინტერპრესნიუსი“


ბექა გრიგორიადისი

# გრიგორიადისმა, მისივე თქმით, ხელი მოისვა ორივე დუნდულაზე, საიდანაც სისხლი მოსდიოდა!



***ნი, ავიღე ორივე ბენზინით სავსე მცირე ზომის შუშის ბოთლი და გადავინაცვლე 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ სწორედ იმ ადგილას, სადაც პოლიციის კორდონი იყო გამაგრებული... ბენზინის შუშის ბოთლში განთავსებით კუსტარულად დავამზადე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი იმ მიზნით, რომ აქციის მონაწილეებსა და პოლიციის კორდონს შორის არსებული აგრესია და დაპირისპირება გამენეიტრალებინა...*** *ბენზინით სავსე შუშის ბოთლი ვისროლე პოლიციის კორდონსა და აქციის მონაწილეებს შორის, რასაც მოჰყვა ბოთლის აალება და მისი მსხვრევა“.*

**გრიგორიადისი** ჩვენებაში იმასაც დეტალურად ყვება, თუ როგორ დაწვა ქაშუეთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარი პოლიციის მანქანებიდან ერთ-ერთი:

***„თეთრი ფერის „შკოდას“ მარკის ავტომობილს, რომლის სახელმწიფო ნომერი არ მახსოვს, წავუკიდე ცეცხლი. კერძოდ, თან მქონდა ბენზინის ბოთლი, რომელიც გადავასხი აღნიშნულ ავტომობილს და სანთებლით წავუკიდე ცეცხლი“.***

გვარამია კი იძახის — **ლაზარე გრიგორიადისს** „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლას ვერ უმტკიცებენო!

თუმცა, ეს კიდევ არაფერია იმასთან, რასაც იგივე გვარამია იმავე ვიდეოში ამბობს — **საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება იმაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ლაზარე გრიგორიადისის პატიმრობიდან დახსნასო:**

*„გვეკუთვნის კანდიდატის სტატუსი? — ვნახოთ. თუ ვათავისუფლებთ ადამიანს, ვინც ტყვეობაში იმყოფება, მაშინ ვიმსჯელოთ ამაზე“.*

მანვე **სალომე ზურაბიშვილს** ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებისაკენ მოუწოდა და თქვა — **სწორედ მისნაირი თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდების შეწყალება იქნება ნიშანი, რომ საქართველოში ვინმე მაინც სცემს პატივს თავისუფლებას და ამის გამო გვეკუთვნის კანდიდატის სტატუსიო!**

არა, ასეთი მაინც რა ხილია ეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომ მის დასაგემოვნებლად ხან **მიხეილ სააკაშვილი** უნდა გავუშვათ ციხიდან და ხან — **ლაზარე გრიგორიადისი?**

თუ გვარამია და ნაცები მართალს ამბობენ და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების გზა მიხეილ სააკაშვილის კუჭის მოქმედებასა და ბექა გრიგორიადისის დუნდულებზე გადის, **მაშინ ვაი, ასეთ ევროკავშირს და უი, ასეთ საქართველოს!**

არადა, ევროპარლამენტარი **ვიოლა ფონ კრამონი** ბრიუსელიდან თბილისში რამდენჯერმე საგანგებოდ ჩამოვიდა სწორედ იმისათვის, რომ ლაზარე გრიგორიადისის გათავისუფლების მოთხოვნით გამართულ აქციებში მიეღო მონაწილეობა!

და კიდევ, **ნიკა გვარამიამ** ვიდეომიმართვაში განაცხადა:

***„მე ვარ ლაზარე, შენ ხარ ლაზარე, ყველანი ვართ ლაზარეები და ვისაც თავისუფლება გვიყვარს, ყველანი ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს ბიჭი გარეთ გამოვიდეს“.***

ახლა ამაზე რისი თქმა შეიძლება?

პრინციპში, ლოგიკურია, როცა ნიკა გვარამია ამბობს — **მე ვარ ლაზარეო,** რადგან **ლაზარემ საკუთარი მამა დუნდულებში თუ დაჭრა, ნიკამ საკუთარ მამას ძაღლი დაამარხა!**

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — **ნაცოპოზიციამ, ბოლოს და ბოლოს, ლაზარეს მამის დუნდულებში ამოყო თავი!**

ხომ წერს ჩვენებაში **ბექა გრიგორიადისი — ორივე დუნდულაზე ხელი მოვისვი და ვნახე, რომ სისხლი მომდიოდაო! ჰოდა, ბექა გრიგორიადისი ახლაც თუ მოისვამს ხელს დუნდულებზე, იქ მთელ ნაცოპოზიციას ნახავს!**

ნაცოპოზიციისათვის უკეთესი ნავსაყუდელი დედამიწის ზურგზე არც არსებობს!

**ჯაბა ხუბუა**

## ლოგიკურია, როცა ნიკა გვარამია ამბობს: მე ვარ ლაზარეო, რადგან ლაზარემ საკუთარი მამა დუნდულებში თუ დაჭრა, ნიკამ საკუთარ მამას ძაღლი დაამარხა!


ნიკა გვარამიას ვიდეოჩართვა ლიეტუვიდან ლაზარე გრიგორიადისის გათავისუფლების მოთხოვნით

## თუ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების გზა მიხეილ სააკაშვილის კუჭის მოქმედებასა და ბექა გრიგორიადისის დუნდულებზე გადის, მაშინ ვაი, ასეთ ევროკავშირს და უი, ასეთ საქართველოს!


ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის წინ, ლაზარე გრიგორიადისის მხარდასაჭერ აქციაზე

## კვირგვინოსნები


შალვა პაპუაშვილი
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**სალომე ზურაბიშვილს** შეუძლია, თავისუფლად გადაადგილდეს, ნებისმიერ ქვეყანაში წავიდეს და იაროს, სადაც მას სურს, თუმცა, **ის საქართველოს არ წარმოადგენს.**

„აიპრესი“


რამაზ საყვარელიძე
*პოლიტოლოგი*

„ქართული ოცნება“ საარჩევნოდ **ღარიბაშვილისა და კობახიძის** გუნდებად გაიყოფა, რომლებიც **ერთმანეთის კონკურენტები იქნებიან** არჩევნებზე.

„ახალი თაობა“


ირაკლი მელაშვილი
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*

თუ ოპოზიციამ ასე გააგრძელა, **2024 წლის არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში შეიძლება უფრო მეტი მანდატი მიიღოს,** ვიდრე ახლა აქვს.

„ინტერპრესნიუსი“


დიმიტრი ხუნდაძე
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

**დეპოლარიზაციის დავალება კი მოგვცეს,** მაგრამ ყველაფერი კეთდება ამ დავალების მომცემების მიერ, რომ **ქვეყანაში პოლარიზაცია არ დასრულდეს.**

„იმედინიუსი“




**„ვფიქრობ, ამერიკა დათანხმდება გადატრიალებას და მაიდნის სცენარს. ეს სადღაც 65 პროცენტია 35-ზე, გადატრიალების სასარგებლოდ!“**




*სექტემბრის მიწურულს ცნობილი ჟურნალისტის ნადანა ფრიდრიხსონის ინტერვიუმ საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრთან იგორ გიორგაძესთან მსმენელისა და მაყურებლის სერიოზული ყურადღება მიიპყრო და ქართველ მკითხველსაც ვაძლევთ მისი გაცნობის საშუალებას.*

## იგორ გიორგაძე:

# სამწუხაროდ, ხელისუფლება ჯერჯერობით არ შემობრუნებულა მთავარი საკითხისაკენ, რასაც ჰქვია სამართლიანობის აღდგენა!

**— გმადლობთ, რომ გამოძებნეთ დრო ჩვენთან სასაუბროდ. მოვლენები მწვავეა ჩვენთან და, ვგონებ, საქართველოშიც. უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ ქვეყანაში მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, სახელდება კონკრეტული პირები, მაგალითად, ვანო მერაბიშვილი — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თავკაცი, აგრეთვე „ქართული ლეგიონი“, სხვანი და სხვანი... მიგაჩნიათ, რომ სახელმწიფო გადატრიალება მართლაც შესაძლებელია?**

— მოდით, დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების განხილვა მსოფლიო გეოპოლიტიკური პროცესებისგან დამოუკიდებლად შეუძლებელია. 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროიდან, რომელიც მოწყობილი იყო აშშ-ის გავლენის აგენტის **შევარდნაძის** მიერ, ხელისუფლების ცვლა საქართველოში არასოდეს ყოფილა ბოლომდე ლეგიტიმური. ამიტომაც თუ გადატრიალება მზადდება, ეს სავსებით რეალურია. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამ გადატრიალების ინიციატორთა წინააღმდეგია. **ეს ის უმცირესობაა, ვინც იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში და წარმოადგენს სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენებს.** და როგორც ყოველთვის იყო ისტორიაში, კარგი ხალხი მეტია, ხოლო ცუდები უკეთ არიან ორგანიზებულნი. ამიტომაც ყველაფერს, რაც ახლა ხდება, აქვს რეალური საფუძველი.

როგორც უკვე ვთქვი, 1992 წელს შევარდნაძის მოსვლის შემდეგ საქართველო იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სრული პროტექტორატის ქვეშ. დიახ, აშშ დღემდე სრულად აკონტროლებს საქართველოში არსებულ სიტუაციას. რაც შეეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ღარიბაშვილის** მცდელობას, გაატაროს ის პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, ის ვერ ჯდება იმ ტრაფარეტში, რომელიც დააწესა ამერიკელმა ძია სემმა. მას სწადია, რომ რუსეთი გარშემორტყმული იყოს არა მხოლოდ ბიოლაბორატორიებით, არამედ მის პერიმეტრზე არსებული მტრული რეჟიმებით.

**— მათ სურთ, დასაჯონ ღარიბაშვილი...**

— მათ არ შეუძლიათ, აპატიონ მას ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგა თუნდაც **მეორე ფრონტის გახსნაზე უარის თქმით.** წარმოგიდგენიათ, როგორი დანაშაულია ეს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების წინააღმდეგ? ნუ მკითხავთ, როგორ ან საიდან, მაგრამ მე ძალიან მოკლედ გადმოგცემთ იმ საუბრის შინაარსს, რომელიც შედგა **პრემიერ ღარიბაშვილსა და ამერიკის ელჩუკას შორის.**

*Ის: — ბატონო პრემიერო, თქვენ ახლა გაქვთ შესანიშნავი შანსი, აღადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთი მთლიანად დაკავებულია უკრაინით, მას არ სცალია თქვენთვის და შეგიძლიათ, მიიღოთ ზომები ტერიტორიების დასაბრუნებლად. ჩვენ ამაში მხარს დაგიჭერთ.*

*ღარიბაშვილი: — ბოდიშს გიხდით, მაგრამ რუსეთს, თუნდაც დაჭრილს და ძირს გართხმულს, ხელის ერთი აქნევით შეუძლია თბილისის დაბომბვა.*

*Ის: — არაფერია, ჩვენ აღვადგენთ!*

*ღარიბაშვილი: — მაგრამ ხალხი?*

*Ის: — ხომ იცით, დემოკრატიისათვის ბრძოლა უსისხლოდ წარმოუდგენელია!*

*ღარიბაშვილი: — მე არ წავალ ჩემი ხალხის ნების წინააღმდეგ და არ გავიმეორებ იმას, რაც უკვე გადავიტანეთ — ეს იყო სამოქალაქო ომი, საქართველო-აფხაზეთის და საქართველო-ოსეთის ომები... ჩვენ გავიარეთ ეს გზა...*

თქვენი მონა-მორჩილი (**იგორ გიორგაძე.** რედ.) იმხანად იმყოფებოდა თბილისში და საკუთარი თვალით იხილა ეს პროცესები, ყველაზე საშინელი ხომ სამოქალაქო ომია...

და **ღარიბაშვილი** ამბობს:

*— ეს არ შედის ქართველი ერის ინტერესებში და მე ამას არ გავაკეთებ...*

— ოპა... ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება იქ, პოტომაკის ნაპირებზე?

**— ისინი მართლა აპირებენ „ქართული ლეგიონის“ გადმოსროლას და სისხლისღვრას? ასე ვთქვათ, მეორე მაიდანს?**

— „ქართულ ლეგიონთან“ დაკავშირებით მინდა ვთქვა: **ისინი ქართველები არ არიან. ისინი არიან ნაცისტები და ფაშისტები ქართული გვარებით.** არცერთ მათგანს არა აქვს უფლება, იწოდებოდეს ქართველად. ვინც ხელში აიღო იარაღი და დადგა ნაცისტთა მხარეს, ერთბაშად დაკარგა ეს უფლება, თანაც თავიანთ ნაციონალურ გმირად გამოაცხადეს **ბანდერა!** ეს არის ხალხი, რომელიც ჩადგა მათ რიგებში, ვისი წინაპრებიც სპობდნენ ებრაელებს, ბოშებს, ზოგადად, სლავებს!

**— მოდით, ვუწოდოთ ამ ხალხს ბოევიკები. ისინი არიან გაწვრთნილნი, სპეციალურად მომზადებულნი...**

— რაც მთავარია, მათ აქვთ მოტივაცია იდეოლოგიურიც და ფინანსურიც, ხოლო მათი ლიდერი დატუსაღებულია 3-ოთახიან ლუქსში, ექიმთა ზედამხედველობის ქვეშ... სააკაშვილზე ვლაპარაკობ, რომელსაც სურს, დაბრუნდეს ხელისუფლებაში თავისნაირებთან ერთად. ავიღოთ, მაგალითად, **ვანო მერაბიშვილი,** რომელიც გვამებს, გვამებს და კიდევ გვამებს ითხოვდა. ქართველებმა კარგად იციან ეს ისტორია...

**აპატიებდა კი ამერიკა ღარიბაშვილს ასეთ პოლიტიკას — მეორე ფრონტის გახსნაზე უარის თქმას?** ყოველივე ამის შემდეგ რუსეთმაც გადადგა საპასუხო ნაბიჯი — რუსეთის პრეზიდენტმა მოხსნა სავიზო შეზღუდვა საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში, აღდგა ფრენები... და უნდა იყო არათუ იდიოტი, არამედ იმ ხალხის მტერი, ვისი პრეზიდენტიც ხარ **(ვგულისხმობ ამჟამინდელ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს).** მან თქვა, რომ ეს შეზღუდვების მოხსნა მიუღებელია ქართველი ხალხისათვის. ხომ წარმოგიდგენიათ — მილიონი ქართველი რუსეთშია, მაგრამ, თურმე, მიუღებელია მათი ჩამოფრენა საქართველოში, რადგან კრემლის იდეების მატარებლები არიან და შეუძლიათ, გადატრიალება მოაწყონ... არადა, ის რომ საქართველო ამდენი წელია, იმყოფება იმ ადამიანების კმაყოფაზე, ვინც რუსეთში და, ზოგადად, საზღვარგარეთ მუშაობს, პრეზიდენტს არ აღელვებს. აკი, შვილებიც კეთილმოწყობილი ჰყავს, დაეხეტება მთელ მსოფლიოში და სურს რაღაც პრესტიჟული საერთაშორისო პოსტი. მოკლედ, მიუფურთხებია ქართველთა ბედისათვის... და თუ ამერიკელები უბრძანებენ, რომ გადატრიალების სათავეში ჩადგომაა საჭირო, იგი სადღაც ჩირგვებიდან წამოიყვირებს, სწორედაც რომ გადატრიალებაა აუცილებელი!

**„იმ მდგომარეობაში, როგორშიც მე ვიმყოფები, არის ათი ათასობით საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც ჩამოერთვათ ქონება - „ბუტკიდან“ დაწყებული ფაბრიკა-ქარხნებამდე!“**

**— და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და როგორ შეიძლება ამოქმედდეს საკუთრივ გადატრიალების მექანიზმი?**

— ვიხსენებ **ჟვანეცკის:** — აი, **ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივედით მთავართან!**

დღემდე „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იდგა იმაზე, რომ ხალხს ეუბნებოდნენ — თუ არა ჩვენ, მოვა სააკაშვილი. გჭირდებათ კი ციხეები, სადაც აწამებდნენ პატიმრებს? გჭირდებათ კი ქუჩებში ხალხის დახვრეტა და ქონების ჩამორთმევა? თუ არადა, ხმა მოგვეცით! და ხალხიც აძლევდა ხმას.

ახლა კი ვითარება ასეთია: ვფიქრობ, ამერიკა დათანხმდება გადატრიალებას და მაიდნის სცენარს. ეს სადღაც 65 პროცენტია 35-ზე, გადატრიალების სასარგებლოდ...

**— და გადატრიალების მიზეზი გახდება საქართველოს გაწევრების საკითხი ევროკავშირში?**

— თუ ეს ჩაჯდება ამერიკის ინტერესებში, ასეც იქნება! რაც შეეხება ხელისუფლებას, ის 2012 წელს სამართლიანობის აღდგენის ტალღაზე მოვიდა. მარტო ჩემი პარტიის 27 ათას წევრს **(ვგულისხმობ პარტია „სამართლიანობას“)** ჰქონდა პარტიული ბილეთი და ამ ადამიანების ხვედრი შევარდნაძის მხრიდან **(ბოდიში ეს ფრონდისტული წამოცდომაა),** უფრო სწორად, სააკაშვილის მხრიდან, იყო ციხე! ასე რომ, ყველა, ვინც მხარს უჭერდა სამართლიანობის იდეას საქართველოში, დადგა „ქართული ოცნების“ მხარეს.

**და სადაა სამართლიანობა? ის არ არის!**

ხალხი 2012 წლიდან მოითხოვს სააკაშვილის მიერ წართმეული ქონების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ და ვისთან მიდის ის? — პროკურორთან, რომელსაც თავის დროზე გამოჰქონდა გადაწყვეტილება ჩამორთმევის შესახებ. შემდეგ ამერიკელებმა მოითხოვეს კოჰაბიტაცია, რის შედეგადაც სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და ძალოვან სტრუქტურებში დატოვეს ძველი კადრები, რის გამოც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს მოსახლეობის მხარდაჭერის დეფიციტი. ცხადია,

**ხალხს არ სურს სააკაშვილის რეჟიმის დაბრუნება, მაგრამ არც ის უნდა, რომ ამბრაზურასავით გადაეფაროს იმ ხელისუფლებას, რომელმაც არ შეასრულა თავისი სიტყვა და დაპირებანი.**

მხარდამჭერები ცხადია, დარჩნენ, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა მათი რიცხვი 2012 წელთან შედარებით. ამიტომაც სამხედრო გადატრიალება მის მოსურნეთა სერიოზული ზეწოლის პირობებში **(მე არ ვამბობ, რომ ეს მცდელობა წარმატებული იქნება!)** ძალიანაც დასაშვებია.

დღეს ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რადგან ტალღა მართლაც შეიძლება უკრაინიდან დაიძრას **(და ეს არ იქნება მხოლოდ „ქართული ლეგიონი“. ამერიკელები მას მიამაგრებენ დაქირავებულებსაც, აზოველებსაც...)** და რა ხდება ამ დროს საქართველოში, სადაც მრავლად არიან იგივე აზოველები, თანაც ქართული სახელმწიფო უხდის ფულს, როგორც ლტოლვილებს.

**— ღარიბაშვილი ივანიშვილის კაცია. მან იცის, რომ „ქართულმა ოც-**



ნებამ" არ გამართლა, იცის მოსალოდნელი საფრთხის შესახებაც... მაშ, რატომ ჩადგა ოპოზიციაში? თუნდაც არსობრივად ივანიშვილის წინააღმდეგ?**

— ის არაა ოპოზიციაში.

**— კი მაგრამ, ის ხომ არ დათანხმდა აშშ-ის პირობებს?**

— მე ვფიქრობ, რომ ეს შეთანხმებული იყო ივანიშვილთან, რადგან ხალხის რეაქცია მეორე ფრონტის გახსნის გამო შეიძლება ყოფილიყო გაცილებით საშიში ივანიშვილისთვის, ვიდრე თუნდაც სააკაშვილის დაბრუნება.

**— და რისთვის ირჯება ივანიშვილი? ის მსხვილი ბიზნესმენია და დღემდე ქართული პოლიტიკის „რუხ კარდინალად" მიიჩნევა. მას სურს ჩვენთან მოლაპარაკება. იგი ფლობს აქტივებს საფრანგეთში... ის აშშ-ის კაცია...**

— თქვენ უკვე გაეცით პასუხი საკუთარ შეკითხვას — რას უნდა აღწევდეს ადამიანი, რომელსაც სასწორზე უდევს მთელი თავისი აქტივები და არამარტო „ფორბსის" სიიდან განდევნა... ის, ცხადია, იღებს სათანადო ზომებს და არ სურს, გალატაკდეს.

**— ესე იგი, ის მზადაა, გაეთამაშოს სახელმწიფო გადატრიალებას და, ასე ვთქვათ, კარნახობს თავის პირობებს ღარიბაშვილის პირით?**

— არა, არავითარ შემთხვევაში! თქვენ იკითხეთ, რატომ თქვა უარი **ღარიბაშვილმა** მეორე ფრონტის გახსნაზე, არადა, ამ კუთხით ივანიშვილის ინტერესები მის ინტერესებს ემთხვევა. **ხალხი, რომელიც ამჟამად თანაუგრძნობს რუსეთს, ანუ მსოფლიოს იმ მართლმადიდებლურ კუნძულს, რომელსაც იგი საქართველოსთვის წარმოადგენს, დღეს უმრავლესობის რიგებშია.** ეს ხალხი შეიძლება დაირაზმოს მათ წინააღმდეგ, ვინც გახსნის მეორე ფრონტს. ასე რომ, ღარიბაშვილის, ივანიშვილისა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა! დიახ, დღეს საქართველო ვერ გაუძლებს ვერანაირ ომს, ვერც სამოქალაქოს და, მითუმეტეს, ომს რუსეთთან!

**— კი მაგრამ, ამერიკელებს შეუძლიათ, ზეწოლა მოახდინონ ივანიშვილზე. მისი აქტივები ხომ მათ ხელშია! ნებისმიერ მომენტში შეიძლება უთხრან კიდეც — შენ იქნები ან რენატ ახმეტოვის მდგომარეობაში, რომელიც ცხოვრობს ევროპაში და მშვიდად მიირთმევს ღვინოს ან როგორც კოლომოისკი... აირჩიე! ვფიქრობ, ივანიშვილი ახმეტოვის ხვედრს აირჩევს.**

— მოდით, ეს არჩევანი მას თავად დავუტოვოთ! არადა, სინამდვილეში ეს მომენტი მართლაც დადგება... **მე მხარს ვუჭერდი ივანიშვილს მთელი ოთხი წელი, როცა მისი ხელისუფლება არც კი იხილავდა ჩემს მდგომარეობას...** მხოლოდ 2016 წელს შეწყვიტა „ინტერპოლმა" ჩემზე საერთაშორისო ძებნა პოლიტიკური მიმართულებით. ანუ ითქვა, რომ ეს წმინდა პოლიტიკური თემაა, ყოველგვარი დანაშაულის ნიშნების გარეშე. არადა, საქართველოში მე-8 წელია, მიდის სასამართლო ჩემს საკითხზე. არსებობს კი ასეთი პრეცედენტი? მე მთელი 4 წლის მანძილზე ადვოკატთა საშუალებით ვაგროვებდი მასალებს, რომ საქართველოს პროკურატურას აღეძრა საქმე ჩემს წინააღმდეგ და განეხილა სასამართლოს. მაგრამ არა... მე მეძებნე საქართველოში იმ ეჭვის საფუძველზე, რომელიც წინასწარი გამოძიების ფარგლებში გამოითქვა რაღაც აფეთქებასთან დაკავშირებით...

აქვე უნდა ითქვას — **იმ მდგომარეობაში, როგორშიც მე ვიმყოფები, არის ათი ათასობით საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც ჩამოერთვათ ქონება — უბრალო „ბუტკიდან" დაწყებული ფაბრიკა-ქარხნებამდე...** კი, ვიღაცას ხმაურით დაუბრუნეს წართმეული, სხვები კი დღემდე ელიან... მათ შორის არიან უსამართლოდ მსჯავრდებულნი, მუდმივ პატიმრობაში მყოფნი, სხვანი და სხვანი... არადა,

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამოტანილი განაჩენებისათვის არავის გადაუხედავს, რადგან თუ საქმე ხელმეორედ დაბრუნდება ძიებაში, პროკურორები და მოსამართლენი, რომლებმაც უარი თქვეს, გადაესინჯათ ეს საქმეები, ციხეში უნდა აღმოჩნდნენ!**

მაგრამ როგორ? **ეს ხალხი უკვე შეეზარდა ხელისუფლებას, ანუ სააკაშვილის მემკვიდრეობა შეიკედლა დღევანდელმა მმართველობამ!** მოკლედ, ყველაფერი ძალიან რთულადაა გადაწნული ერთმანეთთან. ასე რომ, მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების ფინალიც ძალიან პრობლემატურია —

**დღეს ხელისუფლების დაცვა გაცილებით ძნელი იქნება!**

დიახ, სამწუხაროდ, ხელისუფლება ჯერჯერობით არ შემობრუნებულა მთავარი საკითხისაკენ, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია! არადა, სახელმწიფო, რომელიც ცხოვრობს უსამართლობის კოორდინატებში, არამყარია! მას არ ჰყავს დამცველი, რომელიც პირველი დაძახებისთანავე დადგება მის გვერდით!

**— გამოდის, რომ სახელმწიფო გადატრიალების თემა მხოლოდ დროის საკითხია?**

*გაგრძელება იქნება*

# „სადაა სამართლიანობა? ის არ არის!"



# ბაიდენის ძაღლები და ძაღლიშვილები



## ბაიდენსა და თავის პირად მცველებს ხან კომანდერი კბენს, ხან – ჩემპი და ხანაც – მეიჯორი!

***წინა კვირას პრეზიდენტ ბაიდენის გერმანულმა ნაგაზმა კომანდერმა საიდუმლო სამსახურის აგენტი დაკბინა!***

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თეთრ სახლში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ასე, მაგალითად, 2015 წელს, ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას, ბაიდენს ტუჩზე დააძგერდა თავისი გერმანული ნაგაზი **ჩემპი,** ხოლო 2021 წელს პრეზიდენტი დაკბინა თავისმა მეორე გერმანულმა ნაგაზმა **მეიჯორმა,** რომელსაც დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის სახელი ჰქვია.

სხვათაშორის, **ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის ოთხფეხა სეხნიის მიერ პრეზიდენტ ბაიდენის დაკბენის ფაქტი, ჩვენი მოკრძალებული აზრით, სიმბოლური დატვირთვის მატარებელია და იმ შიდა კონკურენციაზე მიგვანიშნებს, რაც ორ ანგლოსაქსურ იმპერიას შორის არსებობს.** საქმე ის გახლავთ, რომ ნაპოლეონის ომების შემდეგ ბრიტანეთი მიხვდა, მსოფლიოზე ბატონობას ვერ შეინარჩუნებდა, თუ არ მოახდენდა იმპერიისთვის ახალი სისხლის გადასხმას, ანუ არ შექმნიდა თავის **პოლიტიკურ ძაღლიშვილს.** ამერიკის შეერთებული შტატების იმპერია სწორედ დიდი ბრიტანეთის ძაღლიშვილია... ამდენად, 2021 წელს **მეიჯორის მიერ ბაიდენის დაკბენის ფაქტი** გეოპოლიტიკურ „ტრფობა წამებულად" უნდა შევაფასოთ, რომელიც ლონდონსა და ვაშინგტონს აკავშირებთ.

როგორც ამერიკელი სტატისტები და პედანტები წერენ, ეს უკვე მეთერთმეტე შემთხვევაა, როცა ბაიდენსა და თავის პირად მცველებს ხან კომანდერი კბენს, ხან — ჩემპი და ხანაც — მეიჯორი, რომელიც პრეზიდენტს, თავისმა მამამ მოუყვანა.

მოკლედ, პლანეტის ბედი გაურკვეველია, რადგან ყველა უბედურება ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია... კერძოდ, **მეიჯორი, ჩემპი და კომანდერი** ბაიდენსა და მის უახლოეს გარემოცვას კბენენ მაშინ, როცა ბაიდენის **„კამანდირებისგან"** მთელი მსოფლიო დაკბენილია. მართლაც, უკრაინაშიც, ავღანეთშიც, სირიაშიც, ტაივანშიც, ლათინურ ამერიკაშიც, საქართველოშიც, შუა აზიაშიც, ევროპასა და თვით ამერიკაშიც კი, სადაც კარგა ხანია, ლგბტ დიქტატურა დამყარდა და თეთრები ზანგებს ემონებიან, რადიკალურ და სისხლიან სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს თავიდან ბოლომდე სწორედ ბაიდენის ადგილობრივი „კამანდირები" მართავენ. **ბაიდენის „კამანდირებისგან" განსხვავებით, გერმანული ნაგაზი კომანდერი აბსოლუტურად უწყინარი, საყვარელი და მშვიდობიანი არსებაა, რომელსაც არც უკრაინა დაუღუპავს და არც ლიბიაში, ავღანეთსა და ერაყში დაუტრიალებია ცოდვის კალო.** საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კომანდერის, ჩემპისა და მეიჯორის გარდა, ბაიდენსა და მის გარემოცვას სხვა უჩინარი ძაღლები თუ ძაღლიშვილებიც ჰყავთ, რომელთა ნაკბენიც არ რჩება.

საერთოდ, პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ **ძაღლი, რომელიც პატრონს ვერ ცნობს და კბენს, მოსაშორებელი ან მოსაკვდომია. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის უძველესი ოთხფეხა მეგობარი დანაშაულს აუცილებლად გაიმეორებს და პატრონის სისხლს არაერთხელ დაღვრის.** აი, მაგალითად, კოტე ყუბანეიშვილს თავისმა ძაღლმა ყური რომ მოაჭამა და არ დაისაჯა, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, იმის შემდეგ გათამამებული ცხოველი პოეტს სხვა უხერხულ ადგილებშიც არაერთხელ დაებღლვნა.

ისიც ცნობილია, რომ ცხოველმა და განსაკუთრებით ძაღლმა, შეყვარება იცის... აი, მაგალითად, ქურდბაცაცა ნიკოტა გვარამიას, რომელმაც ტელევიზია გაძარცვა, თავისი ძაღლი ისე უყვარდა, რომ მოკვდა თუ არა, მაშინვე მამამისს, ცხონებულ **ანზორ გვარამიას** დაამარხა გულზე, ხოლო **თავად გამხმარ მკერდზე ძაღლიშვილ ლაზარე გრიგორიადისის სურათი მიიხატა,** რომელიც 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი აქციების დროს რუსთაველის პროსპექტზე „მოლოტოვის კოქტეილს" ისროდა და პოლიციელებს ცოცხლად დაწვას უპირებდა. მოგეხსენებათ, **ძაღლიშვილობის** თემა დიდ პოლიტიკაში ამერიკის გამორჩეულმა პრეზიდენტმა **ფრანკლინ რუზველტმა** შემოიტანა, როცა ერთ-ერთი პრივატული საუბრის დროს ნიკარაგუის პრეზიდენტ **ანასტასიოს სომოსა გარსიაზე** ასეთი რამ თქვა — **სომოსა ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიაო!**

იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მსოფლიო პოლიტიკაში გლობალური ცვლილებები მოხდა — ბევრმა **ძაღლუმადურად** იცხოვრა და არავინ არაფერი დაუფასა, ბევრი **გაძაღლდა,** ხოლო ბევრიც **აძაღლდა...** საბოლოო ჯამში ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ — **შეერთებული შტატების ძაღლებითა და ძაღლიშვილებით მთელი მსოფლიო აივსო!** აი, მაგალითად, **ედუარდ შევარდნაძე** ამერიკის ცნობილი **ძაღლიშვილი** იყო, რომელსაც ჯერ საბჭოთა კავშირი დააქცევინეს, მერე — **ზვიად გამსახურდიას დამოუკიდებელი საქართველო,** ხოლო ბოლოს, როცა შეატყვეს, რომ მუხლიც მტყუნობდა და ხელებიც უკანკალებდა, **ახალგაზრდა ძაღლიშვილით — სააკაშვილითა და მისი ხროვით** ჩაანაცვლეს. სხვათაშორის, დანამდვილებით ვიცი, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შევარდნაძეს ნათქვამი აქვს — **სანამ სააკაშვილი ცოცხალი იქნება, მანამ საქართველო არ დაწყნარდება!** როგორც ჩანს, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ედუარდ შევარდნაძის პროგნოზი ასპროცენტიანი სიზუსტით ახდა. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი, რადგან მასზე უკეთ არავინ უწყოდა, თუ ვინ არის სააკაშვილი, რა მოუმზადება გაიარა მან, რათა **ძაღლიშვილობისთვის** მიეღწია და ვინ არიან ის **ძაღლიშვილები,** რომლებიც ქვეყანას გამუდმებით კბენენ.



იმედია, საქართველო ქვეყნის მტრების მიერ დაგეგმილ მორიგ პროვოკაციას გაუმკლავდება და იმ ბედნიერ დღეს დაელოდება, როცა **ძაღლები და ძაღლიშვილები** ვინმეს ვერც თეთრ სახლში დაკბენენ, ვერც ელისეის სასახლეში და ვერც სახელმწიფო კანცელარიაში.

**ვისურვოთ, მალე დადგეს დრო, როცა ამერიკაშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც ძაღლიშვილების ნაცვლად ხელისუფლებაში მამულიშვილები მოვლენ!**

*დიტო ჩუბინიძე*

*ყარაბაღის მესამე ომი, რომელიც 2023 წლის 19 სექტემბერს დაიწყო და სომხეთის სრული კაპიტულაციით, ფაქტობრივად, იმავე დღეს დამთავრდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ერთი საუკუნის შემდეგ თურქეთი კავკასიაში დაბრუნდა!*

# ОСТОРОЖНО, СНАРЯД РАЗОРВАЛСЯ!

**აზერბაიჯანმა სწორედ თურქეთის დახმარებით დაიბრუნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი და ის შვიდი შიდა რაიონი, რომელიც 1994 წლიდან მოყოლებული, სომხეთის მიერ იყო ოკუპირებული.**

ამაოდ აფრთხილებდა მტერსა და მოყვარეს **სომეხი მომღერალი კარენ ჰარუთუნიანი,** როცა მღეროდა — „Осторожно, снаряд разрывается, Осколки туда-сюда разлетаются!“

**ამ ექვსი წლის წინათ, 2017 წლის ივლის-აგვისტოში, „ასავალ-დასავალის“ 31-ე ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ სწორედ ამავე სახელწოდების წერილი** — „Осторожно, снаряд разрывается!“, **რომელშიც ამ სიმღერის გულუბრყვილო, მაგრამ ერთობ ამბიციური ტექსტიც ჩავრთეთ.** ტექსტი ასე ჟღერს:

„Вот звучит тревога
снова в Мартакерт,
Может быть больше
не увижу
Степанакерт...
Вот звучит тревога,
едем в Мартакерт,
Может быть больше
не увижу
Степанакерт...

**Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!**

Мы сидим на сопке
уже третий день.
Даже годы просидеть -
совсем не лень.
Вот сидим на сопке
уже третий день,
Даже годы просидеть -
совсем не лень.

**Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!
Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!**

Я сижу и заряжаю
магазин.
Здесь мои друзья
и здесь я - не один.
Вот сижу и заряжаю
магазин.
Здесь мои друзья
и здесь я - не один.

**Осторожно,
снаряд
разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!
Осторожно,
снаряд
разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!**

Азер начал бой,
но я не боюсь,
Вот закончу заряжать
и отобьюсь.
Азер начал бой,
но я не боюсь,
Вот закончу заряжать
и отобьюсь.

**Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!
Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!**

Брат, стреляет, в нас
стреляет миномет,
Не по-кайфу,
достаю я пулемет.
Брат, стреляет, в нас
стреляет миномет,
Ломки нет,
но достаю я пулемет.

**Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!
Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!**

Не видать вам азеры,
наш Карабах,
Никогда не подарить
вам наш Арцах!
Не видать вам азеры,
наш Карабах,
Никогда не подарить
вам наш Арцах!

**Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!
Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!**

Вот взучит тревога
снова в Мартакерт,
Может быть больше
не увижу
Степанакерт...
Вот звучит тревога -
едем в Мартакерт,
Может быть больше
не увижу Степанакерт.

**Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!
Осторожно,
снаряд разрывается,
Осколки туда-сюда
разлетаются!“**

**ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ 2017 წლის 21 ივლისს პუტინის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტი რუსული და სომხური არმიების ერთ საჯარისო ფორმირებაში გაერთიანების შესახებ საქართველოსაც დიდ საფრთხეს უქმნიდა და აზერბაიჯანსაც მკაცრად მიანიშნებდა, რომ ყარაბაღის კონფლიქტს კრემლის დასტურის გარეშე ვერავინ გადაწყვეტდა.** იმის შემდეგ ექვსი წელი გავიდა და, როგორც ვხედავთ, **კარენ ჰარუთუნიანის „სნარიადი“ გასკდა — სომხები ყარაბაღიდან გა-**

## ილჰამ ალიევმა გვიჩვენა, თუ როგორ უნდა დაიბრუნოს საქართველომ აფხაზეთი და ცხინვალი... აშკარაა, რომ მოსკოვის კეთილგანწყობის გარეშე ეს ვერ მოხდება!




## კვირგვინოსნები

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი*



**ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტა დადებითი მოვლენაა,** რადგან საერთაშორისო სამართლის **ტერიტორიული მთლიანობის პრინციპმა იზეიმა;** მკაფიოდ გამოჩნდა, რომ **სუვერენულ, ეროვნულ ინტერესებზე მორგებულ პოლიტიკას ალტერნატივა არა აქვს.**

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ხონელიძე**
*პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



**სად დევს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღები?** გასაღები ჩვენში, უფრო კონკრეტულად, **აფხაზეთში დევს!** აფხაზები აქ კი არ უნდა წამოვიყვანოთ, პირიქით, **ვეცადოთ, რომ აფხაზეთი არ დაიცალოს და ამაში სამეგრელოს ფაქტორი გამოვიყენოთ.** რეინტეგრაციის, **ერთიანი ქართული სივრცის შექმნის გარეშე** აფხაზების გადარჩენა, უკეთეს მომავალზე ფიქრი გამორიცხულია.

„საერთო გაზეთი“

**მამუკა ყურაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ქართველ კაცს აფხაზეთში საბოდიშო არაფერი ჩაუდენია, **აქეთ უნდა მოუხადონ ქართველებს ბოდიში** ეთნოწმენდისთვის და გენოციდისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკის მინისტრი*



გვწამს, რომ **აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან დიალოგის, თანამშრომლობის გზით** შევძლებთ 30 წლის წინათ ჩატეხილი ხიდის აღდგენას და **ერთიან, ძლიერ საქართველოში ცხოვრებას.**

„პირველი არხი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი*



ჩვენ სხვა მეზობელი არ გვყავს, **რუსეთი და თურქეთია** დიდი სახელმწიფოები — **ავირჩიოთ, ვისთან გვინდა.**

„კვირის პალიტრა“

# კარენ ჰარუთუნიანის «სნარიადი» გასკდა!

მოდევნეს!

ამ ექვსმა წელმა გვიჩვენა, რომ ალიევის ხელისუფლებამ კრემლთან იდეალური ურთიერთობა დაამყარა და მოსალოდნელ ომში აზერბაიჯანის სასარგებლოდ მოსკოვის ნეიტრალიტეტს მიაღწია, ხოლო სომხეთმა თავის დასაკლავი დანა თავად გამოთხარა, როცა ამერიკული „ცერეუს“ აგენტი ნიკოლ პაშინიანი ხელისუფლებაში მოიყვანა.

**სომხეთის დაღუპა სწორედ პაშინიანის სიტყვამ და საქმემ...** სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კრემლი საბოლოოდ მაშინ გადაიმტერა, როცა 2020 წლის ომში აზერბაიჯანთან განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ განაცხადა — **სტრატეგიული შეცდომაა, როცა სომხეთის უსაფრთხოების გარანტორად მხოლოდ რუსეთი და კრემლი შევარჩიეთო!** ამას დაემატა **პაშინიანის მეუღლის ვიზიტი უკრაინაში** და აშკარად რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებები, რამაც პუტინს პოლიტიკური გადაწყვეტილებისკენ უბიძგა და **„ოდეკაბეს“ წევრი სომხეთი კრემლის მიერ დაახლოებით ისე გაიწირა, როგორც 1915 წლის გაზაფხულზე თურქეთის იმპერიაში მცხოვრები სომხები რუსმა ავანტიურისტებმა გააქეზეს და გაწირეს.** მოგეხსენებათ, მაშინ თურქეთის დიდმა ვეზირმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა **თალაათ ფაშამ** ე.წ. **„საუკუნოვანი სომხური პრობლემა“** თურქეთის იმპერიას ერთ ღამეში მოუგვარა, **მთელი თურქეთის მასშტაბით სპეცოპერაცია ჩაატარა და დაახლოებით მილიონ-ნახევარი სომეხი ანატოლიის ცხელ უდაბნოში ტყვიით, წყურვილით თუ შიმშილით გაჟუჟა.** ამ საშინელ და წყევლაკრულვიან პროცესს სომხურად **„მეძ ეღერნ“** ჰქვია, რაც ქართულად **„დიდ ჩეხვას“** ნიშნავს!

**ის 170 ათასი სომეხი, რომელიც მთიან ყარაბაღში ცხოვრობდა და დღეს სომხეთისკენ მიემართება,**



ალიევის ხელისუფლებამ კრემლთან იდეალური ურთიერთობა დაამყარა და მოსალოდნელ ომში აზერბაიჯანის სასარგებლოდ მოსკოვის ნეიტრალიტეტს მიაღწია, ხოლო სომხეთმა თავის დასაკლავი დანა თავად გამოთხარა, როცა ამერიკული „ცერეუს“ აგენტი ნიკოლ პაშინიანი ხელისუფლებაში მოიყვანა!

**ზუსტად გაიზიარებს იმ ქართველების ბედს, რომლებიც ჩრდილო-კავკასიელმა ველურებმა, რუსმა სალდაფონებმა და სომეხმა ბაგრამიანელებმა აფხაზეთიდან გამოდევნეს და ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს.**

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, **ოფიციალური ერევანი უარს აცხადებს ყარაბაღიდან დევნილი სომხების მიღებაზე.** იმედია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არ გამოიჩენს ნოე ჟორდანიასეული ხელისუფლების სიბრიყვეს და საქართველოს ჭიშკარს არ გაუღებს სომეხ დევნილებს, რომლებსაც ისტორიულმა სამშობლომ მასპინძლობაზე უარი უთხრა. დიახ, **1915 წლის ცნობილი გენოციდის დროს, თურქეთის პროვინციებიდან გამოდევნილი სომხები სომხეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ არ შეიფარა, სამაგიეროდ, ჟორდანიას მთავრობამ მიიღო და შემოიხუნა დევნილები.** ამ სიკეთის სანაცვლოდ **1918 წლის დეკემბერში სომხებმა ომი დაგვიწყეს, სანაინთან ქართველ მესაზღვრეებს მუხანათურად თავს დაესხნენ, დახოცეს, მიცვალებულებს სასქესო ორგანოები მოაჭრეს და პირში ჩაუტენეს!**

**ილჰამ ალიევმა** თავისი ბრძნული პოლიტიკის წყალობით მოახერხა აზერბაიჯანის მთლიანობის აღდგენა და 4,4 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის დაბრუნება. **ალიევისვე განცხადებით, მთიან ყარაბაღში ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა სომხური ავტონომია, რომელსაც ნიკოლ პაშინიანი და მისი გარემოცვაც კი სომხეთის „კიბოს“ უწოდებდნენ.** სხვათაშორის,

**საქართველოს რეზიდენტ-პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აფხაზეთს „საქართველოს კიბოს“ უწოდებს, რომელიც, თურმე, მოსაშორებელია.**

სხვათაშორის, პრეზიდენტი **ლევონ ტერ-პეტროსიანი** სომხებს აფრთხილებდა, რომ ყარაბაღის ოკუპაცია ძვირად დაუჯდებოდათ და ქვეყანას მომავლისა და განვითარების პერსპექტივა მოესპობოდა. ამის გამო **1998 წელს პეტროსიანი სომხებმა დასაჯეს, მოკვეთეს და ხელისუფლებაში სწორედ არაღიარებული ე.წ. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ „პირველი პრეზიდენტი“ რობერტ ქოჩარიანი მოიყვანეს, რომელიც საქართველოში სტუმრობის დროს საავაშვილმა ბაკურიანში თხილამურებზე ძალით შესვა და ფეხი მოამტვრია!**

**750 ათასი აზერბაიჯანელი** გამოდევნეს თავის დროზე სომხებმა ყარაბაღიდან და იმ შვიდი შიდა რაიონიდან, რომელიც აზერბაიჯანს წაართვეს. **ის 750 ათასი კაცი დღეს 2 მილიონს აჭარბებს და ერთბაშად აითვისებს ყარაბაღს, რომელსაც ქართველები ძველთაგან სივნიეთს უწოდებდნენ და ორბელიანები მართავდნენ. საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველი დიდი** (1412-1442 წ.წ.) 1434-1435 წლებში **სივნიეთში, ანუ ყარაბაღში** ხმალს იქნევდა, რათა ამ ტერიტორიიდან სპარსული ტომები გაეძევებინა და ქვეყანა ისევ ერთიანი საქართველოს შემად-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კვირგვინოსნები



**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**მეორე ფრონტი** გახსნა **ალიევმა** და დაამთავრა, **რაღაც მაინც ვისწავლოთ,** ჩვენი მეზობლები არიან.

„TV პირველი“



**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*

იმედი მაქვს, მოვესწრებით დღეს, როცა **ერთად გადავალთ ენგურის ხიდზე და აფხაზეთშიც ვიმუშავებთ** ჩვენი მოქალაქეების უფლებებზე.

„პირველი არხი“



**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*

მე **არ გავლახულვარ,** მაგრამ **რომც გავლახულიყავი,** მერე რა?!

„კვირის პალიტრა“



**ბესიკ ალადაშვილი**
*უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი*

რაც უფრო **დიდი სიჭრელეა** პოლიტიკურ სპექტრში, მით უფრო იოლია **უცხო ქვეყნის სპეცსამსახურისთვის იქ შეღწევა და აგენტურული ქსელის შექმნა.**

„კვირის პალიტრა“



**ილია დარჩიაშვილი**
*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი*

ვალდებულებები დადგენილ ვადებში შესრულდება, **კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით** მხოლოდ დადებითი გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ.

„რეზონანსი“



**იულიან კიფუ**
*რუმინეთის კონფლიქტების პრევენციისა და დროული გაფრთხილების ცენტრის პრეზიდენტი*

რუმინეთი საქართველოსთვის არის **ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი, ნატოსა და ევროკავშირის გზაზე** თქვენი მხარდაჭერა ჩვენი სტრატეგიული ინტერესია.

„პირველი არხი“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

# კარენ ჰარუთუნიანის «სნარიადი» გასკდა!



ეთნიკური სომხები მასობრივად ტოვებენ მთიან ყარაბაღს. 2023 წლის სექტემბერი

# ОСТОРОЖНО, СНАРЯД РАЗОРВАЛСЯ!

გენლობაში დაემკვიდრებინა. **ეს ის დროა, როცა ეროვნება „აზერბაიჯანელი“ და სახელმწიფო „აზერბაიჯანი“ ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა, ხოლო სომხები, რომელთა სახელმწიფოებრიობაც ოთხას წელზე მეტის ხნის გამქრალი იყო, ერთმანეთს ცოცხლად ჭამდნენ.**

დიახ, სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს ხელმწიფე **ალექსანდრე დიდმა ყარაბაღი, ანუ სივნიეთი** საქართველოს დაუბრუნა, მე-15 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **თომა მეწოფეცი** (1378-1446 წ.წ.) წერდა: **„1431 წელს სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე, რომ შეჭამეს ძაღლები და კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებს და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს. მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის გვარიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს“** (თომა მეწოფეცი, „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლების“. თბილისი, 1987 წელი, გვერდი 62.)

ცხადია,

**სომეხი დევნილები, რომლებმაც თომა მეწოფეცის თქმით, ათასი კაცი შეჭამეს, საქართველოში დარჩნენ და მათ სამშობლოში დაბრუნება არც კი უფიქრიათ. იმ კაციჭამიების შთამომავალთაგან რამდენია დღეს გვარგადაკეთებული და გენეტიკური დივერსანტი და რამდენი გვიზის პარლამენტში, ღმერთმა უწყის.**

რაც შეეხება რუსეთის იმპერიასა და ყარაბაღს, ეს ტერიტორია სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარმა 1813 წელს **გულისტანის ზავით** ირანისგან მიითალა და ელიზავეტპოლის გუბერნიაში გააერთიანა. საერთოდ, ყარაბაღი სამი ნაწილისგან შედგება — **ზანგეზური, ყარაბაღის დაბლობი** და **მთიანი ყარაბაღი.** 1823 წელს რუსებმა მთელი ყარაბაღი აღწერეს და აღმოჩნდა, რომ მთიან ყარაბაღში მოსახლეობის **96 პროცენტს სომხები შეადგენდნენ, ხოლო მთლიანად ყარაბაღში მთელი მოსახლეობის 91 პროცენტი მუსლიმი იყო.** ეს სურათი არც





# საქართველომ უნდა იცოდეს, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ჩასულ გრიგოლ ურატაძეს სტალინმა ღიმილით ჰკითხა – „გრიშა, შენ მართლა გჯერა, რომ რუსეთი ბათუმს დათმობს?“

შემდეგ შეცვლილა, მაგრამ ამის მიუხედავად, **1923 წელს კრემლმა შექმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი,** რომლის მოსახლეობის 94 პროცენტი სომეხი იყო და ეს ტერიტორია საეშმაკოდ მაინცდამაინც აზერბაიჯანის შემადგენლობაში შეიყვანა. **საქართველოს ისტორიულ მიწაზე, შიდა ქართლში, სწორედ იმავე ზრახვებით, 1922 წლის აპრილში შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ დედაქალაქით ცხინვალი, სადაც 1917 წლის აღწერის თანახმად, არცერთი ოსი არ ცხოვრობდა.** უფრო მეტიც, მეფის ხელისუფლების დროს, ცხინვალში ოსი ეროვნების პიროვნება სავაჭროდ რომ შესულიყო, ადგილობრივ ქართველ ფეოდალისგან საგანგებო წერილობითი ნებართვა უნდა მიეღო. **ოსებით დასახლებული ერთადერთი პუნქტი მაშინდელი ცხინვალის თემში სოფელი ბუჯაბაური გახლდათ, სადაც 40 ოსი და 120-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა.**

მოკლედ, **ილჰამ ალიევმა** ფილიგრანული სიზუსტით იმოქმედა — **გვერდით ამოიყენა უფროსი ძმა — თურქეთი, ბრწყინვალე ურთიერთობა დაამყარა კრემლთან და სომხეთს თურქული დრონებით ყარაბაღი გამოგლიჯა.** ხოლო სადაც სხვისი მიწების მითვისება იარაღის გარეშეც შეიძლებოდა, **ილჰამმა** იქაც იყოჩაღა. მაგალითად, **საქართველოს მოღალატე პრეზიდენტი — სააკაშვილი** ილჰამ ალიევმა, დიდი ალბათობით, მოისყიდა — **ფული, ან „სოკარის“ წილი მისცა და სანაცვლოდ აზერბაიჯანს დავითგარეჯის სტრატეგიული სიმაღლეები — ჩიჩხიტურის კოშკი და მისი შემოგარენი შემოუღობა!**

**ილჰამ ალიევმა** გვიჩვენა, თუ როგორ უნდა დაიბრუნოს საქართველომ აფხაზეთი და ცხინვალი! აშკარაა, რომ მოსკოვის კეთილგანწყობის გარეშე ეს ვერ მოხდება და **ვერ მოხდება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველო თურქეთისთვის „სტრატეგიული პარტნიორისა“ და „ისტორიული მეგობრის“ იარლიყების მიწებებას არ მოეშვება.** საქართველომ უნდა იცოდეს, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ჩასულ **გრიგოლ ურატაძეს** სტალინმა ღიმილით ჰკითხა — **„გრიშა, შენ მართლა გჯერა, რომ რუსეთი ბათუმს დათმობს?“**

რუსეთი ბათუმს თურქეთს მართლაც არ დაუთმობს და ეს ყველამ იცოდეს! **საქართველომ ისიც უნდა იცოდეს, რომ 1920 წლის 28 იანვარს მიღებულ თურქეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, ანუ „ეროვნული აღთქმის“ დოკუმენტში მეორე პუნქტად ასეთი რამ არის ჩაწერილი:**

**ბათუმი ეკუთვნის თურქეთს, რომელიც 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავითა და 4 ივნისს გაფორმებული უსამართლო ხელშეკრულებით ართვინთან და არტაანთან ერთად დაუბრუნდა „დედა-სამშობლოს“, ანუ თურქეთს!**

ჩვენდა ბედად, ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ თურქეთში ვითარება აირია, რადგან **ქემალისტების პარლამენტი ინგლისელებმა** გარეკეს. ამით საქართველომ ისარგებლა და 1920 წლის ივლისში ბათუმი, ართვინი და არტაანი დაიბრუნა... **გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ასე დიდი საქართველო არასოდეს ყოფილა!**

**საქართველოს სწორედ გიორგი ბრწყინვალეს პოლიტიკა გადაარჩენს!**

ამიტომ ვიდრე **კარენ ჰარუთუნიანის „სნარიადი“** ჩვენშიც აფეთქებულა, დროა, ყარაყორუმთან ჩვენც ისეთივე პოლიტიკა ვაწარმოოთ, როგორიც **გიორგი ბრწყინვალეს** ჰქონდა!

*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები

**ვანო ჩხარტიშვილი**
*ბიზნესმენი*



**მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის** მიმართ, რომლებიც დგანან **„ლელოს“ ამ უნიჭო კამპანიის უკან,** ჩემი მხრიდან სამართლებრივი რეაგირება იქნება.

„აიპრესი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



რა სჭირს **სალომე ზურაბიშვილს** და რატომ აკეთებს ის ამ ყველაფერს? ამ შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: **სალომე ზურაბიშვილს აგენტობა სჭირს!**

მძიმე ხვედრისთვის გაწირეს უფროსებმა **ხაზარაძე და ჯაფარიძეც,** რომლებსაც პოლიტიკაში შეყვანით **ის მძიმე რეპუტაციაც გაუნადგურეს,** რომელიც საბანკო სექტორში საქმიანობის დროს ჰქონდათ. ისიც საინტერესოა, რომ **ხაზარაძე-ჯაფარიძის წყვილს** პარტიაში **შედარებით სტაჟიანი აგენტურა — უსუფაშვილი და ანა ნაცვლიშვილი** ჩაუსვეს, რომ პარტიაში სიტუაციის მართვა სრული კონტროლის ქვეშ ჰქონოდათ.

„იმედინიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ნაციონალური მოძრაობა** სახელი დარჩა, მაგრამ **ერთიანი მოძრაობა,** როგორც ასეთი, აღარ არსებობს.

„პირველი არხი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობას მძიმე დღეები უდგას, **გახლეჩის პროცესი გაგრძელდება,** ეს პარტია ქართულ პოლიტიკაში ქმედით ძალად ვეღარ იქნება განხილული.

„პირველი არხი“

**ნიკუშა შენგელაია**
*მსახიობი*



**ჩვენ ოპოზიცია არ გვყავს,** ეს არის რაღაც მასხარაობა, **ყველაფრის მკადრებელი ადამიანები** დგამენ პერფორმანსებს.

„TV იმედი“

# შესაკრებთა გადანაცება,

## ანუ მელიას გამოყოფა და ვაშაძის შეყოფა

***წნორის საფეხბურთო გუნდს „მილანი“ რომ დაარქვეს, სწორედ ასე ჟღერს დღეს ნაციონალური მოძრაობისათვის „მთავარი ოპოზიციური ძალის“ დაძახება, რადგან სააკაშვილის დაარსებული და ამჟამად მერაბიშვილ-კეზერაშვილის ჩრდილოვანი მმართველობის ქვეშ მოყოლილი პარტია ზუსტად ისე ჰგავს მთავარ ოპოზიციურ ძალას, როგორც წნორის „მილანი“ ევროპული ფეხბურთის გრანდს — იტალიურ „მილანს“.***

პირდაპირ რომ ვთქვათ, **ნაციონალური მოძრაობა ახლა გამოყოფისა და შეყოფის სტადიაში იმყოფება!**

უფრო კონკრეტულად, ნაციონალურ მოძრაობაში დასკვნით ფაზას უახლოვდება **ნიკანორ მელიას გამოყოფისა** და **გიორგი ვაშაძის შეყოფის** პროცესი!

მოდი, ჯერ **მელიას გამოყოფისა** ვთქვათ...

**ნიკანორი,** რომელსაც მერაბიშვილ-კეზერაშვილის დუეტმა ფოკუსი ჩაუტარა და ნაცმოძრაობის თავმჯდომარის სკამი საჯდომქვეშიდან ხაბეიშვილის ხელით გამოაცალა, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ პარტიაში მისი ადგილი აღარ არის და განაცხადა:

> ***„თუ დავრწმუნდი, რომ ერთად, ერთი პარტიული ნომრის ქვეშ ბრძოლა შეუძლებელია, ვფიქრობ, ვიპოვით ძალას, სხვადასხვა პლატფორმით ვიბრძოლოთ, სხვა ადამიანებთან ერთად“.***

**მელიას** თქმით, ის და მისი თანამოაზრეები ამა წლის 7 ოქტომბერს შეიკრიბებიან და ნაცმოძრაობაში დარჩენის საკითხზე იმსჯელებენ, თუმცა, ძნელი მისახვედრი არ არის, რით დამთავრდება ეს „მსჯელობა“ — **მელია და მისი ჯგუფი, დიდი ალბათობით, ნაციონალურ მოძრაობას გამოეყოფიან!**

და რას შეცვლის ნაციონალური მოძრაობიდან **მელიასა და მისი ფლანგის გამოყოფა?**

რა კრამიტები უნდა დაამტვრიოს ნაცმოძრაობიდან გამოყოფილმა **მელიამ** ან რომელი ხე უნდა გადაღუნოს **მელიაგამოყოფილმა ნაცმოძრაობამ?**

ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის 90 პროცენტი არჩევნებზე 5 ნომერს არც **მელიას გამო** ხაზავს, არც — **ხაბეიშვილის** გულისათვის და, მით უფრო, არც — **ჭიჭე ვაშაძის** ხათრით, რომელსაც, როგორც **პრიგოჟინის კარის პოეტმა ბოცო წიკლაურმა** მართებულად განაცხადა, იმაზე ნაკლები მომხრე ჰყავს, ვიდრე 2021 წელს თბილისის მერის არჩევნებში ჰყავდა ნიგერიელ პრინცს **არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუს...** დიახ, ნაცმოძრაობის ამომრჩევლის 90 პროცენტი პირადად სააკაშვილის ამომრჩეველია, რომელსაც ბელადის გარეშე და ბელადს მიღმა მელია, ხაბეიშვილი და ვაშაძე კი არა, საკუთარი დედა, მამა და შვილი არ აინტერესებს.

ამდენად, **ნაციონალური მოძრაობიდან მელიას გამოყოფით 5 ნომრის შემომხაზველთა რაოდენობას ბევრი არაფერი მოაკლდება, ხოლო ნაცმოძრაობიდან გამოყოფილი და 5 ნომრის გარეშე დარჩენილი მელია საბოლოოდ გადაიქცევა პოლიტიკურ გვამად, რომელსაც საკუთარი მამის, ცნობილი ექიმის ანზორ მელიას გარდა, პოლიტიკური დამტირებელიც არ ეყოლება.**



ნაცმოძრაობიდან გამოყოფილი ნიკანორ მელია საბოლოოდ გადაიქცევა პოლიტიკურ გვამად, რომელსაც საკუთარი მამის, ცნობილი ექიმის ანზორ მელიას გარდა, პოლიტიკური დამტირებელიც არ ეყოლება!



**პრიგოჟინის კარის პოეტმა ბოცო წიკლაურმა მართებულად განაცხადა – ჭიჭე ვაშაძეს იმაზე ნაკლები მომხრე ჰყავს, ვიდრე 2021 წელს თბილისის მერის არჩევნებში ჰყავდა ნიგერიელ პრინცს არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუს!**

ნაციონალური მოძრაობიდან გამოყოფის შემდეგ **მელიას პოლიტიკური კვდომა** რომ მოელის, ეს ცოტა ხნის წინათ პატიმარმა სააკაშვილმაც იწინასწარმეტყველა, როცა კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატიდან „ფეისბუქში“ დაპოსტა — **ვინც ჩემს პარტიას განუდგება, ბოკერიას დღეში ჩავარდება და პოლიტიკურად განულდებაო!**

ასე და ამრიგად, **მელიას გამოყოფა** ჩანასახშივე კრახისათვის არის განწირული!

ახლა კი **ვაშაძის შეყოფაზეც** ვთქვათ...

თავისთავად ის ფაქტი, რომ სადღაც ბნელ კულისებში მოკალათებულმა პროექტის ავტორებმა ჭიჭე ვაშაძის 3-კაციანი და 1-პროცენტიანი პარტია ნაციონალურ მოძრაობას **შეუყვეს,** აქაოდა — „გამარჯვების პლატფორმა“ შევქმენითო, ერთადერთ რამეზე მეტყველებს — **ლევან ხაბეიშვილი, რომელსაც პოლიტიკურადაც და ინტელექტუალურადაც ჰომო ერექტუსთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე ჰომო საპიენსთან, პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას თავს ვერ ართმევს და გვერდით ოდნავ უფრო განვითარებული სულიერი სჭირდება.**

ამიტომაც, **ხაბეიშვილს ჭიჭე ვაშაძე** თავიდან **ჭიჭეზე, ანუ პატარაზე შეუყვეს,** ახლა კი — უფრო დიდზე და უფრო ღრმად...

**საქმე ის არის, რომ ამა წლის 29 ოქტომბერს ნაციონალურ მოძრაობაში გამართულ ბრიფინგზე ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა:**

> *„ნაციონალური მოძრაობისა და „სტრატეგია აღმაშენებლის“ კოალიციას შტაბური, კამპანიური მუშაობა სჭირდება. ამის გამოცდილება გიორგი ვაშაძეს აქვს, ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დღეიდან კოალიციურ საქმიანობაში, შტაბური მიმართულებით, ამ კამპანიებს გიორგი ვაშაძე უხელმძღვანელებს“.*

ვერ გეტყვით, **ხაბეიშვილი,** თავისი გონებრივი რესურსიდან გამომდინარე, ამას ხვდება თუ არა, მაგრამ სადღაც ბნელ კულისებში მოკალათებულმა პროექტის ავტორებმა მას საკუთარი პირით ათქმევინეს — **სად მაქვს მე შტაბური და კამპანიური მუშაობის, ანუ პოლიტიკური პროცესების ორგანიზებისა და პოლიტიკური მენეჯმენტის თავი, ეს საქმე ვაშაძემ იცის, ჩემი საქმე კი ტაკიმასხარაობა და მატრაბაზობა არისო!**

კი, სწორედ ამას ნიშნავს **ხაბეიშვილის** განცხადება და **სწორედ ასე შეუყვეს ხაბეიშვილს ვაშაძე!**

ჰოდა, აქაც იგივე შეკითხვა დავსვათ, რაც **მელიას გამოყოფაზე** ვიკითხეთ: რა **კრამიტები უნდა დაამტვრიოს ნაცმოძრაობაში შეყოფილმა ჭიჭე ვაშაძემ ან რომელი ხე უნდა გადაღუნოს ვაშაძეშეყოფილმა ნაცმოძრაობამ?**

ცხადია, ოგბუნუჯუზე ნაკლები მხარდამჭერის მქონე **ვაშაძის შეყოფა** ნაცმოძრაობას ამომრჩეველს ვერ შეჰმატებს, თავად **ნაცმოძრაობაში შეყოფილმა ვაშაძემ** კი შესაძლოა, ხეირი ნახოს — იქიდან გამომდინარე, რომ მის პარტიას 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვის არანაირი შანსი არ გააჩნია, ჭიჭე ეცდება, ნაცმოძრაობის სიით პარლამენტში თვითონაც მოხვდეს და თავისი ორი თუქსუსი — **პაატა მანჯგალაძე** და **სერგო ჩიხლაძეც** შეიყოლოს.

აი, სულ ეს არის ამ პროცესის — **მელიას გამოყოფისა და ვაშაძის შეყოფის მთელი ალია-ბალია!**

შედეგი კი... **შედეგი რა უნდა იყოს?**

**აკი, შესაკრებთა გადანაცებით ჯამი არასოდეს იცვლება!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*

ჩვენს პარტიაში **მძიმე რეალობაა, არ გამოვრიცხავ, სხვა პლატფორმიდან მოგვიწიოს ბრძოლა,** ასეთ შემთხვევაში შეიძლება, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ და ღირსეულად დავშორდეთ. „მთავარი არხი“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

**მელიას** რა აქვს სალაპარაკო. **ხაბეიშვილი** რომ ჩამოგაგდებს, **წადი, დაიმალე,** რა. ლუზერების პლატფორმაა. ამიტომ გადმოიყვანეს დიდი მებრძოლი, **ცრუ პატრიოტი ვაშაძე,** პოპულისტი, **საკუთარი მეზობლები არ აძლევენ ხმას.**

„იმედინიუსი“



**ხატია დეკანოიძე**
*პოლიტიკური ჯგუფი „ევროპისტების“ წევრი*

**ნიკა მელიას ვეღარ ვხედავ ნაციონალურ მოძრაობაში** — იმ პრობლემებმა, რომელიც პარტიაშია, ბევრ ადამიანს საშუალება არ მოგვცა, რომ იქ გაგვეგრძელებინა საქმიანობა. „ინტერპრესნიუსი“



**ხათუნა სამნიძე**
*ოპოზიციური პარლამენტარი*

ჩანს, **მელია შექმნის ცალკე პარტიას.** ეს ჩანდა აქამდეც და უკვე დადასტურდა მისი მხრიდან. **მაქვს მოლოდინი, რომ ის ნაციონალურ მოძრაობას დატოვებს.** „აიპრესი“



**დავით გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*

**ნაციონალური მოძრაობა იშლება! მელიაც და გვარამიაც** ძალიან ბევრს გადაქაჩავენ. იმდენი გამოცდილება არ ეყო ამ ხალხს, რომ **გაეკეთებინათ რებრენდინგი** და შეეფუთათ ცოტა სხვანაირად ეს პარტია. **ხალხი „კასტილიანის“ შთამომავლებს უწოდებს.**

„ახალი თაობა“

# ხაზარაძის უზორნიაში მოსახდენი მოხდა!

*„თიბისი ბანკისა“ და რატი ამაღლობელის მიერ 2002 წელს დაარსებული ლიტერატურული პრემიის — „საბას“ 21-ე დაჯილდოების ცერემონიალი წლეულსაც მამუკა ხაზარაძის სამფლობელოში — „შატო მუხრანში“ გაიმართა.*



## როგორც იქნა, პრემია „საბა“ ზაზა ბურჭულაძესაც მისცეს!



ზაზა ბურჭულაძე

„ვარდის სურნელი“

სულაკაურის გამომცემლობა

ღონისძიებას, ტრადიციულად, **რატი ამაღლობელი** უძღვებოდა, **რომელსაც, როგორც თვითონ აცხადებს, თითქმის ყველა ლექსი სველ წერტილში — ტუალეტში აქვს დაწერილი და, საერთოდაც, მიაჩნია, რომ ნამდვილი ლიტერატურა სწორედ ტუალეტში იქმნება.**

ჰოდა, კონფერანსიე იყო **რატი,** რომლის ყოველ დანახვაზეც ჩვენ, საზოგადოების დიდი ნაწილის მსგავსად, უმალ გვახსენდება **ტარიელ ჭანტურიას ლექსი, „ტუალეტის მწერლებს“ რომ მიუძღვნა:**

**„მე სულ სხვაგვარად**
**ვფიქრობ,**
**ლექსი — ეს არის ტანჯვა;**
**ეგრე სად არის, ძმაო,**
**თან ლექსი წერო,**
**თან — ჯ...ა!“**

(ცენზურა ჩვენია. რედ.)

შესაძლოა, ვინმემ თქვას — აკი, ტარიელ ჭანტურია თავად არის პრემია „საბას“ ლაურეატიო...

კი ბატონო, არის და მარტო ტარიელ ჭანტურიას კი არა, რამდენიმე სხვა ნამდვილ პოეტსა და ნამდვილ მწერალსაც აქვს „საბა“ მიღებული... მაგალითად, **ჭაბუა ამირეჯიბს...** უფრო აქეთაც რომ ვთქვათ, **აკა მორჩილაძეს...**

ეს მხოლოდ ანტურაჟის ამბავია, დაახლოებით ისეთი, აფერისტი ვაჭარი ყუთს ჭიანი და გაფუჭებული ვაშლით რომ ამოპირავს და მხოლოდ ზედაპირს დაუფარავს ჯანსაღი და კარგი ვაშლით, რათა უყურადღებო მუშტარი ადვილად მოატყუოს.

**„საბას“ უსტაბაშებიც ასე შვრებიან — ზოგჯერ კარგ პოეტებსა და პროზაიკოსებსაც დააჯილდოებენ ხოლმე და ასე ცდილობენ, სახე შეუნარჩუნონ „საბას“, რომელიც დიდი ხანია, ერთგვარ სექტანტურ პრემიად ჩამოყალიბდა, რომელიც მუდმივად ერთ წრეზე, ერთი ლიტერატურული კლასტერის წიაღში ტრიალებს და ტრიალებს.**

ამ ლიტერატურულ სექტას კი საზოგადოება იცნობს **მამუკა ხაზარაძის „უზორნიის მწერლებისა“ და „ტუალეტის მჯღაბნელების“** სახელით!

ჰოდა, წელსაც „საბას“ ღონისძიება მიჰყავდა რატის, რომელიც, როგორც ერთხელ თვითონ გვაუწყა, **თან ლექსებს წერს და თან ჯ...ამს!**

შესაბამისად, **„საბას“ გადაცემის ღონისძიებაზე განსხვავებული და განსაკუთრებული წელსაც ბევრი არაფერი მომხდარა — ისევ იგივე სახეები, ისევ იგივე ნომინანტები, ზოგიერთ ნომინაციაში ისევ იგივე გამარჯვებულები და ისევ იგივე სექტანტური პათოსი, თითქოს, „საბას“ იქით ლიტერატურული ყამირია... თითქოს, „საბას“ მიღმა ლიტერატურა მკვდარია... თითქოს, „საბას“ პრემია რომ არ გაიცემოდეს, საქართველოში მწერლობა აღარ იარსებებდა...**

აკი, თქვა კიდეც ერთმა მწერალმა ქალმა, „საბას“ ადრინდელმა ლაურეატმა **ანა კორძაია-სამადაშვილმა** — **„საბა“ რომ არ არსებობდეს, არაფერს დავწერდიო!**

თუ „საბას“ ზოგიერთ სხვა ლაურეატსაც ასეთივე მიდგომა აქვს — „საბა“ რომ არ არსებობდეს, არაფერს დავწერდიო — **ღმერთმანი, მართლა ჯობს, „საბა“ არ არსებობდეს!**

მაგრამ „საბა“ არსებობს და წლეულს მისი მფლობელი კიდევ ერთხელ გახდა ქართველი ლიბერალების გურუ **ლევან ბერძენიშვილი,** რომელიც დააჯილდოვეს ნომინაციაში „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში“.

ნუ იტყვით და, აღნიშნულ ნომინაციაში ლიტერატურული პრემია „საბა“ არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოსთან“** თანამშრომლობით გაიცემა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის **მამუკა ხაზარაძის ლიტ-სექტისა და ეკა გიგაურის ენჯეოსექტის ერთობლივი ნომინაცია.**

**ლევან ბერძენიშვილს,** რომელმაც „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსიით“ დაწერა წიგნი **„ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი“,** ჯილდო სწორედ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დირექტორმა, **კაპიტანმა ეკა გიგაურმა** გადასცა.

სულო და გულო, უკეთესს რას ნახავ — აქეთ **ლევან ბერძენიშვილი, რომელსაც სუკის იზოლატორში კალმისტარი ვერ გააგდებინეს ხელიდან და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დისიდენტური საქმიანობის მოსანანიებლად უშველებელი არზა გამოაცხო, იქით კი ეკა გიგაური, რომელიც 2007 წელს, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის თარეშის ხანაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი იყო და 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის სასტიკი დარბევიდან რამდენიმე დღეში მერაბიშვილმა კაპიტნის წოდებით დააჯილდოვა!**

**ბერძენიშვილი და გიგაური** — ეს ორი ბუმბერაზი ანტისაბჭოთა მოღვაწე, ეს ორი თვალსაჩინო ლიბერალი და მედასავლეთე დღეს ერთად იბრძვის საქართველოში საბჭოთა გადმონაშთების ამოსაძირკვად!

რეალურად კი, დღევანდელ საქართველოში საბჭოთა კავშირი თუ სადმეა შემორჩენილი, სწორედ **ლევან ბერძენიშვილის** არსებაში, რომელიც ისე ებრძვის ეროვნულობასა და ეკლესიას, ისე მონდომებით ცდილობს ქართველი ხალხისათვის სათაყვანებელი ეროვნული და სახელმწიფო მოღვაწეების ლაფში ამოსვრას, ისე გაცხოველებით ლამობს ქართველი ერის თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ფასეულობათა ჩამოშლას, როგორც ამას ბოლშევიკები სჩადიოდნენ.

სხვათაშორის, ამ მიმართულებით ბერძენიშვილს ერთობ ნაყოფიერი პერიოდი ჰქონდა — **ჯერ ერეკლე მეფე შერაცხა საქართველოს მოღალატედ და მერე დავით აღმაშენებლის მთელი შთამომავლობა, „შენ ხარ ვენახის“ ავტორ დემეტრე პირველითურთ დეგენერატებად გამოაცხადა!**

ჰოდა, არც ჩაუვლია უკვალოდ ბერძენიშვილის გარჯას — **კიდევ ერთხელ ჩააჩუტეს პრემია „საბა“, ამჯერად უკვე კაპიტან გიგაურის ხელით!**

ჰმ, **კაპიტანი გიგაური...** აი, კიდევ სად არის შემორჩენილი საბჭოთა კავშირი... იგი 2010 წლიდან, ანუ მთელი 13 წელიწადია, **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“** ხელმძღვანელობს; მთელი ამ ხნის განმავლობაში, სხვა ე.წ. პროდასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ე.წ. შიდა დემოკრატიის პრინციპით, ორ-სამჯერ მაინც შეიცვალნენ თავმჯდომარეები თუ დირექტორები, კაპიტანი ეკა კი არა და არ იცვლის ფეხს თანამდებობიდან... როგორც, მაგალითად, **სუსლოვი ან კოსიგინი** იყვნენ კომპარტიის პოლიტ-

## ზაზა ბურჭულაძე, „საბას“ პრემიის ლაურეატი

**მი...გება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს-ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები...**

*წიგნიდან „სახარება ვირისა“*



მამუკა ხაზარაძე
პრემია „საბას“ 2023
წლის დაჯილდოების
ცერემონიალზე

# მთლიანად ქვეყანაში თუ არა, სამართლიანობა ხაზარაძის უბორნიაში მაინც აღდგა!

## რატი ამაღლობელი, „საბას“ პრემიის ლაურეატი

**ყველა ლექსი, ალბათ, დაწყებული მაქვს სველ წერტილში, ტუალეტში. ყველა ლექსი, იმიტომ რომ, მე იქ შევდივარ წიგნებით, ფურცლებით და ა.შ. ყველაზე დიდი ხელოვნება იქმნება, დიახაც, იკითხება და იქმნება სწორედ ამ ადგილზე... ეს ის სივრცეა, სადაც, დიახ, იქმნება დიდი პოეზია.**



რატი ამაღლობელი პრემია „საბას“ 2023 წლის დაჯილდოების ცერემონიალის წამყვანის ამპლუაში



პრემია „საბას“ 2023 წლის ლაურეატი ნატა ლომოური

ბიუროს წევრები სიცოცხლის ბოლომდე.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, საბჭოთა მემკვიდრეობის გავლენასთან ბრძოლის ეგიდით, **ლევან ბერძენიშვილისათვის „საბას“ მინიჭება, თანაც, კაპიტან გიგაურის ხელით, იმ სიყალბისა და ფასადურობის მორიგი გამოვლინებაა, რომელიც ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებულ პრემიასა და მისი გადაცემის ცერემონიალს ყოველთვის ჭარბი დოზით გასდევს.**

იმავე სიყალბით არის ნაკვეზი და ნაკარნახები პრემია „საბას“ მინიჭება მწერალთა სახლის დირექტორის თანამდებობიდან ცოტა ხნის წინათ მოხსნილი **ნატა ლომოურისათვის,** რომელიც „თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის“ დააჯილდოვეს. აშკარაა, რომ ეს არის ნიშნის მომგები პასუხი საქართველოს მწერალთა სახლში ნაცლიბერალური ოკუპაციის დასრულებასა და **ნატა ლომოურის** ადგილას **ქეთი დუმბაძის** დანიშვნაზე, რამაც **კოლექტიურ ლაშაბუღაძეთა** ლიტ-სექტაში დიდი ხმაური და მძვინვარება გამოიწვია.

თუმცა, წლევანდელი „საბას“ დაჯილდოების ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა სულ სხვა რამ გახლავთ...

**ყველაზე მთავარი ის არის, რომ მამუკა ხაზარაძის უბორნიაში, როგორც იქნა, მოსახდენი მოხდა!**

**როგორც იქნა, „საბას“ მესვეურებმა ისტორიული უსამართლობა გამოასწორეს!**

**როგორც იქნა, პრემია „საბა“ ზაზა ბურჭულაძესაც ერგო, ნომინაციაში — „წლის საუკეთესო რომანი!“**

**„ვარდის სურნელი“** ჰქვია ბურჭულაძის რომანს, რომელმაც „საბა“ დაიმსახურა!

**„ვარდის სურნელი“...**

ზაზა ბურჭულაძეს მანამდე დაწერილი აქვს **„სახარება ვირისა“.**

**„გასაბერი ანგელოზიც“** აქვს დაწერილი.

ჰოდა, ჯერ კიდევ მაშინ იმსახურებდა „საბას“ პრემიას!

ჯერ კიდევ **„გასაბერი ანგელოზისა“** და **„ვირის სახარების“** ავტორი უნდა დაეფასებინათ ხაზარაძის უბორნიელებს, მაგრამ რატომღაც ფეხი აითრიეს... რას ელოდებოდნენ, ნეტავი? **„ვირის სახარების“** მაგივრად **„ცხენის სახარება“** ან **„გასაბერი ანგელოზის“** ნაცვლად **„ჩასაფუში ღმერთი“** უნდა დაეწერა **ზაზა ბურჭულაძეს,** რომ „საბას“ პრემიის ღირსად ჩაეთვალათ?

მისთვის „საბას“ პრემია თუნდაც 2016 წელს უნდა მიეცათ, როცა „მძიმე კაცთან“ ინტერვიუში განაცხადა:

> *„ქართველების გამკვირვებია ის, რომ ქალაქში გამოსული მძიმე ცხოველები დავაძინეთ და დავხოცეთ, როდესაც მთავარი მტაცებელი არის თავისუფალი... პატრიარქს ვგულისხმობ.* ***მე მგონი, სასწრაფოდ უნდა მოვათავსოთ პატრიარქი ვოლიერში, როგორც მტაცებელი. ამაზე დიდი მტაცებელი მე არ ვიცი, ქართველთა არამარტო გონება მიიტაცა, არამედ ლამის ფიზიკურადაც კი. ეს ადამიანები აღარ არიან ადამიანები“.***

**აბა, თქვით, არ ეკუთვნოდა ხაზარაძის ბანკის მიერ დაარსებული პრემია ამ სიტყვების მთქმელ კაცს და ასეთი განწყობის მწერალს?**

ჯერ მარტო რამხელა ჰუმანიზმია — **90 წლის მოხუცი უნდა დავაპატიმროთ და ზოოპარკის ვოლიერში დავამწყვდიოთო!**

მწერალი ხომ ჰუმანისტი უნდა იყოს და ზაზა ბურჭულაძეზე დიდი ჰუმანისტი ვინ გეგულებათ თანამედროვე ქართულ მწერლობაში?

არა, **ნამდვილად უსამართლოდ ექცეოდნენ, „საბას“ რომ არ აძლევდნენ და კიდევ კარგი, ეს უსამართლობა წლების შემდეგ მაინც გამოასწორეს!**

„საბა“ რომ დაემსახურებინა, როგორც ჩანს, ჯერ „სამშობლოდან დევნილი მწერლის“ მანტიით უნდა შემოსილიყო **ზაზა ბურჭულაძე,** რომელიც კარგა ხანია, საქართველოდან წავიდა და გერმანიაში ცხოვრობს.

**„ვარდის სურნელი“...** ბურჭულაძის ამ წიგნის სათაური აუცილებლად გაგახსენებთ დიდი იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს დიდებულ რომანს — **„ვარდის სახელი“...**

ჰოდა, სწორედ **უმბერტო ეკო** ამბობდა — **როცა არავის გაუგდიხარ, დევნილობაში ცხოვრება სასაცილოაო!** როგორ პირდაპირ მიესადაგება „ვარდის სახელის“ ავტორის სიტყვები „ვარდის სურნელის“ ავტორს, რომელიც საქართველოდან არავის განუდევნია, მაგრამ გერმანიაში გადასახლდა, როგორც „დევნილი მწერალი“!

ამიტომაც, **ფიზიკურად ვერ დაესწრო ზაზა ბურჭულაძე „შატო მუხრანში“ „საბას“ ცერემონიალს... ჯილდო კი მის ნაცვლად მისი წიგნის გამომცემელს გადასცეს — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წარმომადგენელს, რომელმაც აუდიტორიას აუწყა, რომ ზაზა ბურჭულაძის სურვილია,** მისთვის განკუთვნილი საპრემიო თანხა უკრაინის დახმარების ფონდში გადაირიცხოს!

ნახეთ, რამხელა კეთილშობილებაა —

## ზაზა ბურჭულაძე, რომელიც საქართველოს მოხუცი პატრიარქის ვოლიერში დამწყვდევას ითხოვს, ხაზარაძის ბანკის მიერ მინიჭებულ პრემიას უკრაინის დასახმარებლად ხარჯავს!

აბა, რა — მწერალი ხომ ჰუმანისტი უნდა იყოს!

აბა, როგორ — **ხაზარაძის უბორნიიდან გამოვარდნილი სუნი ზაზა ბურჭულაძის „ვარდის სურნელსაც“ ხომ უნდა შერთვოდა და შერეოდა!**

ჰოდა, მოსახდენი მოხდა!

**მთლიანად ქვეყანაში თუ არა, სამართლიანობა ხაზარაძის უბორნიაში მაინც აღდგა!**



ეკა გიგაური და ლევან ბერძენიშვილი პრემია „საბას“ 2023 წლის დაჯილდოების ცერემონიალზე

## ლევან ბერძენიშვილის მიერ ერეკლე მეფის მოღალატედ შერაცხვამ და დავით აღმაშენებლის შთამომავალთა დეგენერატებად გამოცხადებამ უკვალოდ არ ჩაიარა – მას „საბას“ პრემია კიდევ ერთხელ ჩააჩუტეს, თანაც, კაპიტან გიგაურის ხელით!

ჯაბა ხუბუა

# უკრაინული ნაციზმი

***კანადის პარლამენტის სპიკერს ენტონი როტას მჩცოვანი უკრაინელი ნაცისტის დაფასება და გმირად წარმოჩენა თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა.***

კერძოდ, 2023 წლის 22 სექტემბერს, როცა ოტავაში ჩასული უკრაინის პრეზიდენტი **ზელენსკი** კანადის პარლამენტში სიტყვით გამოდიოდა, იქვე საპატიო სტუმრის სტატუსით იჯდა **98 წლის უკრაინელი იაროსლავ ჰუნკა,** რომელიც მისმა მიმპატიჟებელმა — პარლამენტის თავმჯდომარე **ენტონი როტამ** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანად და რუსების წინააღმდეგ მებრძოლ გმირად წარადგინა.

**ჰუნკას კანადის პარლამენტის წევრები ფეხზე ადგომითა და ტაშის გრიალით შეხვდნენ, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ იგი გმირი კი არა, ნაცისტი ესესელი ყოფილა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნიკური უკრაინელებისაგან დაკომპლექტებულ „გალიციის დივიზიაში“ ირიცხებოდა და ჰიტლერის რეჟიმს ემსახურებოდა.**

როგორც კი კანადურმა მედიამ ეს ამბავი გახეთქა, მთავრობის და პარლამენტის წევრებმა უკრაინელი ნაცისტის საპატიო სტუმრად მომწვევ და გმირად გამომცხადებელ **როტას** სპიკერის თანამდებობის დატოვება მოსთხოვეს, რასაც იგი დაემორჩილა და გადადგა.

თუმცა, ყველაფერი ამით როდი მთავრდება — **კანადაში მომხდარი სკანდალის კვალდაკვალ, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტმა უმალ დაიწყო მოკვლევა, მონაწილეობდა თუ არა უკრაინელი ნაცისტი იაროსლავ ჰუნკა პოლონელი მოსახლეობის გენოციდში.** კერძოდ, საუბარია „გალიციის დივიზიის“ მიერ პოლონურ სოფელ **ჰუტა პენიაცკაიაში** ჩადენილ სისასტიკეზე, როცა ეთნიკური უკრაინელების ნაცისტურმა რაზმმა მთელი სოფლის მოსახლეობა ამოჟლიტა.

გარდა ამისა, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის პრესსპიკერი **რაფალ ლეშკევიჩი** აცხადებს, რომ „გალიციის“ ნაცისტური დივიზია, რომლის წევრიც უკრაინელი იაროსლავ ჰუნკა გახლდათ, ივონიჩში, ჰადოჩკოვო-ველკეში, პრეგორილსა და სმოლიგუვში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტაშიც არის ეჭვმიტანილი.

ამდენად, **სულაც არ არის გამორიცხული, 98 წლის უკრაინელი ნაცისტი, რომელსაც კანადის პარლამენტში ზარ-ზეიმითა და ოვაციებით შეხვდნენ, მალე პოლონური მართლმსაჯულების წინაშე განსასჯელის სტატუსით წარადგინონ!**

თუმცა, ფეხზე ცხვარგამობმული **იაროსლავ ჰუნკა** და მასთან დაკავშირებული ინციდენტი არ არის ერთადერთი, რამაც ამ დღეებში მსოფლიოს ფაშიზმისა და ნაციზმის უკრაინული კომპონენტი შეახსენა.

## ნაციზმი და ფაშიზმი უკრაინაში მხოლოდ შავბნელი წარსულის კუთვნილება რომ არ არის, ეს ცხადად გამოჩნდა უკრაინელი სპორტსმენების საქციელშიც, რომელიც მათ გასულ კვირას უნგრეთში გამართულ ფიგურული სრიალის ტურნირზე ჩაიდინეს.

აი, რა მოხდა ბუდაპეშტში: საქართველოს სახელით მოასპარეზე **ლუკა ბერულავამ** და **ანასტასია მეტელკინამ** იუნიორთა გრან-პრიზე პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე და მესამე ადგილზე კი უკრაინული და კანადური წყვილები გავიდნენ. ასპარეზობის დასრულების შემდეგ გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს სახელით მოასპარეზე წყვილი კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მდგომ კანადელ სპორტსმენებთან მივიდა, ბრინჯაოს მედალი მიულოცა, ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა... ამის შემდეგ **ლუკა ბერულავა და ანასტასია მეტელკინა** იმავეს გასაკეთებლად მიუახლოვდნენ კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მდგომ უკრაინელ წყვილს — **ივან ხოტბასა და ვიოლეტა სეროვას,** მაგრამ მათ ქართული დუეტისათვის ხელის ჩამორთმევა არ ინებეს და მილოცვა არ მიიღეს.




უკრაინულმა წყვილმა ქართული დუეტისათვის ხელის ჩამორთმევა არ ინება და მილოცვა არ მიიღო!

**უკრაინელმა მოციგურავეებმა საქართველოს სახელით მოასპარეზე მეტოქეებს ხელი არ ჩამოართვეს!**




პირველ ადგილზე გასული ქართული დუეტი ულოცავს მესამეადგილოსან კანადურ წყვილს!

**რამ გამოიწვია უკრაინელი სპორტსმენების ასეთი არასპორტული, მდაბიო და უღირსი საქციელი?**

ვითომ მარტო იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, სპორტსმენს მარცხის ღირსეულად მიღება რომ არ შეუძლია, წარუმატებლობის გამო იბოღმება და გულის მოფხანას მეტოქის უპატივცემულობით ცდილობს?

ალბათ, არც უამისობა უნდა იყოს, თუმცა, **მთავარი მიზეზი, რის გამოც მეორეადგილოსანმა უკრაინელმა წყვილმა პირველადგილოსანი მეტოქისათვის ხელის ჩამორთმევა არ ინება, სპორტთან არაფერ კავშირშია... ხოტბასა და სეროვას საქციელი უფრო ნაციზმთან, ფაშიზმთან და ეთნიკური ნიშნით ადამიანების სეგრეგაციასთან არის დაკავშირებული.**

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს სახელით მოასპარეზე მოციგურავეები — **ლუკა ბერულავა და ანასტასია მეტელკინა** რუსეთში არიან დაბადებული და რუსი მწვრთნელი ჰყავთ!

აი, სწორედ ამიტომ არ ჩამოართვეს ხელი საქართველოს სახელით მოასპარეზე დუეტს უკრაინელმა **სეროვამ და ხოტბამ!**

**მერე რა, რომ ბერულავა და მეტელკინა** რუსეთის კი არა, საქართველოს სახელით ასპარეზობენ!

**მერე რა, რომ მეტელკინასა და ბერულავას** მიერ საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული ნებისმიერი წარმატება რუსეთის კი არა, საქართველოს წარმატებას ნიშნავს!

**მერე რა, რომ მეტელკინასა და ბერულავას** გამარჯვების შემთხვევაში დაჯილდოების ცერემონიალზე რუსეთის კი არა, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი ჟღერდება!

**რაში აინტერესებთ ეს უკრაინელ ხოტბასა და სეროვას — მათთვის საკმარისია, რომ ბერულავა და მეტელკინა რუსეთში დაიბადნენ... ამიტომ ხელის ჩამორთმევის ღირსებიც არ არიან! ამიტომ სპორტსმენებად კი არა, ადამიანებადაც არ უნდა ჩაითვალონ!**

ფაშიზმი და ნაციზმი მეტი კი არაფერია!

რაც უკრაინელმა მოციგურავეებმა — **ხოტბამ და სეროვამ** ბუდაპეშტის ტურნირზე გააკეთეს, თავისი არსით დიდად არ განსხვავდება იმისაგან, რასაც უკრაინელი ნაცისტი ესესელი, ამჟამად 98 წლის **იაროსლავ ჰუნკა**

**რაც უკრაინელმა მოციგურავეებმა – ხოტბამ და სეროვამ ბუდაპეშტის ტურნირზე გააკეთეს, თავისი არსით დიდად არ განსხვავდება იმისაგან, რასაც უკრაინელი ნაცისტი ესესელი, ამჟამად 98 წლის იაროსლავ ჰუნკა მეორე მსოფლიო ომის დროს აკეთებდა!**

## კვირგვინოსნები

**მატეუშ მორავეცკი**
*პოლონეთის პრემიერ-მინისტრი*



პრეზიდენტ **ზელენსკის** მინდა ვუთხრა — **აღარასოდეს მიაყენოს შეურაცხყოფა პოლონელებს!**

„იმედინიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*„ჩვენს“ პროფესორი*



უკრაინას 1990-იანი წლებიდან **სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კადრების დეფიციტი აქვს.** ის ხომ ძალიან დიდხანს **კორუმპირებული და მიბმული იყო რუსულ სივრცეზე.** როგორც ჩანს, ეს პრობლემა დღემდე დგას.

„კვირის პალიტრა“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



ვფიქრობ, **ნოემბერ-დეკემბერში საქართველოში პუტჩის მცდელობა იქნება.** ვიცი, ვინც შეიძლება, ეს გააკეთოს — **მოქმედებას ისინი დაიწყებენ, ვისგანაც ხელისუფლება ამას ყველაზე ნაკლებად მოელის.**

„საერთო გაზეთი“

**გიორგი კობერიძე**
*„ჩვენს“ პროფესორი*



რუსეთის სპეცსამსახურები თუ დაინახავენ, რომ **საქართველოში დაპირისპირებაა,** ამის გასაღრმავებლად ხელთ არსებულ ყველა საშუალებას გამოიყენებენ. **ამიტომაც არის ძალიან საშიში ეს პროცესები.**

„კვირის პალიტრა“

# ცოცხალია!



ყოფილ ნაცისტ ესესელს, უკრაინელ იაროსლავ ჰუნკას კანადის პარლამენტის წევრები ფეხზე ადგომითა და ტაშის გრიალით შეხვდნენ!

მეორე მსოფლიო ომის დროს აკეთებდა!

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მოციგურავეებმა — **ლუკა ბერულავამ და ანასტასია მეტელკინამ** საქართველოს სახელით ასპარეზობა ჯერ კიდევ მანამდე დაიწყეს, სანამ უკრაინაში ომი გაჩაღდებოდა და რუს სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებში რუსეთის სახელით მონაწილეობა აეკრძალებოდათ. კერძოდ, **ლუკა ბერულავა** საქართველოს სახელით — 2019 წლიდან, **ანასტასია მეტელკინა** კი 2020 წლიდან გამოდის.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, უკრაინელი მოციგურავეების — **ხოტბასა და სეროვასათვის** არც ამას აქვს რამე მნიშვნელობა, რადგან მათთვის სპორტსმენის სპორტსმენობა კი არა, წარმომავლობა და დაბადების ადგილია მთავარი!

**არ ჩამოართვა ხელი, რადგან რუსეთშია დაბადებული!**

**არც შენ მიულოცო და არც შენთვის მოალოცვინო, რადგან რუსული ძირები აქვს!**

**აბა, სხვას რას ნიშნავს ფაშიზმი და ნაციზმი?!**

**აბა, სხვაში რაში გამოიხატება ქსენოფობია და სეგრეგაცია?!**

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

## უკრაინელმა მოციგურავეებმა რუსეთში დაბადებული, მაგრამ საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისათვის ხელის არჩამორთმევით მხოლოდ რუსეთისადმი კი არ გამოხატეს პროტესტი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მიმართ გამოამჟღავნეს უპატივცემულობა!

და ეს არც არის გასაკვირი, რადგან უკრაინელი სპორტსმენები საქართველოსადმი უპატივცემულობის, საქართველოსადმი უმადურობის, საქართველოს დამცირებისა და საქართველოს შეურაცხყოფის მაგალითებს რეგულარულად იღებენ თავიანთი ხელისუფლებისაგან!

ჰო, **როგორც ჩანს, უკრაინელ მოციგურავეებს — ხოტბასა და სეროვას მხცოვანი უკრაინელი ნაცისტის, 98 წლის იაროსლავ ჰუნკასა და ახალგაზრდა მონაცისტო ელემენტების — ზელენსკის, პოდოლიაკის, არახამიას, ერმაკისა და კულებას ბაცილა აქვთ შეყრილი!**

ახალგაზრდა უკრაინელი მოციგურავეები — **ხოტბა და სეროვა,** ბებერ უკრაინელ ნაცისტ **ჰუნკასთან** ერთად, იმის განსახიერებას წარმოადგენენ, რომ **უკრაინაში ფაშიზმის ხე არათუ ბოლომდე არ ამოძირკვულა, არამედ ახალ-ახალი ყლორტები გამოუსხამს!**

საქართველოს სახელით მოასპარეზე მოციგურავეთა წყვილს — **ანასტასია მეტელკინასა და ლუკა ბერულავას,** რომლებმაც ბუდაპეშტის გრან-პრი მოიგეს, მომავალშიც დიდ წარმატებებს ვუსურვებთ, ხოლო უკრაინელ მოციგურავეებს — **ივან ხოტბასა და ვიოლეტა სეროვას** სიფრთხილისაკენ მოვუწოდებთ: ემანდ, ნაციზმის ლიპყინულზე ფეხი არ აუსრიალდეთ და მარტო თავიანთ თავს კი არა, თავიანთ ქვეყანასაც არ მოატეხინონ კისერი!

***ჯაბა ხუბუა***

> **უკრაინელი მოციგურავეები — ხოტბა და სეროვა, ბებერ უკრაინელ ნაცისტ ჰუნკასთან ერთად, იმის განსახიერებას წარმოადგენენ, რომ უკრაინაში ფაშიზმის ხე არათუ ბოლომდე არ ამოძირკვულა, არამედ ახალ-ახალი ყლორტები გამოუსხამს!**



*როდესაც ასპარეზზე „კოვიდ-19“ გამოჩნდა, პოლიტოლოგი, პიარტექნოლოგი და ჟურნალისტი ლალი მოროშკინა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პანდემია გლობალისტების მიერ დადგმულ ფარსად გამოაცხადა, დღეს კი თავდაჯერებით ამბობს, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა გადამწყვეტ ფაზაში შედის:*

## ლალი მოროშკინა: შეინახეთ გაზეთის ეს ნომერი იმ დღისთვის, როდესაც ჩემი პროგნოზები ახდება!



— როდესაც მე, ჩემი ძმა და კიდევ რამდენიმე ადამიანი ხმამაღლა ვამბობდით, რომ პანდემია გლობალისტების მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, შეთქმულების თეორიაში გვადანაშაულებდნენ. არადა, ორი წლისთავზე აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავით და გლობალისტთა პროგრამა, რომელიც კორონავირუსით დაიწყო, საბოლოოდ გაცხადდა.

შიშისა და პანიკის დათესვის ფონზე, არასწორი გაიდლაინებითა და პროტოკოლით მოხდა ადამიანების გაცხრილვა. ხალხს ხელოვნურად უხეთქავდნენ ფილტვებს. ჩვენ, ვინც ვაქცინაციის წინააღმდეგ გამოვდიოდით და პანდემიის შესახებ სრულ სიმართლეს ვამბობდით, გვაბულინგებდნენ, თურმე, მაღაზიაში ჩვენთვის პურიც კი არ უნდა მოეყიდათ. **დღეს უკვე ყველაფერი ხელისგულზე დევს. ვიმკით მაშინდელი არასწორი მკურნალობისა და გაურკვეველი სითხის შეშხაპუნების შედეგებს.** როგორ გგონიათ, შემთხვევითია ამდენი თრომბოემბოლია და გულის დაავადება?! მიკვირს, რატომ არ არიან აქამდე დაკავებული იმ ელიტის წარმომადგენლები, რომლებმაც კაცობრიობის შემცირების გეგმაში თავისი წვლილი შეიტანეს.

**— რა კავშირშია ერთმანეთთან 2 წლის წინანდელი პანდემია და დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია?**

— მაშინ, ადამიანების შემცირების გლობალური პროგრამა სრულად ამოიქოქა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. მოსახლეობის დიდი რაოდენობა ვერ დაიმორჩილეს და მეორე გეგმა აამოქმედეს — **სლავი ხალხი — უკრაინელები და რუსები — ერთმანეთს წაჰკიდეს.** დღემდე ვერავინ გაიგო, რატომ ხოცავენ ერთმანეთს. დანარჩენი ყველაფერი ლირიკაა. მხოლოდ ამ ომის შედეგად მილიონი ადამიანი გამოაკლდა დედამიწას, თუმცა, ე.წ. გლობალური ელიტისათვის ესეც არ არის საკმარისი — იმდენი კაცი არ იჟუჟება, რამდენიც მათ გეგმაშია. ამიტომაც უწყობენ ხელს ომის გაჭიანურებას. მაშინ, როდესაც ევროკავშირი და გაერო მაღალი ტრიბუნებიდან მხარეებს ომის შეწყვეტისკენ უნდა მოუწოდებდნენ, იქით ახალისებენ, მეტიც, სამყაროს განულებასა და რობოტიზაციაზეც ფიქრობენ. **ელექტრონული ფული, რომელზედაც აქტიურად მიდის საუბარი, პირდაპირ წყალგამყოფია ცოცხალ და რობოტ ადამიანებს შორის.**

ეს ვაი-ლიბერალები რატომ არ იღებდნენ ხმას სირიაზე, ერაყსა და ავღანეთზე? სირიელი ბავშვი ბავშვი არ არის და უკრაინელი ბავშვი ბავშვია? კიდევ ერთხელ ვამბობ — თუ საღად აზროვნებ, წარმოუდგენელია, ვერ დაინახო ადამიანების შემცირებისკენ მიმართული კამპანია, რომლის შედეგადაც ოქროს მილიარდი უნდა დარჩეს. იმედია, იმის ილუზია მაინც არავის აქვს, რომ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი რაიმეს დამოუკიდებლად წყვეტს. **მსოფლიო პროცესებს გლობალური ელიტა მართავს!**

სწორედ ამ გლობალურ ელიტას სურს კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში სიტუაციის არევა, რომ მერე პროცესები სათავისოდ მართოს და დასახულ მიზანთან მივიდეს.

### მსოფლიო გადანაწილების ქიპი კავკასიაზე გადის. ვინც ფლობს კავკასიას, ის ფლობს სიტუაციას მსოფლიოში.

თუ ვინმეს კიდევ ჰგონია, ავტობანი იმისთვის კეთდება, რომ ქართველები

*გაგრძელება მე-14 გვერდზე*

## კვირგვინოსნები



**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*

ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე, **რეალურად რატომ გვთხოვენ ომის დაწყებას** და თან, რა პირობებით! მთავარი ინტერესია, **რაც შეიძლება მეტი რუსი ჯარისკაცი მოვწყვიტოთ უკრაინის ფრონტს,** რაც, შესაბამისად, უკრაინისთვის სერიოზულ შვებას ნიშნავს! **გაინტერესებთ, რას ამბობს გლობალური ომის პარტია პირად საუბრებში?** 3 მილიონ-ნახევარი ხართ და ყველა ხომ არ გაწყდებითო! **დაეხმარეთ უკრაინას, შვება იგრძნოს, მოიპოვოს უპირატესობა** და მას შემდეგ, როცა გაიმარჯვებენ, თქვენც დაგიხსნითო!

„ახალი თაობა“



**თამარ ჩიხრაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

რადიკალურ ოპოზიციას ერთადერთი მიზანი აქვს — **არჩევნებამდე არ მიიყვანონ პროცესები, რადგან იციან, რომ არჩევნებში დამარცხდებიან.** რამდენიმე მათგანმა ღიად აც განაცხადა, რომ **დიახ, ჩვენ ძალასაც გამოვიყენებთო.** ესენი რომ მიუშვა, **რუსთაველზე ტანკებსაც შემოზიდავენ.**

„იმედინიუსი“



**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*

**პრეზიდენტის არაადეკვატურობამ პიკს მიაღწია,** უკვე გაჩნდა მის ლექსიკონში **რუსული, რუსულმა, რუსულს...** რუსული ზუსტად ის არის, როგორც თვითონ იქცევა — **უტიფრობა და კანონის უგულებელყოფა.**

„იმედინიუსი“



**პაატა დავითაია**
*პოლიტიკოსი*

მე მაქვს ინფორმაცია, რომ **ახალი მოთამაშე შემოდის პოლიტიკურ ველზე.** ეს ძალა არანაკლებად უზრუნველყოფილია ფინანსურად, ვიდრე „ქართული ოცნება“, საკმაოდ სერიოზულ ფინანსებს ფლობენ. ამ სიტუაციაში **ივანიშვილს მოუწევს პოლიტიკაში დაბრუნება,** რადგან კონკურენცია სერიოზულად გაიზრდება.

„ახალი თაობა“



# ლალი მოროშკინა: თუ უახლოეს პერიოდში სააკაშვილი ციხეში არ გადაიყვანეს, ბუნტს ვერ ავცდებით!




*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

თბილისიდან ბათუმში 2 საათში ჩავიდნენ, ძალიან ცდება.

**— კიდევ რა მიზეზი აქვს ავტობანის გახსნას?**

— ვინ აფინანსებს გზების მშენებლობას? აზიის განვითარების ბანკი. შესაბამისად, აზიური ინტერესები ძალიან დიდია. ვის სჭირდება ბუფერული ზონა ნატოს წევრ ქვეყანასთან? ცხადია, რუსეთს. ისიც ცნობილია, რომელი ქვეყანა იღებს სარგებელს ავღანური ჰეროინისა და ჰაშიშის გაყიდვით. ასე რომ, **შეერთებული შტატები, რუსეთი და ჩინეთი გამალებით იბრძვიან საქართველოსთვის.**

საბედნიეროდ, ბევრი მიხვდა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, ვინც ბოლომდე ვერ იაზრებს ავტობანის მნიშვნელობას. ამ გზით, ერთი მხრივ, შეიძლება, სერიოზული სარგებელი ნახოს ჩვენმა ქვეყანამ, მეორე მხრივ, ის შეიძლება, იყოს მოკლე გზა ავღანური წამლისა და იარაღით ვაჭრობისათვის. ეს იქნება სიკეთისა და სიცოცხლის გზა თუ ბოროტებისა და სიკვდილის, ჩვენზეა დამოკიდებული. ფაქტი ერთია, გვინდა თუ არა, ეს გზა ჩვენზე გადის. ამერიკა ხედავს რა ჩინურ და რუსულ ინტერესებს, კუდს იქნევს — ბოლო მცდელობა აქვს, სახელმწიფო გადატრიალების გზით ნაციონალებს გადასცეს მართვის სადავეები.

ჩვენთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობის შენარჩუნება, ქვეყანა მათ პოლიგონად არ უნდა ვაქციოთ, როგორც ეს უკრაინამ გააკეთა.

## რუსეთი ბოლომდე არასოდეს გაგვიშვებს ხელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელ კავკასიას დაკარგავს.

ახლა საკითხი ასე დგას, გავაგრძელებთ მათთან პარტნიორულ, მეზობლურ, კეთილგონივრულ ურთიერთობას თუ „კირზის“ ჩექმა მოგვხვდება თავში.

ამ რთულ ვითარებაში, ვფიქრობ, სრული ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა უნდა გამოვუცხადოთ მთავრობას, ქვეყნის დამაქცევარი დესტრუქციული ელემენტების გასანეიტრალებლად და დასაჭერად. **ნაციონალებს თუ რაიმე პატარა შანსი გაუჩნდათ, მაშინვე ჩაკეტავენ ქვეყანას, დაამყარებენ ხუნტას და დახვრეტენ ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში ნერვებს უშლიდათ. სხვათაშორის, ამ სიაში მეც ვარ.** იცით, რატომ მებადება ამის ლეგიტიმური განცდა?

**— რატომ?**

— ამ დღეებში შეხვედრა მქონდა მათთან, ვინც ნაციონალებთან ასოცირდებიან. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა აგრესია ვიგრძენი მათგან. **მერწმუნეთ, მოუთმენლად ელოდებიან იმ დროს, როდესაც სამაგიეროს გადახდის შესაძლებლობა მიეცემათ.** ძალიან ცდება, თუ ვინმე ფიქრობს, რომ მათი ტონი ოდესმე შერბილდება, სააკაშვილი ნორმალური გახდება და კეზერაშვილს, მერაბიშვილსა და ადეიშვილს იგივე არ ენდომებათ, **პირიქით, ახლა უფრო გაშმაგებულად და გაასმაგებულად მოითხოვენ გვამებს.** ვისაც ამ რეალობის დანახვა არ სურს, უბრალოდ, ჩლუნგია. სხვა შესაფერის სიტყვას ვერ ვპოულობ.

ხომ ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ სუსმა დღემდე არაერთი გადატრიალების მცდელობა აგვარიდა თავიდან, ფანტასტიკურად იმუშავა. ზუსტად ვიცი, რა სცენარი იწერებოდა მთავრობის დასამხობად, ისევ ძველებურად განაგრძობენ პროვოკაციებს, არ ასვენებთ გამჩენი. დეკემბრის იმედი აქვთ, როდესაც სტატუსის მოცემა-არმოცემის საკითხი გაირკვევა. ოცნებობენ, სტატუსი არ მოგვანიჭონ, რომ ქუჩაში გამოვიდნენ. **ხაზგასმით ვამბობ — აქ უკვე დანდობა და ენის მოჩლექით საუბარი აღარ იქნება. პირდაპირ სამოქალაქო ომში ჩაერთვება საზოგადოება. პირადად მე ბოლომდე ვიბრძოლებ. უკან დასახევი გზა აღარ არის. ომი აქვთ გამოცხადებული ქართველობის, ქრისტიანობის წინააღმდეგ და ამის დათმობა სამშობლოს საბოლოოდ განადგურებას ნიშნავს.** ნეიტრალური ვერავინ დარჩება — ან — ჩვენ, ან — ისინი! მართალია, მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი არიან, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, მათ უკან სერიოზული ძალა და დიდი ფინანსები დგას.

**— სააკაშვილი უნდა განვიხილოთ ამ პროცესში, როგორც ერთ-ერთი მოთამაშე?**

— სააკაშვილი ერთ-ერთი სერიოზული კადრია. მისი არაჯეროვნად შეფასება დაუშვებელია. **ფენიქსივით არის, ნებისმიერ მომენტში შეიძლება აღდგეს და ბრძოლა გააგრძელოს.** არამხოლოდ სააკაშვილს, სანდრასაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ პროცესში. ჯერ კიდევ როდის ვთქვი — ნელ-ნელა **რულოვსი** გადაიბარებს სადავეებს-მეთქი. იმ ქალბატონებში, რომლებიც სააკაშვილის ირგვლივ ტრიალებენ, ფავორიტი **სანდრა რულოვსია.** იგი ერთ-ერთი უსერიოზულესი მოთამაშე გახლავთ. ვერც **სოფო** და, მითუმეტეს, ვერც **ლიზა იასკო,** რომელიც თავიდანვე განწირული პროექტი იყო, იმის გაკეთებას ვერ შეძლებენ, რისი გაკეთებაც მას შეუძლია. სულ ვამბობ — სააკაშვილის მმართველობის დროს პრეზიდენტი რეალურად სანდრა იყო, ის განაგებდა ძალიან ბევრ რამეს.

ამასწინათ დადო ფოტო, სადაც ნავში ზის ოჯახთან ერთად, ახლა უკვე სააკაშვილიც მოინახულა. ოვერტონის ფანჯარასავით თანდათან გვაჩვევენ, ნელ-ნელა შემოჰყავთ თამაშში. **აი, ნახავთ, მალე როგორ გააქტიურდება და ერთ-ერთ ოპოზიციურ ლიდერად მოგვევლინება. თუ არადა, შეინახეთ გაზეთის ეს ნომერი იმ დღისთვის, როდესაც ჩემი პროგნოზები ახდება.**

**— ამას მხოლოდ ლოგიკაზე დაყრდნობით ამბობთ?**

— ლოგიკაც არის და ინფორმაციაც მაქვს. ნაციონალებს არჩევნებზე სერიოზული ლიდერი არ ჰყავთ. **მელია** განულებულია, **ხაბეიშვილი** კომიკური ფიგურა გახლავთ. იმისთვის, რომ მეორე ადგილი შეინარჩუნონ, ისევ **სანდრას** გამოიყენებენ.

## „თუ ვინმეს კიდევ ჰგონია, ავტობანი იმისთვის კეთდება, რომ ქართველები თბილისიდან ბათუმში 2 საათში ჩავიდნენ, ძალიან ცდება!“



## ვფიქრობ, მთავრობა რადიკალიზაციაზე უნდა წავიდეს, „მაიდნის“ პირველივე მცდელობაზე დააპატიმროს ოპოზიციური ლიდერები. ეს არის არეულობის თავიდან აცილების ერთადერთი გამოსავალი.

აქვე, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა — **არ მესმის სასჯელაღსრულების სისტემის თავკაცის პოზიცია სააკაშვილთან მიმართებაში, პირადადაც შევუთვალე, კარგად ვიცი ეს სისტემა და სანამ პატიმრები აბუნტებულან, სააკაშვილი ჩვეულებრივ საკანში გადაიყვანეთ-მეთქი.** წარმოიდგინეთ იმ პატიმრების რეაქცია, რომლებიც ოჯახის წევრებს თვეობით ელოდებიან, ამასობაში კი სააკაშვილთან დედა დღეში ორჯერ მიდის და ნაირნაირი ნაშები აკითხავენ. **მსოფლიოში არ ყოფილა ანალოგი, ჯანმრთელ პატიმარს კლინიკაში გაეტარებინოს სასჯელი. ეს არის ბუნტის წინაპირობა!**

**— როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს პრეზიდენტი ზურაბიშვილი სააკაშვილს?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტიც აგენტურული ქსელის ერთ-ერთი სერიოზული მოთამაშეა, გასაკვირი არაფერია. ამ ქალს პრინციპი არა აქვს და რა პრობლემა იქნება, თუ თავისივე ნათქვამს გადათქვამს? იმას გააკეთებს, რასაც თავისი ზემდგომები ეტყვიან, მაგრამ როგორც კი შეიწყალებს, მაშინვე შეატრიალებენ უკან. მის წინააღმდეგ სხვა მუხლებიც არის.

სხვათაშორის, არ არის გამორიცხული „მაიდნის“ მოსაწყობად სააკაშვილის თემაც გამოიყენონ. მათ ესეც აქვთ „დაზაგაჟნიკებული“. ვაიდა, ევროკავშირმა სტატუსი მოგვცა, მერე ხომ სხვა მიზეზი სჭირდებათ ქუჩაში გამოსასვლელად და არეულობის მოსაწყობად?!

**— რამდენად მისაღები და სწორია ის გადაწყვეტილებები, რასაც ამ პოლიტიკურ მოცემულობაში „ქართული ოცნების“ ლიდერები გვთავაზობენ?**

— საკმაოდ კარგად უძღვება ყველაფერს **ირაკლი ღარიბაშვილი,** სხვათაშორის, პოლიტიკურად საოცრად გაზრდილია **ირაკლი კობახიძეც,** მეტიც, ვფიქრობ, თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, თუმცა, კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებენ — მეტი კონტაქტი ჰქონდეთ ხალხთან, გააცნონ მოსახლეობას თავიანთი გაკეთებული საქმეები. სასწაული პროექტები ხორციელდება რეგიონებში, რის შესახებაც მოსახლეობის უმრავლესობამ არც კი იცის. სამწუხაროდ, ტვინის გამორეცხვის მეთოდიკა, რომელიც თავის დროზე ნაციონალებმა დანერგეს, უფრო კარგად მუშაობს.

რაც მთავარია, ბოლომდე აღასრულონ სამართალი, გამოიძიონ ძველი საქმეები და რეალურად დასაჯონ ისინი, ვინც დასასჯელია. კიდევ ერთხელ ვამბობ — **თუ უახლოეს პერიოდში სააკაშვილი ციხეში არ გადაიყვანეს, ბუნტს ვერ ავცდებით! წამმზომი ჩართულია!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

№56 (224) ★ 2023 წლის 2 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ლომაია-რანკოვიჩის ხროვიდან ზურაბიშვილ-რინკევიჩსის ხროვამდე

***წინა კვირას საქართველოს მოურჩენელი თავის ტკივილი და რეზიდენტ-„პრეზიდენტი“ სალომე ზურაბიშვილი ტრადიციულად გაფრინდა და ისე, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს, ცამოწმენდილზე ლატვიაში აღმოჩნდა. მადამ რეზიდენტი და ჩვენი ცოდვით სავსე „პრეზიდენტი“, რომლის არჩევასაც გვერჩია, მახათი უხერხულ ადგილებში თუ არა, მურმან დუმბაძის ან რომან გოცირიძისთვის მაინც გაგვერჭო, იქაურ პრეზიდენტს, ვინმე ედგარს რინკევიჩს შეხვდა.***

ნატოსა და ევროკავშირის წევრი **ლატვიის პრეზიდენტი რინკევიჩსი,** რომელიც ამ პოსტს 2023 წლის 8 ივლისიდან იკავებს, ე.წ. **გლობალური ომის პარტიის** თანხმობისა და დასტურის გარეშე, ცხადია, პირველკაცობას ვერ ეღირსებოდა. ამიტომ **რინკევიჩსმა** ზურაბიშვილთან შეხვედრის დროს თავისი უფროსებისა თუ პატრონების წინაშე ვალი მონური ერთგულებით მოიხადა და „გვირჩია“ — **თუ გინდათ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღოთ, საქართველომ რუსეთს ეკონომიკური სანქციები უნდა დაუწესესო!**







თუ რა დაუჯდება საქართველოს ეკონომიკასა და ქართველ ხალხს რუსეთისთვის სანქციების დაწესება, მგონი, ამის გამოცნობას დიდი მკითხაობა არ სჭირდება. თქმა არ უნდა იმასაც, რომ **შევარდნაძე-სააკაშვილის ხროვის** მიერ მიწასთან გასწორებული, გამოხრული და დაქცეული საქართველო რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებით სასიკვდილო განაჩენს მხოლოდ საკუთარ თავს თუ გამოუტანს და კრემლს ფეხებსაც ვერ მოსჭამს; მართლაც, **თუ რუსეთს სანქციებს დავუწესებთ, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მადამ სალომესავით გააფრენს და ისედაც დაქცეული ქვეყანა სულ მთლად თავზე ჩამოგვემხობა, მაგრამ ეს ამბავი არც აგენტ ზურაბიშვილს აინტერესებს და არც — აგენტ რინკევიჩსის, რომლებიც აშკარად ზურაბიშვილ-რინკევიჩსის ხროვად ჩამოყალიბდნენ.**

წლების წინათ, როცა სააკაშვილის კვაზიფაშისტური და გარყვნილი რეჟიმი ხრწნილებისა და სიმყრალის უკანასკნელ სტადიაში შევიდა, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად ამოიკითხავდით ასეთ ტერმინს — **„ლომაია-რანკოვიჩის ხროვა“.** მიგვაჩნია, რომ ეს შეფასება ხელისუფლებაში გაბატონებული ტოტალური უწიგნურობისა და მთელი ერის დამცირება-წამების ავადსახსენებელ პროცესს მათემატიკური სიზუსტით ასახავდა.

ზემოხსენებული ტერმინიდან ცნება **„ლომაია“** სააკაშვილის განათლების მინისტრისა და შემდეგ უშიშროების საბჭოს მდივნის **კახა ლომაიას** პერსონას აღნიშნავდა, რომელიც იმდენად უვიცი და უწიგნური გახლდათ, რომ რამდენიმე სამარცხვინო მცდელობის მიუხედავად, დაფაზე სიტყვა **„ბავშვი“**-ს ნაცვლად მაინცდამაინც **„ბაშვი“** დაწერა. ხოლო რაც შეეხება **„რანკოვიჩს“,** ამ ცნების მიღმა ერთხანს **დიქტატორ იოსიფ ბროზ ტიტოს უერთგულესი მხარდამჭერი, ყოფილი იუგოსლავიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე რანკოვიჩი იგულისხმებოდა, რომელმაც ქვეყანაში სისხლის ტბები დააყენა და იუგოსლავიაში საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ დაიწყო.** ასე, მაგალითად, 1949 წელს სწორედ **რანკოვიჩმა და მისმა ხროვამ** გახსნეს საკონცენტრაციო ბანაკი ხორვატიაში, კუნძულ გოლი-ოტიკზე, რომელიც მაშინ იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა. **ამ ბანაკში დაახლოებით 16 ათასი ადამიანი აწამეს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე რანკოვიჩისა და მისი ხროვის მიერ შექმნილი გოლი-ოტიკი, ფაქტობრივად, ლომაია-სააკაშვილის ხროვის გლდანის მერვე დაწესებულებისა და საერთოდ, მთელი ციხე-კოლონიების ის ავი პრელუდია გახლდათ, სადაც ნაცსექტის რაიხსმარშლები და მათი ობერშტურმანფიურერები — ალექსანდრე მუხაძე „კილერა“, „ექვსთითა“, „სპერმა“, ბაბა მკურნალიძე, ბუტლიაშვილი, მეგის ქარდავა, მამათმავალი კოხტა კოდუა, მამათმავალი თემურ უზირია და სხვა მწამებელ-მწვალებლები** ადამიანებს სიცოცხლეს უსპობდნენ, ორგანოებს აჭრიდნენ, აუპატიურებდნენ, მიცვალებულებზე „ასკოჩავდნენ“ და ენით აუწერელ საშინელებებს სჩადიოდნენ.




მოკლედ, ტერმინი **„ლომაია-რანკოვიჩის ხროვა“** აღნიშნავდა და აღნიშნავს იმ ავადსახსენებელ სიმბიოზს, რომელიც გაფეტიშებულმა უწიგნურობამ და ძალადობამ სააკაშვილის ხელისუფლების სახით შვა.

რაც შეეხება **„ზურაბიშვილ-რინკევიჩსის“** ხროვას, **„ლომაია-რანკოვიჩის ხროვის“** მსგავსად, ეს წყეული ერთობაც საქართველოს განადგურებას ისახავს მიზნად, მაგრამ მისი მავნებლობის ხარისხი ქვეყნისთვის ბევრად უფრო საშიში და დამღუპველია, ვიდრე კანალიზატორი, წერა-კითხვის უცოდინარი და მეგიტარე **ლომაიას** ზრახვანი, რომლის კომიკოსი მამაც **აწ განსვენებული ბორის ლომაია, ანუ „ბორია ამომთხრელი“,** სამეგრელოში, სოფელ ნარაზენში, ჭიჭიკოს წისქვილში, ღრეობებს აწყობდა და, **გადმოცემის თანახმად, ტოლ-მეგობრებს აიძულებდა, შეესვათ ბორიას კ...ტუს** (ცენზურა ჩვენია, რედ.) **სადღეგრძელო, რომელმაც კახა ლომაიას სახით მინისტრი „გააკეთა“!**

ამ ფონზე **ზურაბიშვილ-რინკევიჩსის ხროვა** ბევრად უფრო საშიში, ვერაგი და ყველაფერზე წამსვლელია, რადგან მისი ერთი წევრი **რეზიდენტ-„პრეზიდენტი“ სალომე ზურაბიშვილი** 90-იან წლებში ერთხელ უკვე წავიდა საკუთარი ისტორიული სამშობლოს წინააღმდეგ და თავის კაგებეშნიკ ქმართან **ჯანრი კაშიასთან** ერთად საფრანგეთიდან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა საქართველო **შევარდნაძისა და მისი ხროვის** საჯიჯგნად ექცია!

ჩვენ არ ვიცით, როგორ დაასრულებს თავის მოღვაწეობას **ლატვიის პრეზიდენტი ედგარს რინკევიჩსი,** რომელიც თანამედროვე სალომე ზურაბიშვილთან ერთად საქართველოს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს და უსინდისოდ მოგვიწოდებს, რუსეთს ეკონომიკური სანქციები დავუწესოთ, მაგრამ **კარგად არის ცნობილი თუ როგორ დაასრულა იუგოსლავის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე რანკოვიჩმა. 1966 წელს დიქტატორ იოსიფ ბროზ ტიტოს სამუშაო კაბინეტსა და ცოლის ოთახში საიდუმლოდ დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა იპოვეს თუ არა, ეჭვი მაშინვე რანკოვიჩზე მიიტანეს, რომელიც ვიცე-პრეზიდენტობასთან ერთად იუგოსლავიის შინაგან საქმეთა და უშიშროების სტრუქტურების კურატორობასაც ითავსებდა.** ატეხილი სკანდალის გამო **ალექსანდრე რანკოვიჩი** გადადგა და მთელი ჩვიდმეტი წელი, სიკვდილამდე, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში გაატარა!

ვფიქრობთ, **სალომე ზურაბიშვილიც ან შინაპატიმრობით დაასრულებს ანდა, როგორც ყველა გაშიფრულ აგენტს, ერთ მშვენიერ დღეს თავისი პატრონები გააფრენენ და აღარ მოაფრენენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## სახიფათო პარალელები ★

# ვის უნდოდა საბჭოთა კავშირის დანგრევა ფაშისტური გერმანიის «ბლიცკრიგის» დროს?

**ისტორიკოსის თვალით** ★



**სვიმონ მასხარაშვილი:**

## რატომ შეხვდნენ ბალტიისპირელები, ბელორუსიელები, მოლდაველები და უკრაინელები გერმანელებს პურითა და მარილით!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სხვა ფაქტორებთან ერთად იმ მთავარ მიზეზს გამოყოფს, რამაც 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში უდიდესი სამხედრო უპირატესობა მოაპოვებინა და უზარმაზარი ტერიტორიის უსწრაფესად დაკავება შეაძლებინა:***

— 1941 წელს, როცა ჰიტლერი საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, უზარმაზარი წითელი იმპერიის დანგრევის მოსურნე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მოწინააღმდეგე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ქვეყნის ერთგულებს მაშინ მოღალატეები და გამყიდველები უფრო სჭარბობდნენ!**

**— მაინც ვის უნდოდა საბჭოთა კავშირის დანგრევა ფაშისტური გერმანიის „ბლიცკრიგის“ დროს? როცა ჰიტლერის არმადა წინ მოიწევდა, მოღალატეთაგან ვინ რას სჩადიოდა ქვეყნის ჩამოსაშლელად და დასაჩოქებლად?**

— 1941 წლის 22 ივნისიდან 15-16 ოქტომბრამდე ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის, მთელი ბელორუსიის, მოლდავეთისა და უკრაინის მოსახლეობა, **ყირიმის გამოკლებით, რომელიც მაშინ საბჭოთა უკრაინის შემადგენლობაში არ შედიოდა,** ჰიტლერს, ფაქტობრივად, უბრძოლველად დანებდა! ამას ემატებოდა საკუთრივ რუსეთის ფედერაციის ე.წ. შავმიწანიადაგიანი ზოლი, ანუ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის უმნიშვნელოვანესი, ეკონომიკურად დაწინაურებული რაიონები, რომელსაც ასევე ფაშისტები აკონტროლებდნენ. ყველაფერთან ერთად გერმანელების მიერ ამოდენა ტერიტორიის უსწრაფესად დაპყრობის მთავარი მიზეზი იყო ის პანიკური შიში, რომელიც მაშინდელ საბჭოთა კავშირში ჰიტლერის არმადის მიმართ გახლდათ გამეფებული. საქმე ის გახლავთ, რომ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე, მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობაშიც, ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალად მიიჩნევდნენ ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიებს. იქიდან გამომდინარე, რომ ჰიტლერმა 1940 წლის მაის-ივნისში გენიალური ფელდმარშლის **ერიხ ფონ მანშტაინის** გეგმით, ფაქტობრივად, ერთ თვეში გაანადგურა ინგლისისა და საფრანგეთის არმიები, ჩვეულებრივ მოსახლეობაში შეიქმნა გერმანელების დაუმარცხებლობის მითი.

როგორც პარიზში, ჰიტლერი ზუსტად ისე უომრად შევიდოდა ლონდონში და 1940 წლის ზაფხულში ევროპაში ომი გერმანიის სრული ტრიუმფით დასრულდებოდა, მაგრამ ფიურერმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა და დიუნკერკთან ინგლისელები დაინდო! უფრო მეტიც, 1940 წლის ივლისში გულისამაჩუყებელი წერილიც დაწერა — ინგლისელებო, მიყვარხართ, ჩემს მტრებად არ მიმაჩნიხართ და ამ დიდ ომში ერთად უნდა ვიყოთო! ცბიერი და ვერაგი ჩერჩილი ამ წერილზე დიდხანს იცინოდა... ზემოთქმულის გათვალისწინებით, გერმანელები იმდენად მოტივირებული და ფსიქოლოგიურად თავის თავში დარწმუნებული იყვნენ, გარშემო მყოფებში თესდნენ პანიკურ შიშს, რამაც მაშინდელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობასაც დარია ხელი. ამ შიშს ძალიან აძლიერებდა ის ფაქტი, რომ **1939-1940 წლების ნოემბერ-მარტში საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში მოსკოვმა ათჯერ ნაკლები სამხედრო პოტენციალის მქონე ფინეთი ვერ დაიპყრო.** მართალია, ფინეთმა რაღაც ტერიტორიები დაკარგა, მაგრამ დამოუკიდებლობა მაინც შეინარჩუნა.

**— თუმცა, იმასაც ამბობენ, თითქოს სტალინმა ფინეთის წინააღმდეგ „წითელი არმია“ მთელი ძალით არ აომა და მოახლოებული დიდი ომის წინ ჰიტლერს მთელი თავისი სამხედრო პოტენციალი არ აჩვენა!**

— ეს მოსაზრება სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, 1941 და 1942 წლებში საბჭოთა არმიას გერმანელების წინააღმდეგ ვაჟკაცურად რომ ეომა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და მთელი ფრონტები ჩამოიშალა. ფინეთთან ომი რომ წარუმატებელი იყო, **გრიგორი კულიკის** მაგალითიც მეტყველებს, რომელმაც ამ ომში მარშლობა მიიღო, მაგრამ მალევე „ჩამოალაზორანტეს“ და ომის შემდეგ, 1950 წელს, საერთოდ, დახვრიტეს. რაც შეეხება მარშალ **სემიონ ტიმოშენკოს,** რომელიც სწორედ ფინეთის ომში „თავის გამოჩენისთვის“ 1940 წლის 7 მაისს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი და მარშალი გახადეს, 1941 წლის 19 ივლისიდან მინისტრობიდან მოხსნეს, ხოლო 1943 წლიდან, უნიჭობისა და უვიცობის გამო, ფრონტებისა და არმიების ინდივიდუალურ ხელმძღვანელობას საერთოდ ჩამოაშორეს. საუკეთესო საბჭოთა გენერლები, მათ შორის, მეორე დამრტყმელი არმიის სარდალი, გენერალი **ანდრეი ვლასოვი,** რომელიც სტალინს ძალიან უყვარდა, ფაშისტებს თავის ჯარისკაცებიანად ჩაბარდა, მაგრამ ქართველებისგან განსხვავებით, ვლასოვს რუსების წინააღმდეგ არ უომია!

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— იმას ვგულისხმობ, რომ **ქართველები, რომლებიც ჰიტლერის მხარეს გადავიდნენ, წითელ არმიაში მებრძოლ ქართველებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდნენ, მაგრამ ვლასოვის ჯარისკაცებს თავიანთი თანამემამულეების წინააღმდეგ იარაღი არ აუღიათ!**

სწორედ ქართველი სტალინისა და ბერიას პირადმა გმირობამ და ვაჟკაცობამ იხსნა საბჭოთა კავშირი განადგურებისგან, თორემ **1941 წლის 15-16 ოქტომბერს მთელი მოსკოვი სილამაზის სალონებში იპრანჭებოდა, რათა გერმანელებს გასუფთავებულ-გალამაზებულები დახვედროდნენ.** სტალინის პირადმა მაგალითმა გადაწყვიტა ბევრი რამ, როცა უმძიმეს დღეებში მოსკოვში საალყო წესები გამოაცხადა და კრემლიდან ფეხი არ მოიცვალა. ყველგან, სადაც კი ბერიას დაქვემდებარებაში მყოფი „ენკავედეს“ ჯარები იბრძოდნენ, ჰიტლერი არათუ მოიგერიეს, არამედ ზოგიერთ უბანზე შეტევაზეც კი გადავიდნენ, მაგრამ დანარჩენი ფრონტები თითქმის ყველგან ჩამოიშალა... **შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ სტალინმა და ბერიამ რუსებს ომი ომში ასწავლეს და სწორედ ომში ჩამოაყალიბეს უძლიერესი სამხედრო ელიტა — ოფიცრობა, რომელიც მანამდე, ფაქტობრივად, არ არსებობდა.**

**— შიშის სინდრომისა და სამხედრო უპირატესობის გარდა, კიდევ რა იყო ჰიტლერის წარმატების განმსაზღვრელი საბჭოთა კავშირთან ომის საწყის ეტაპზე?**

— მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით, რომელიც 1939 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა, **ლიტვამ მიიღო ვილნიუსი, რომელიც მანამდე პოლონეთს ეკუთვნოდა, ამავდროულად, მოსკოვს გადაეცა ისტორიული ბესარაბიაც.** ბალტიის სამივე რესპუბლიკაში 1939 წელს სტალინმა ჯარი ისე შეიყვანა, არსად წინააღმდეგობა არ შეხვედრია. უფრო მეტიც, 1940 წელს, როცა ლიტვაც, ლატვიაც და ესტონეთიც აბსოლუტურად ახალი ქვეყნის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ და სამივე სახელმწიფოში წყობა შეიცვალა — ბურჟუაზიულის ნაცვლად გახდნენ კომუნისტური — არსად აჯანყება არ მომხდარა. პირიქით, ლატვიელებში პრორუსული განწყობები ისტორიულად მძლავრი იყო და 1917 წლის ოქ-



**ჰიტლერი უკრაინაში, ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ მარიუპოლში. 1941 წელი**

**„გალიციის, ანუ ყველაზე ულტრა უკრაინის საბჭოთა კავშირში შესვლას არანაირი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია!“**

# „საქართველოს გარდა საბჭოთა კავშირის არცერთ მოკავშირე რესპუბლიკას „წითელი არმიის“ წინააღმდეგ არ უბრძოლია და საბჭოთა ოკუპაცია არ გაუპროტესტებია!“

ტომბრის რევოლუციაში მათ სერიოზული მონაწილეობა მიიღეს, ხოლო ლიტველები საბჭოთა კავშირში შესვლას ერთგვარი სიხარულითაც შეხვდნენ, რადგან სტალინმა მათ ვილნიუსი აჩუქა, რომელიც პოლონელებს წაართვა! არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა ესტონეთშიც... პირიქით, **ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკამ სტალინს საშუალება მისცა, არჩევნები ჩაეტარებინა და მერე ადგილობრივ პარლამენტებს მოსკოვისთვის ეთხოვათ და მოეწონებინათ საბჭოთა კავშირში შესვლა.**

**— 1921 წლის თებერვალში ჩვენ რუსებს კოჯორ-ტაბახმელასთან ვეომეთ, სისხლი დავღვარეთ და 1924 წელს ავჯანყდით, მაგრამ ბალტიისპირელებს არ უომიათ და უთავმოყვარეოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დანებდნენ რუსებს?**

— დიახ, ხელი არ გაუტოკებიათ! მოდით, სიმართლე ვთქვათ — **საქართველოს გარდა საბჭოთა კავშირის არცერთ მოკავშირე რესპუბლიკას „წითელი არმიის“ წინააღმდეგ არ უბრძოლია და საბჭოთა ოკუპაცია არ გაუპროტესტებია!** ერთადერთი, ვინც მცირედ გაიბრძოლა, **სომხები** იყვნენ, თორემ ჩვენსავით არცერთ მოკავშირე რესპუბლიკაში სისხლი არ დაღვრილა. 1924 წლის სექტემბრამდე საქართველოში აჯანყებები არ ცხრებოდა. **1937 წელსაც ხალხს რომ ხვრეტდნენ, ამას საფუძველი ჰქონდა, რადგან სტალინისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეთქმულება ნამდვილად არსებობდა.** აღარაფერს ვამბობ 1956 წლის ამბებზე, როცა ტანკებით გადაგვიარეს... 1978 წელს ერთადერთი რესპუბლიკა საქართველო იყო, რომელმაც კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსი დაიცვა და დატოვა.

**— რუსების წინააღმდეგ არც უკრაინელებს უომიათ?**

— იმას, რაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უკრაინაში ხდებოდა, ვერაფრით დავარქმევთ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. მაშინ უკრაინაში ყველაზე უფრო გამოკვეთილი ფიგურა იყო **ნესტორ მახნო,** რომელიც ხან ბოლშევიკების მხარეს იბრძოდა და ხან — მენშევიკების. ასე რომ, უკრაინაში იყო ქაოსი. ვიმეორებ: საქართველოს გარდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არცერთ ევროპულ საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკაში აჯანყება არ მომხდარა!

**— საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ არც მოლდავეთს უბრძოლია?**

— არამც და არამც! **ბესარაბია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით 1939 წელს რუმინეთს ჩამოაჭრეს და საბჭოთა კავშირს მიუერთეს. არავითარი წინააღმდეგობა ამას არ მოჰყოლია და არავითარი აჯანყება მოლდავეთში არ დაწყებულა.** უფრო მეტიც, 1940 წლამდე ბელორუსიის მოსახლეობის 75 პროცენტი და ტერიტორიის 50 პროცენტი პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ არავითარი წინააღმდეგობა არც იქ ყოფილა. **დასავლეთ ბელორუსიაშიც ჩატარდა არჩევნები და ადგილობრივმა საპარლამენტო სტრუქტურებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირში შესვლას ისე, რომ ფოთოლი ძირს არ ჩამოვარდნილა.**

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა **დასავლეთ უკრაინა**, ანუ ისტორიული **გალიცია, ძველი გალიჩ-ვოლინის სამთავრო,** რომელიც მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, რუსულ სახელმწიფოში არასოდეს შედიოდა. მეტიც, **ეკატერინე მეორემ** 1795 წელს, რეჩ-პოსპოლიტას მესამე გადანაწილების დროს, კათოლიკური ვარშავა შეიყვანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ უნიატურ ლვოვს, რომელიც კრაკოვთან და ტერნაპოლთან ერთად, გალიციის უმთავრესი ქალაქია, ხელი არ ახლო.

**— რატომ?**

— რუსეთს, რომელიც ყოველთვის გამოდიოდა მართლმადიდებელი სამყაროს მედროშედ და დამცველად, ძალიან აშინებდა დასავლეთ უკრაინელი, კერძოდ, ლვოველი უნიატები, რომლებიც მართლმადიდებლები ნამდვილად იყვნენ, მაგრამ ღრმად კათოლიკური ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს, ანუ იმავე რეჩ-პოსპოლიტას ზეწოლის შედეგად, მე-15-16 საუკუნეებში გახდნენ უნიატებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რომის პაპს მწვალებლად არ მიიჩნევდნენ. ამ ხალხის თავის წიაღში მიღებას კი რუსეთი ძალიან უფრთხოდა... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დასავლეთ უკრაინა ჯერ დარჩა პოლონეთს, 1795 წლიდან 1918 წლამდე გალიციის სამეფოს სახით შევიდა საღვთო რომის, შემდეგ — ავსტრიისა და ბოლოს ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, ხოლო 1918 წლიდან — დამოუკიდებელი პოლონეთის შემადგენლობაში. **1939 წელს სტალინმა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით დასავლეთ უკრაინა, ანუ გალიცია, კრაკოვის გარდა, ჩამოაჭრა პოლონეთს და შეუერთა საბჭოთა უკრაინას, ანუ საბჭოთა კავშირს.** ცნობისათვის ყველაზე დიდი ანტიპოლონელები სწორედ გალიციელები არიან, რომლებსაც საშინლად ეჯავრებათ პოლონელები, რადგან ისტორიულად მათგან დიდი ჩაგვრა და შევიწროება აქვთ გადატანილი.

**— გალიციის, ანუ დასავლეთ უკრაინის საბჭოთა კავშირთან შეერთებას წინააღმდეგობა არ მოჰყვა?**

— გალიციის, ანუ ყველაზე ულტრა უკრაინის საბჭოთა კავშირში შესვლას არანაირი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია... აქ რომ აჯანყებები და წინააღმდეგობის მოძრაობა დაწყებულიყო, მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა კავშირი დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მეგობრად ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩებოდა. როგორც ცნობილია, 1939-1940 წლების ფინეთთან სამთვიანი ომის გამო საბჭოთა კავშირი „ერთა ლიგიდან“ გარიცხეს... მოლდაველებს, ბელორუსების 75 პროცენტს, დასავლეთ უკრაინელებსა და ბალტიისპირელებს მოსკოვისათვის წინააღმდეგობა რომ გაეწიათ და აჯანყებები დაწყებულიყო, დასავლეთის რეაქცია არ დააყოვნებდა, მაგრამ ამდაგვარი რამ არსად მომხდარა. აი, სწორედ ეს არის პასუხი იმაზე, თუ რატომ შეხვდნენ ბალტიისპირელები, ბელორუსიელები, მოლდაველები და დასავლეთ უკრაინელები მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს პურითა და მარილით.

აქ დიდი როლი შეასრულა შიშმაც, ეროვნული სულისკვეთების სიმდაბლემაც, ფსიქოლოგიამაც, რელიგიურმა ფაქტორებმაც და ა.შ. ბელორუსიის გარკვეული ნაწილის გარდა, ბალტიისპირეთისა და დასავლეთ უკრაინის მოსახლეობას აზრადაც არ მოსვლია ფაშისტებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. როგორც საბჭოთა კავშირს დანებდნენ და ჩაბარდნენ 1939-1940 წლებში, 1941 წლის ივნის-ოქტომბერში ზუსტად ისე ჩაბარდნენ ფაშისტურ გერმანიას!

**— საინტერესოა, 1941 წელს საქართველოს რომ მოსდგომოდა ჰიტლერი, აქაც იგივე სიტუაცია იქნებოდა?**

— ბრიტანეთისა და გერმანიის სპეცსამსახურების დასკვნით, რასაც ნაწილობრივ საბჭოთა სპეცსამსახურებიც იზიარებდნენ, იმის საფრთხე, რომ საქართველოს მოსახლეობაც მასობრივად ჩაბარდებოდა ჰიტლერს, არსებობდა. სპეცსამსახურები ამის მთავარ მიზეზად ასახელებდნენ 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს იარაღის ძალით დაპყრობას, ანექსიას და ეროვნული ნიშნით ჩატარებულ რეპრესიებს. **სწორედ ამ შიშით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ მთელ საბჭოთა კავშირში საქართველოდან ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ახალგაზრდა გაიწვიეს!**

**— თუმცა, ამას იმითაც ხსნიან, რომ ომში მთავარსარდალი იყო ქართველი სტალინი!**

— თავის მხრივ, სტალინმა გამოიცნო ფაშისტების წარმატების საიდუმლო და თავის პირველ გამოსვლაში ვიღაც სულელ კომუნისტ ლიდერებზე კი არ დაიწყო ლაპარაკი, არამედ გმირი წინაპრები მოაგონა ხალხს და პატრიოტული გრძნობებით ითამაშა. ბელადმა **ალექსანდრე ნეველზე, სუვოროვზე, კუტუზოვზე** ილაპარაკა, მსოფლიო ომების ისტორიაში ყველაზე დიდ სამხედრო ოპერაციას **„ბაგრატიონი“** უწოდა, ხოლო **მიხეილ ჭიაურელს** „გიორგი სააკაძე“ გადააღებინა გაგანია ომის დროს... გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მან პიროვნულად უჩვენა ხალხს გმირობის მაგალითი და იმ უმძიმეს დღეებში კრემლიდან ფეხი არ მოიცვალა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




ფაშისტური გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართული სამხედრო ფორმირების — „ქართული ლეგიონის“ სამკლავე ნიშანი

**„ქართველები, რომლებიც ჰიტლერის მხარეს გადავიდნენ, წითელ არმიაში მებრძოლ ქართველებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდნენ!“**



ჰიტლერი ბელორუსიაში, ბრესტის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის გარნიზონის ტაძარში. 1941 წელი

**„1941 წლის 22 ივნისიდან 16 ოქტომბრამდე ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის, მთელი ბელორუსიის, მოლდავეთისა და უკრაინის მოსახლეობა ჰიტლერს, ფაქტობრივად, უბრძოლველად დანებდა!“**

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ გვარდია ჯარის პრივილეგირებული ნაწილია. ასეთი ნაწილები ყველა ქვეყანაში იყო. საინტერესოა, როდის შეიქმნა საბჭოთა გვარდია და რით განსხვავდებოდა იგი სხვა სახელმწიფოთა გვარდიული შენაერთებისაგან? ვინ იყო ავტორი დიდი სამამულო ომისდროინდელი ცნობილი მოწოდებისა – „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“?




ეს შეკითხვები, გარკვეულწილად, ურთიერთკავშირშია. თავდაპირველად ვეცდები, პირველს ვუპასუხო. **გვარდია** როგორც **ჯარის** პრივილეგირებული სახეობა, პირველად საფრანგეთში გამოჩნდა (მე-15 ს.), შემდეგ კი სხვა ქვეყნებში. **რუსეთში** იგი **იმპერატორი პეტრე I-ის** ბრძანებულებით **1687 წელს** დაარსდა. **ნაპოლეონის** გვარდიამ სახელი **ვატერლოოში** თავისი უკანასკნელი ბრძოლით გაითქვა, როდესაც ყოველი მხრიდან მტრით გარშემორტყმულმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა. მას შემდეგ მისი მეთაურის კამბრონის მიერ იარაღის დაყრის წინადადებაზე პასუხად წარმოთქმული სიტყვები **„გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება“**, ფაქტობრივად, გვარდიული შენაერთების დევიზად იქცა.

**„წითელი გვარდია“** ეწოდებოდა ბოლშევიკთა შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც **1917 წლის მარტში** ჩამოყალიბდა. ერთიანი წითელი არმიის შექმნის შემდეგ (1918 წლის მარტი) ის გააუქმეს. **გვარდია** დიდი სამამულო ომის წლებში აღდგა. ამის საბაბად იქცა **სმოლენსკის** ცნობილი ბრძოლა (1941 წლის სექტემბერი), რომლის მიმდინარეობისას წითელმა არმიამ ჩაშალა **ჰიტლერული სარდლობის გეგმა მოსკოვისკენ შეუჩერებელი და სწრაფი გადაადგილების შესახებ.** ომის დაწყების შემდეგ პირველად ამ ბრძოლის დროს გახდნენ იძულებული გერმანელები, შეჩერებულიყვნენ და თავდაცვაზე გადასულიყვნენ. ამან საბჭოთა სარდლობას შესაძლებლობა მისცა, **მოსკოვის** მისადგომებთან თავდაცვის ხაზი გაემაგრებინა და **მოსკოვისთვის** ბრძოლაში მომავალ წარმატებას შეუწყო ხელი. იმ დროსვე გამოვიდა უმაღლესი მთავარსარდლის **ი. სტალინის** ბრძანება მსროლელთა მესამე დივიზიისთვის, რომელსაც **გენერალ-მაიორი ი. რუსიანოვი** მეთაურობდა და რომელმაც ამ ბრძოლებში გამოიჩინა თავი, გვარდიის წოდების მინიჭების შესახებ (უმაღლესი მთავარსარდლის 1941 წლის 18 სექტემბრის ბრძანება № 308). დანარჩენი შენაერთებისა და ნაწილებისთვის, რომლებმაც ბრძოლაში მამაცობა და გმირობა გამოავლინეს, გვარდიის სტატუსი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **1942 წლის 21 მაისს** იქნა ოფიციალურად შემოღებული. სხვა გვარდიებისაგან საბჭოთა გვარდიის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ის არ გახლდათ ჯარის პრივილეგირებული ნაწილი და ამ წოდებას მამაცობის და გმირობის გამოვლენისათვის იღებდა. ამგვარად, იგი ნებისმიერ შენაერთს შეიძლებოდა მინიჭებოდა. მაგრამ წოდების მიღების შემდეგაც ის არაფრით განსხვავდებოდა სხვა ნაწილებისაგან. ერთადერთი განსხვავება — გვარდიის ნაწილების მებრძოლებს საგანგებო სამკერდე ნიშანი ეკეთათ და მათი წოდებები ასე ჟღერდა — **გვარდიის რიგითი, გვარდიის სერჟანტი, გვარდიის პოლკოვნიკი.** ამ დროს სხვა გვარდიებში (მათ შორის, მეფის რუსეთის) **გვარდიის პოლკოვნიკის წოდება გენერლისას უტოლდებოდა.**

ახლა მეორე შეკითხვაზე გადავიდეთ. დიდი სამამულო ომისდროინდელ მოწოდებას **„სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“** ავტორი არ ჰყავს. უფრო სწორად, მისი ავტორი ფაშიზმთან მებრძოლი ხალხია. ეს მოწოდება სტიქიურად, სპონტანურად წარმოიშვა და პირველად მოსკოვის მისადგომებთან გაისმა, სადაც უკანასკნელ ზღვარს თავგანწირვით იცავდნენ გენერალ პანფილოვის დივიზიის გმირები. ამ ქვეგანყოფილებამაც მიიღო გვარდიის საპატიო წოდება, თანაც მის მებრძოლთა უმრავლესობა გვარდიელი სიკვდილის შემდეგ გახდა.

## ევგენი ევტუშენკოს სამარცხვინო ლექსმა „სტალინის მემკვიდრეები“ ფრიად სავალალოდ გაითქვა სახელი. უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გვიამბობთ ამ ლექსის და მისი ავტორის შესახებ?



ლექსი **„სტალინის მემკვიდრეები“**, პრაქტიკულად, ერთ-ერთი პირველი გამოძახილი აღმოჩნდა **სტალინის** სარკოფაგის მავზოლეუმიდან გამოსვენების შესახებ სკკპ **22-ე ყრილობის** მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. **1961 წლის 1 ნოემბერს „პრავდა“** იუწყებოდა: **„სკკპ 22-ე ყრილობის დადგენილების შესასრულებლად კუბო ი. სტალინის ცხედრით ვ. ლენინის მავზოლეუმიდან კრემლის კედელთან არის გადატანილი.“** ლამის მეორე დღესვე იმავე **„პრავდაში“ ევგენი ევტუშენკო** ამ ფაქტს თავისი პოეტური პასკვილით გამოეხმაურა. ფორმით მდარეხარისხოვან და შინაარსით ცილისმწამებლურ ამ **„შედევრში“** ლიტერატორი, რომელსაც რუსი პოეტების, ანუ **პუშკინის, ლერმონტოვის, ბლოკის, ესენინის** მემკვიდრეობის პრეტენზია აქვს, გვარწმუნებს, რომ **„სტალინი თავს იმკვდარუნებს“, „თვალით კუბოს ჭუჭრუტანას მიჰკვრია“,** რათა კარგად დაიმახსოვროს ჯარისკაცები, რომლებსაც მავზოლეუმიდან გამოჰყავთ, **„ბოლმით შეუკრავს დაბალზამებული მუშტები“** და ასე შემდეგ. **ევტუშენკო** მიმართავს მთავრობას (წაიკითხეთ — ნიკიტა ხრუშჩოვს) მოთხოვნით, **„გააორმაგონ, გაასამმაგონ გუშაგები“** ბელადის ახალ საფლავთან, რათა **სტალინი,** ღმერთი არ გაუწყრეს, კუბოდან არ წამოდგეს. ეს პოეტური **„მარგალიტი“** მთავრდება განცხადებით, რომ **„ვიდრე დედამიწაზე სტალინის ერთი მემკვიდრე მაინც იარსებებს“,** ავტორს მოეჩვენება, რომ **„სტალინი ჯერაც მავზოლეუმშია“.**

ეს ლექსი ლიტერატურულად იმდენად უსუსური იყო (და ეს არც არის გასაკვირი, ის შეკვეთით, „სასწრაფოდ ნომერში“ იწერებოდა), რომ **ევტუშენკომ** მასობრივი ტირაჟებით გამოცემულ ვერცერთ კრებულში ვერ გაბედა მისი ჩართვა. მაგრამ მოდის ახალი, **„გარდაქმნისეული“** ანტისტალინური ტალღა და **ევტუშენკო** კვლავ აქვეყნებს თავის შესწორებულ-შევსებულ ოპუსს (უეჭველია, ახალი ხელისუფლების დაკვეთით) ჟურნალ **„ნედელიაში“** (1987 წლის № 5), იქიდან კი **„სტალინის მემკვიდრეებმა“** გადაინაცვლა კრებულში **„ისტორია თეთრი ლაქების გარეშე“** (ლენიზდატი, 1990 წ.).

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ **50-იანი წლების** დასაწყისში **ევტუშენკომ** პოეტური პროსტიტუტის კარიერა მოსკოვის პრესაში **„ყველა დროისა და ხალხის“** ბელადის განმადიდებელი ლექსების გამოქვეყნებით დაიწყო.

აი, ასეთია სახე მეორე კი არა, პირველი უძველესი პროფესიის წარმომადგენლისა, რომელიც დიდ რუსულ ლიტერატურას არცხვენს. აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს ადამიანს, რომელიც თვითონ აღიარებს ერთ ინტერვიუში: **„მუხრან მაჭავარიანის მაგივრად პარტიაზე ლექსი მე დავწერე. საყვედურობდნენ, რომ ერთი სტრიქონიც არ ჰქონდა პარტიაზე. ჰოდა, მეც მის ნაცვლად დავწერე...“**

სადგურის მეძავების ენაზე ეს აღიარება ასე ითარგმნება: **„ჩემმა დაქალმა კლიენტის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. ჰოდა, მე შევცვალე. ჩემთვის პირველი იყო თუ რა...“**

მოკლედ, ღირსების ორდენმა, რომელსაც ღირსებასთან საერთო არაფერი აქვს, ღირსეული მკერდი დაამშვენა.

## ვინ არიან ჩელუსკინელები და რა გმირობა ჩაიდინეს? ჩემს ახალგაზრდობაში ეს სიტყვა წამდაუწუმ მეორდებოდა, თბილისში ჩელუსკინელთა სახელობის ხიდიც კი იყო, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი სინამდვილეში, ცოტამ თუ იცის.

„ჩელუსკინელთა“ ეპოპეა სსრკ-ში ჩრდილოეთის საზღვაო გზის ასათვისებლად წამოწყებული სამუშაოდან იღებს სათავეს. ის სტალინის ინიციატივით დაიწყო და ბელადი მას უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1932 წლის დეკემბერში მეცნიერთა და პოლარელთა მონაწილეობით გამართულ პოლიტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე ის ამბობდა: **„ჩვენი საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოყინულოვან ოკეანეზე გადის. ამასთან, ეს ერთადერთი საზღვაო გზაა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთთან ჩვენს კავშირს უზრუნველყოფს. თანაც ჩრდილოეთის აუთვისებელი რაიონები მათი ურიცხვი სიმდიდრით თავის ჟამს ელოდებიან.“**

მალე მიღებული იქნა სახკომსაბჭოს დადგენილება ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების შესახებ. 1933 წლის 14 ივლისს ექსპედიცია არქტიკის უმსხვილესი სპეციალისტის ო. შმიდტის ხელმძღვანელობით გემი „ჩელუსკინით“ (კაპიტანი ვ. ვორონინი) გავიდა ზღვაში. სექტემბერში გემი ყინულებში გაიჭედა, მისი დრეიფი რამდენიმე თვეს გაგრძელდა. 1934 წლის 13 თებერვალს „ჩელუსკინი“ ჩაიძირა. მაგრამ ეკიპაჟის და ექსპედიციის ყველა წევრმა — 101 ადამიანმა, მათ შორის, 10 ქალმა და ორმა ბავშვმა, ყინულებზე გადასხდომა მოახერხა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, სტალინმა ბრძანა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ჩელუსკინელები გადაერჩინათ. ამ საქმისთვის მან საბჭოთა კავშირის საუკეთესო მფრინავების — ლაპიდიევსკის, ლევანევსკის, მოლოკოვის, კამანინის, სლეპნევის, ვოდოპიანოვის, დორონინის და სხვათა მობილიზება მოახდინა. მთელი ქვეყანა შიშით ადევნებდა თვალყურს ცნობებს პოლარულ ყინულზე განლაგებული „შმიდტის ბანაკიდან“. სტალინის შევარდნებმა არაერთხელ ჩაიგდეს სიცოცხლე საფრთხეში და 1934 წლის 13 აპრილისთვის ყინულიდან უკლებლივ ყველა ჩელუსკინელი აიყვანეს. პოლარელთა გადარჩენისას გამოვლენილი გმირობისათვის ყველა მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.



ასე ხვდებოდა მოსკოვი საბჭოთა მფრინავების მიერ გადარჩენილი „ჩელუსკინის“ გმირ ეკიპაჟს

## როდის ჩამოყალიბდა პირველი საბჭოთა მთავრობა და კონკრეტულად ვინ შედიოდა მის შემადგენლობაში?



პირველი მთავრობა ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების დაპყრობისთანავე შეიქმნა, უფრო ზუსტად კი **1917 წლის 25-26 ოქტომბრის ღამეს** (ახალი სტილით 7-8 ნოემბერი). ოქმში მითითებულია საათი, როდესაც სხდომა დამთავრდა — ღამის 2 საათი და 30 წუთი. მთავრობის შემადგენლობა ერთგვაროვანი — ბოლშევიკური იყო. მართალია, **ლენინმა** ოფიციალურად შესთავაზა მემარცხენე ესერებს მთავრობაში შესვლა, მაგრამ მათ ეს წინადადება არ მიიღეს. თავიდან ივარაუდებოდა, რომ ახალი **„მუშურ-გლეხური მთავრობისთვის“** მინისტრთა კაბინეტი უნდა ეწოდებინათ, მაგრამ **ლენინმა** განაცხადა, რომ **„ძველი სახელწოდებები ყველას მობეზრდა“** და შესთავაზა, მინისტრებისთვის **„კომისრები“** დაერქმიათ. **სტალინმა** ამ სიტყვას ზედსართავი **„სახალხო“** დაუმატა. ასე შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო. ანატოლი ლუნაჩარსკი იხსენებდა: **„ეს სმოლნის ერთ პატარა ოთახში მოხდა, სადაც სკამებზე პალტოები და შლაპები იყო დახვავებული და ყველა ცუდად განათებული მაგიდის გარშემო შეჯგუფულიყო“.**

პერსონალური შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

**საბჭოს თავმჯდომარე** — ვ. ულიანოვი (ლენინი); **შინაგან საქმეთა კომისარი** — ა. რიკოვი; **მიწათმოქმედების** — ვ. მილიუტინი; **შრომის** — ა. შლიაპნიკოვი; **სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომიტეტი** — ვ. ოვსეენკოს (ანტონოვი), ნ. კრილენკოს და პ. დიბენკოს შემადგენლობით; **ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარი** — ვ. ნოგინი; **სახალხო განათლების** — ა. ლუნაჩარსკი; **ფინანსთა** — ნ. სკვორცოვი (სტეპანოვი); **საგარეო საქმეთა** — ლ. ბრონშტეინი (ტროცკი); **იუსტიციის** — გ. ოპოკოვი (ლომოვი); **სურსათის საქმეთა** — ი. ტეოდოროვიჩი; **ფოსტა-ტელეგრაფის** — ნ. ავილოვი (გლებოვი); **ეროვნების საქმეთა** — ი. ჯუღაშვილი (სტალინი).

2023 წლის 2 ოქტომბერი, №56 (224)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# მაზაკვალის მაზაკვალი

***მაზაკვალი მეგრული სიტყვაა და მზაკვარს, ეშმაკს, სატანას ნიშნავს... შესაბამისად, მეგრულად კაცზე რომ იტყვიან — მაზაკვალიაო, ე.ი. მზაკვარ, სულწაწყმედილ და უწმინდურ კაცზე ლაპარაკობენ.***

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ქართველ პოლიტიკოსთაგან პირველი იყო, ვინც ეს მეგრული სიტყვა — **მაზაკვალი** — საჯარო განცხადებაში გამოიყენა, როცა თავის წინამორბედ **გიორგი გახარიას „მოღალატე მაზაკვალი“** უწოდა.

ეს მოხდა ორი წლის წინათ, როცა **გახარია** ყველასათვის მოულოდნელად პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა, მიზეზად კი **ნიკანორ მელიას** დაკავების საკითხზე „ქართულ ოცნებასთან“ წარმოშობილი უთანხმოება დაასახელა.

**— სახელმწიფოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამ და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე მელიას დაპატიმრებამ შესაძლოა, პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს და მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას, მაგრამ „ქართული ოცნების“ ლიდერებს ეს ვერ შევაგნებინე, რის გამოც თანამდებობას ვტოვებ!** — ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა **გახარიამ** 2021 წლის 18 თებერვალს, ბიძინა ივანიშვილის დაბადების დღეს, რითიც ძალიან გაახარა ნაციონალური მოძრაობა, ხოლო „ქართული ოცნება“ და საზოგადოების დიდი ნაწილი შოკში ჩააგდო.

თუმცა, ეს შოკი მოკლევადიანი აღმოჩნდა, რადგან **„ქართულმა ოცნებამ“ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი მალევე იპოვა და პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილი** მოგვევლინა. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაღალი დონის სპეცოპერაცია ჩაატარა და **გვარამიას მიერ „ალამუთის ციხედ“ მონათლულ ნაცპარტიის ოფისში გამაგრებული ნიკანორ მელია** ისე დააკავა, არათუ მშვიდობიანი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს არ შეექმნა საფრთხე, არამედ თავად მელიასა და მის მცველებად გამწესებული ნაცზონდერების ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც არაფერი დაუშავდა.

აი, სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ იყო, რომ ზუგდიდში ჩასულმა **პრემიერმა ღარიბაშვილმა** ტელეკამერების წინ მთელი ქვეყნის გასაგონად განაცხადა:

***„ჩემ თვალში გახარია არის ჩვეულებრივი მოღალატე. სამეგრელოში ვარ და მეგრელები გამიგებენ, ის არის იშვიათი, მაზაკვალი მოღალატე“.***

ყოფილმა თანაგუნდელებმა — „ქართული ოცნების“ ლიდერებმა — **გიორგი გახარიას „მოღალატე მაზაკვალობა“** კიდევ ერთხელ გაუხსენეს რამდენიმე კვირის წინათ, როცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ **ნიკა მელიას** სასარჩელო მოთხოვნათაგან არცერთი არ დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ მისი დაკავებაც და პატიმრობაც სრულად შეესაბამებოდა ევროპულ კონვენციას; **სტრასბურგის სასამართლოს დასკვნით, მელიას მიმართ არც პოლიტიკურ დევნას ჰქონია ადგილი და ნაცმოძრაობის თავმჯდომარის დაპატიმრების მოტივი პოლიტიკური ცხოვრებიდან მისი ჩამოშორება არ ყოფილა.**

სტრასბურგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **გიორგი გახარია და მისი თანაპარტიელები** მელიას პატიმრობის საკითხზე ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდნენ... **სინდისი, ნამუსი, მორალი და პოლიტიკური ღირსება არ უნდა აძლევდეს მათ ამ თემაზე კრინტის დაძვრის საშუალებას...**

თუმცა, უტიფრობა და ფარისევლობა ხომ ძალიან დიდი ხანია, ქართული პოლიტიკის ორგანულ ნაწილად არის გადაქცეული!

ჰოდა, გასულ კვირას, **მას შემდეგ, რაც ნიკანორ მელიამ განაცხადა — გამორიცხული არ არის, ნაცმოძრაობა დავტოვო და სხვა პლატფორმიდან ვიბრძოლოო,** გახარიას პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა **ბექა ლილუაშვილმა** ასეთი კომენტარი გააკეთა:

***„მელიაზე შემიძლია, ერთი რამ ვთქვა — ის დღეს გამოყოფაზე, პოლიტიკური პლატფორმების ჩამოყალიბებაზე კი არ უნდა საუბრობდეს, უნდა იჯდეს ციხეში იმის გამო, რაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, რომ ეს იყო პირდაპირ, მათ შორის, მელიას მონაწილეობით, შტურმი სახელმწიფო ინსტიტუტზე. „ქართულმა ოცნებამ“ უფრო მეტად მავნებლური ქმედება შეასრულა, მელიას აჩუქა პოლიტიკური ხელშეუხებლობა, იმუნიტეტი შეუქმნა ამნისტიის მიღებით, რასაც ჩვენ მაშინაც და დღესაც ვეწინააღმდეგებოდით და მომავალშიც შევეწინააღმდეგებით“.***

უტიფრობა, **მაგრამ ამხელა?!**

ფარისევლობა, **მაგრამ ასეთი?!**

მაზაკვალობა, **მაგრამ ამ მასშტაბის?!**

მელია დღეს ციხეში უნდა იჯდეს! — **ამას ამბობს სწორედ იმ გახარიას თანაპარტიელი, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წავიდა, რათა სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღესრულებინა და მელია არ დაეპატიმრებინა!**

წარმოიდგინეთ,

**გახარიამ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია იმის გამო, რომ მელიას დაპატიმრებას სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველად თვლიდა, ახლა კი იმავე გახარიას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ხელისუფლებას საყვედურობს, მელია ციხეში რატომ არ ზისო!**

**როგორც ჩანს, მაზაკვალობა, ანუ მზაკვრობა მართლაც არის გახარიას პარტიის საფირმო ნიშანი!**

მაგრამ მაზაკვალობაც არის და მაზაკვალობაც!

**რაც გახარიას პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბექა ლილუაშვილმა თქვა, ეს მთლად მაზაკვალობის მაზაკვალობაა და თუ გახარია მაზაკვალია, ლილუაშვილი მაზაკვალის მაზაკვალი გამოდის!**

**მაზაკვალის მაზაკვალი** ლილუაშვილის ნათქვამი თვით **ნამდვილ მაზაკვალს** — ეშმაკსაც კი პირღიად დატოვებდა!

**როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში უტიფრობას, ფარისევლობასა და მზაკვრობას ზედა ზღვარი არ გააჩნია!**

ანდა, გენიოსი **ალბერტ აინშტაინის** ცნობილი ფრაზის სტილში რომ ვთქვათ, **ორი რამ არის უსასრულო — სამყარო და ქართულ პოლიტიკაში დაბუდებული მაზაკვალების მზაკვრობა, თუმცა, სამყაროს უსასრულობაში მთლად ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ!**

***ჯაბა ხუბუა***




**მელია დღეს ციხეში უნდა იჯდეს! – ამბობს იმ გახარიას თანაპარტიელი, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წავიდა, რათა მელია არ დაეპატიმრებინა!**



დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–42

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***იგორ კვესელავა*** ***იმ წინააღმდეგობებზე გვესაუბრება, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს საქართველოს ხელისუფლებებმა შესძინეს:***



— 2024 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 85 წელი უსრულდება. ამ ხუთი წლის წინათ, გამსახურდიას 80 წლის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით, საზოგადოების წარმომადგენლებმა მიმართეს საქართველოს მაშინდელ გენერალურ პროკურორ **შალვა თადუმაძეს,** დაეწყოთ გამოძიება პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით შემდეგი ფაქტების საფუძველზე:

***1.*** *თენგიზ კიტოვანის მიმხრობილი ჯგუფების მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა;* ***2.*** *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ უზენაესი საბჭოს დატოვებისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს ამბოხებულთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ ეროვნული ხელისუფლების კოლონის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნა, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, დასახიჩრება და სხეულის მძიმე დაზიანება;* ***3.*** *1992 წლის 6 იანვარს სოფელ ალაიანთან სენაკის ბატალიონის მებრძოლთა განადგურება;* ***4.*** *კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა თბილისში დაწყებული მრავალათასიანი მიტინგების წინააღმდეგ ფიზიკური ძალის გამოყენება;* ***5.*** *ხუნტის სამხედრო ნაწილების მიერ დასავლეთ საქართველოს დაუმორჩილებელი რაიონების წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობები, ძარცვა, მკვლელობები, დარბევები, ადამიანთა გაუპატიურება და მასობრივი წამება (კორნელი შანავას წამება და ვახტანგ ნოდიასთვის ზვიადის დახატვის გამო მარჯვენის მოჭრა);* ***6.*** *საბრძოლო მოქმედებებისა და სამხედრო ოპერაციების პარალელურად ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მასობრივი დაპატიმრება, წამება...* ***(ამირან კალაძე, ვახტანგ გოქსაძე, თამაზ წიკლაური, „ქვარლის საქმე“, ხობში სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე რამდენიმე პირის დახვრეტა და ა.შ.);*** ***7.*** *სამხედრო გადატრიალებაში უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ბანდიტური დაჯგუფებების გვერდით უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისა და სამხედრო ქვედანაყოფების* ***(გენერალი სუფიან ბეპაევი და ადმირალი ედუარდ ბალტინი)*** *მონაწილეობა, რომლებიც უშუალო კავშირში იმყოფებოდნენ სამხედრო გადატრიალების მეთაურებთან!*

აი, ეს შვიდი პუნქტი ჩამოყალიბდა და ამ მოთხოვნებს ხელს აწერდნენ ცნობილი პიროვნებები — პარლამენტარები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები, ეროვნული მოძრაობის წევრები... ეს ხალხი მზად იყო, ეთანამშრომლა პროკურატურასთან და მიეწოდებინა მისთვის სხვადასხვა მტკიცებულება... ხელმომწერთა შორის იყვნენ: **თინათინ მღვდლიაშვილი, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ჯემალ დავლიანიძე, ვალერი გაბელია, ლევან ხაჭაპურიძე, ციცინო მაღლაფერიძე, თამაზ გველესიანი, ბესიკ მიქავა, მანონი შავდია, ლიანა მენაბდე, გიორგი კერვალიშვილი, კახა კუკავა, მირიან წიკლაური, სალომე ზვიადაძე, მანანა გაბაშვილი, რობერტ და გურამ პეტრიაშვილები, ნუგზარ შავთვალაძე, ალექსანდრე ვარძელაშვილი, ტარიელ დუდაური, ნიკოლოზ სანებლიძე, გივი კვანტალიანი, დავით კუპატაძე, შოთა რატიანი, მზია სულაძე, პეტრე ივანიძე, ბადრი გოგელაშვილი, ნოდარ მაისურაძე, მამა ნოდარ ქათამაძე, მამა გიორგი აბდუშელიშვილი** და სხვ.

**— საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ამ ადამიანებიდან რომელიმე დაჰკითხა?**

— არავინ დაკითხული არ არის, კაციშვილი არ დაუბარებიათ! ტრაგიკომედია ის არის, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას, რომელიც გამსახურდიას გარდაცვალებას ვითომდა იძიებდა, საქმეზე მუხლი არ ჰქონდა მითითებული, რაც მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში ნონსენსია! გარდა ამისა, ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებს უკრძალავდა გამოძიების მასალების ასლების გადაღებას. უდავოა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე უხარისხოდ არის გამოძიებული და არ ხდებოდა მტკიცებულებების ჯეროვანი შეფასება, შეპირისპირება და ამ ყველაფერზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა. ცხადია, როგორც პოლიტიკური, ისე პიროვნული თვალსაზრისით, ედუარდ შევარდნაძე წარმოადგენდა უპირველეს პირს, ვინც დაინტერესებული იყო ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციით. **მართალია, ბუნებაში დოკუმენტური სახით ჯერჯერობით არ არსებობს შევარდნაძის მიერ გაცემული ბრძანება პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ, მაგრამ ედუარდის ბრიფინგებში, განცხადებებსა და გამოსვლებში მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ბრალი გამსახურდიას მკვლელობაში აშკარად იკვეთებოდა.** ამიტომაც, თუ თადუმაძე და მისი პროკურატურა ზემოხსენებულ ხელმომწერთა მოთხოვნებს შეიწყნარებდნენ და გამოძიებას სწორად წარმართავდნენ, გამორიცხული არ იყო, ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში ედუარდ შევარდნაძისთვის ბრალი სიკვდილის შემდეგ მაინც წარედგინათ, მაგრამ არც ეს გააკეთეს!

**— მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ გამსახურდიას მკვლელობას საქართველოს არცერთი ხელისუფლება არ ხსნის და საქმე დღემდე თაროზეა შემოდებული?**

— ამის მიზეზი **საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პოლიტიკური ელიტების მონაწილეობაა,** რომლებიც შევარდნაძეს ზურგს უმაგრებდნენ. არსებობს ზვიად გამსახურდიას დევნილობის პერიოდში გროზნოსა და ზუგდიდს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, აუდიო თუ ვიდეოკასეტები, რომლებიც **ლოთი ქობალიას** სასამართლო პროცესზე ნივთმტკიცებად წარმოადგინეს, თუმცა, ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო გამსახურდიასთვის „სამშობლოს ღალატის“ მუხლით ბრა-

# იგორ კვესელავა:

# ამ ხელისუფლებამ საქართველოში სამართლიანობა იმიტომ ვერ აღადგინა, რომ ზვიადის მკვლელობა არ გახსნა!



ბიძინა ივანიშვილი სოფელ ძველ ხიბულაში. 2019 წელი

**ბიძინა ივანიშვილი:**

**თუ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება გვინდა, აუცილებლად უნდა დავადგინოთ, როგორ და რა ვითარებაში მოკვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი!**

## კვირგვინოსნები



**გიორგი გამსახურდია**
*პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი*

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ **სალომე ზურაბიშვილს რაღაც პოლიტიკური ძალები მართავენ!**

„TV იმედი“



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

ხალხის მეხსიერებაში **მიხეილ სააკაშვილი** ბოლომდე დარჩება **არამზადად, ავაზაკად.** ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ის ადამიანები, ვისაც **შვილი, მეუღლე, მშობლები წაართვა.**

„TV იმედი“



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

ბიძინას სურვილი იყო, **სასამართლო ხელისუფლება ისევ ისეთი დარჩენილიყო,** როგორიც ნაციონალების დროს გახლდათ. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი რამ იყო: **ბიძინა კმაყოფილი ყოფილიყო.**

„გზა“



**ნიკა რიჟამე**
*ექსპერტი*

**სალომე ზურაბიშვილი** შეეკვრება ნებისმიერს, **ოღონდ თანამდებობა შეინარჩუნოს!**

„ახალი თაობა“



**ვაჟა სურგულაძე**
*„ლელოს“ წევრი*

პირდაპირ გეუბნებით, **მე ვერ ვენდობი სალომე ზურაბიშვილს.** ყველა მისი ნაბიჯი არის ალოგიკური!

„ახალი თაობა“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობა არის **კრიმინალების პარტია და კრიმინალური სინდიკატი.** ფაქტობრივად, მათი ლიდერი არ არის დარჩენილი, რომელიც ნასამართლევი არ იყოს.

„იმედინიუსი“

# „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა უჭკუო კაცმა დაგეგმა, რადგან უამრავი შეკითხვა დატოვა!“

ლის წაყენება. არადა, ჩვენ კარგად ვიცით, რომ შევარდნაძე გამსახურდიაზე ამბობდა — **„საქართველოს არასოდეს ჰჰყოლია ისეთი მოღალატე, როგორიც გამსახურდია!“** თუმცა, ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ედუარდმა ზვიადზე ასეთი რამეც თქვა — **„ზვიად გამსახურდიამ საქართველოში სიმართლის დროშა აღმართა!“**

ხიბულაში ჩასული საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** საქართველოს მოსახლეობას აუწყებდა — **„პირველი პრეზიდენტის მიტოვებული საქმის გამოძიება განახლდა და მას ბოლომდე მიიყვანენ, რადგან მთელმა საქართველომ იცის, სინამდვილეში რაც მოხდა. თუ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება გვინდა, აუცილებლად უნდა დავადგინოთ, როგორ და რა ვითარებაში მოკვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი!“**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისღა დაგვრჩენია, განვაცხადოთ შემდეგი — ამ ხელისუფლებამ საქართველოში სამართლიანობა იმიტომ ვერ აღადგინა, რომ ზვიადის მკვლელობა არ გახსნა!

**— ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებაში ჩართული იყო სამი უძლიერესი ბრიტანელი ექსპერტი... საინტერესოა, რა დასკვნა დადეს მათ?**

— სამმა უძლიერესმა ბრიტანელმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ **ზვიად გამსახურდიას იმ მდგომარეობაში თავის მოკვლა არ შეეძლო!** გამსახურდიას მკვლელობის საქმეში „სტეჩკინის“ გარდა ფიგურირებს მეორე იარაღი წარწერით — „არგენტინა“, რომელიც „გეკოს“ ტყვიებს ისროდა... ეს იარაღი დღესდღეობით დაკარგულია და კაცმა არ იცის, სად არის.

ჩეჩნეთის პრეზიდენტი, **გენერალი ჯოხარ დუდაევი** დარწმუნებული იყო, რომ ზვიად გამსახურდია არა „სტეჩკინის“, არამედ სწორედ „გეკოს“ ტყვიით მოკლეს! ამიტომაც არ ჩანს იარაღი „არგენტინა“... **დუდაევი** ხელწამოსაკრავი ფიგურა და გენერალი არ ყოფილა და აშკარაა, მან იცოდა, რასაც ამბობდა. როგორც მოწმეები ამტკიცებენ, პრეზიდენტს ეს იარაღი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ მისი არსებობის შესახებ დაცვის წევრებისათვის თითქოს ცნობილი არ იყო.

**— დავიჯეროთ, ბესარიონ გუგუშვილმა არ იცოდა პრეზიდენტს რომ მეორე იარაღიც ჰქონდა?**

— ამის დაჯერება ყოვლად წარმოუდგენელია! იარაღი ნემსი არ არის, სადმე შეუმჩნევლად დამალო... დარწმუნებულ ვარ, დაცვის წევრებმაც იცოდნენ ამ იარაღის არსებობის შესახებ, მაგრამ შემდეგ განაცხადეს — ჩვენ არაფერი ვიცოდითო! **ჯონსონ კვარაცხელიას** სახლში ორ მცველის — **ზაზა ბურჯანაძისა და გოჩა კეკენაძის** დატოვებას იმ მიზეზით, რომ **კარლო ღურწკაიას სახლი**



ახალგაზრდა ზვიად გამსახურდია ნადირობისას

„ჩეჩნეთის პრეზიდენტი, გენერალი ჯოხარ დუდაევი დარწმუნებული იყო, რომ ზვიად გამსახურდია არა „სტეჩკინის“, არამედ „გეკოს“ ტყვიით მოკლეს!“



ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია

მათ ვერ დაიტევდა, სერიოზული ეჭვი უნდა გამოეწვია. არადა, ამ დროს ღურწკაიების სახლში ოცზე მეტი ადამიანი თავისუფლად განთავსდებოდა... ბუნებრივია, რაც მეტი მომხრე ეყოლებოდა ზვიად გამსახურდიას **კარლო ღურწკაიას სახლში,** მით უფრო გაძნელდებოდა მისი მკვლელობა. ამიტომ ორი ერთგული მომხრე, დაცვის ორი წევრი — **ბურჯანაძე და კეკენაძე** მას მიზანმიმართულად ჩამოაშორეს.

## არსებობს სერიოზული არგუმენტი თვითმკვლელობის ვერსიის გასაბათილებლად – პირველი პრეზიდენტი, რომელსაც სასთუმალთან ბიბლია ედო, არავითარ შემთხვევაში თავს არ მოიკლავდა!

სამეგრელოში დევნილობის დროს პრეზიდენტის გარშემო კაცებთან ერთად ქალებიც ტრიალებდნენ და მასპინძლებს შორის უშიშროების თანამშრომლებიც იკვეთებოდნენ.

**— ვინ იყვნენ ეს ქალები?**

— **ეს ორი ქალი რობიზონ მარგველანთან იყო დაახლოებული და ჯონსონ კვარაცხელიას მეზობლად დაბანაკდა.** დასტურდება შემთხვევები, როცა ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში დევნის დროს უშიშროების აგენტები თავიანთ სახლში პატიჟებდნენ და პრეზიდენტის მასპინძლები ხშირად პატიოსანი გლეხები არ ყოფილან.

**— ეს დოკუმენტურად დასტურდება?**

— დიახ, ეს ფაქტები დოკუმენტურად დასტურდება და შევარდნაძის სპეცსამსახურებს საგანგებოდ აქვთ აკინძული, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში დევს. უშიშროების ფარული თანამშრომლების რჩევით, სამეგრელოში, მწყემსების კარვიდან წამოსული ზვიად გამსახურდიას დაცვის რიგები ისე შეთხელდა და პრეზიდენტი განგებ მიჰყავდათ ისეთ ადგილებში, რომ მისი დაპატიმრება ძალიან ადვილი ყოფილიყო. როგორც ჩანს, ედუარდ შევარდნაძემ და მისმა უახლოესმა გარემოცვამ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაპატიმრება გადაიფიქრეს — **პატიმარი ზვიად გამსახურდია შევარდნაძეს არ სჭირდებოდა,** მას მკვდარი ზვიადი უნდოდა!

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასაც — საჭირო დროსა და სიტუაციაში ზვიად გამსახურდიასთან ყოველთვის გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც მას ადგილის შეცვლას ურჩევდა! ანუ პრეზიდენტის უსაფრთხოების მოშლასთან ერთად გამსახურდიაზე გამუდმებით ხორციელდებოდა უდიდესი ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც. ამრიგად, **კარლო ღურწკაიას სახლი** იყო ის უკანასკნელი თავშესაფარი, სადაც შევარდნაძის სპეცსამსახურებს ძალიან ადვილად შეეძლოთ შეღწევა და ზვიად გამსახურდიას მოკვლა! **გამსახურდიას მკვლელობა დააჩქარა მისმა სურვილმა — გააქტიურებულიყო! — რაც მოენეების მეშვეობით შევარდნაძისთვის უმალვე გახდა ცნობილი.**

**— გააქტიურებაში რას გულისხმობთ?**

— გამსახურდია ლამობდა სამეგრელოდან გაღწევას, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევდნენ. იურისტი და გამომძიებელი **მერაბ რაფავა,** რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობას იკვლევდა, აცხადებდა, რომ **კარლო ღურწკაიას სახლში** პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ შედგა რაღაც ოქმის მსგავსი დოკუმენტი, რომელიც იმ თანხის ოდენობასა და აღწერილობას გვამცნობდა, რომელიც პრეზიდენტს ჰქონდა. დოკუმენტში არსად ფიგურირებდა ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რამდენი ტყვია იყო „თვითმკვლელობის“ იარაღში, არ ჩანდა გასროლილი ტყვიის გულა და მასრა და არ ჩანდა იარაღი წარწერით — „არგენტინა“. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ არც **ბესარიონ გუგუშვილს** და არც დაცვის რომელიმე წევრს არ უნახავთ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა! პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა რომ თბილისში დაიგეგმა, ეს ცხადია, მაგრამ მკვლელობა უჭკუო კაცმა დაგეგმა, რადგან უამრავი შეკითხვა დატოვა! ედუარდ შევარდნაძის მიერ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა პირადად აქვს გამოძიებული **ვალტერ შურღაიას... გია გულუას** გარდა, შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა სხვა ჯგუფისთვისაც ჰქონდა დავალებული... **ვალტერ შურღაია** საგამოძიებო კომისიასთან პირად საუბრებში ასახელებდა მკვლელსაც, თუმცა, სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები მას არ წარმოუდგენია.

**— თუ დავუშვებთ, რომ ზვიადმა თავი მოიკლა, მაშინ შევარდნაძის წინააღმდეგ საქმე პრეზიდენტის თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით უნდა აღძრულიყო...**

— მაგრამ გამოძიება არცერთ ეტაპზე არ დაინტერესდა **ედუარდ შევარდნაძით,** რომლის მიმართაც უამრავი შეკითხვა არსებობს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მუხლით **ედუარდ შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანის, თენგიზ სიგუასა და ჯაბა იოსელიანის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას! მათგან სამი მკვდარია, ხოლო ერთი — კიტოვანი — ცოცხლად მკვდარი, მაგრამ ყველა უნდა გასამართლდეს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ოთარ ზურაბიშვილი**

*სალომე ზურაბიშვილის ძმა*



სალომე **კომპრომისზე არ წავა** იმისთვის, რომ „ოცნებისგან“ ღიმილი მიიღოს. ჩემი და სალომეს **უთანხმოების მიზეზები** უფრო შორეულ წარსულშია და ის უკავშირდება **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლებას. დიახ, **გვქონდა განსხვავებული პოლიტიკური აზრები და ზოგიერთ საკითხზე ახლაც გვაქვს.**

„კვირის პალიტრა“

**გია ხუხაშვილი**

*ანალიტიკოსი*



კონსტიტუციის დამრღვევი **სალომე ზურაბიშვილის** განცხადებები ხელისუფლების **პრორუსულობაზე** განკუთვნილია **აგენტოკრატიის** საგარეო ფლანგისთვის, **ვინ ემსახურება რუსულ ინტერესებს საქართველოში,** მკაფიოდ ჩანს.

„იმედინიუსი“

**თამარ კორძაია**

*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ყველაფერი, რასაც **სალომე ზურაბიშვილი** აკეთებს, **ბიძინა ივანიშვილის** გზავნილია, ოპოზიციაში ეს ლოიალური დამოკიდებულება არაფერს კარგს არ მოიტანს, მაგრამ **იმპიჩმენტს არ ვეთანხმები!**

„რეზონანსი“

**ეკა ბესელია**

*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



**დღესაც ის პირები არიან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რომლებიც ნაციონალების დროს იყვნენ.** „ქართული ოცნება“ ჩვენს ნდობას ნამდვილად აღარ იმსახურებს, მაგრამ **ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის წარსულით კი არა, მომავლით შევცვალოთ.**

„კვირის პალიტრა“

# პოემა თამარისა და

ლევან ფანჩვიძე

***ქართველობას ისტორიამ სამი უმთავრესი კითხვა დაგვიტოვა: სად არის თამარ მეფის საფლავი?.. ვინ არის შოთა რუსთველი და სად არის შოთას საფლავი? ამ წერილის შექმნის მიზეზი შოთა რუსთველის ვინაობის დადგენაა. ნეტა ვინ იყო ასეთი თავმდაბალი გენიოსი, რომელმაც ეგზომ დიდებული ნაწარმოები შექმნა და არათუ ვინაობა, საფლავიც კი გადაგვიმალა?***



არა მგონია, **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორს თავისი ნამდვილი ვინაობა ასე ადვილად გაემეტებინა დასავიწყებლად. როგორც წესი, ისეთი დიდებული პოეტური ქმნილებები, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“, მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელ ენათა ქარგით იქარგება. სხვა შემთხვევაში ასეთი მოცულობის პოემის შექმნას აზრი არ ექნებოდა და მხოლოდ მეცნიერთა და სწავლულთა ვიწრო წრისათვის იქნებოდა განკუთვნილი.

დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ მსგავსი მოცულობის ქმნილების პროლოგისა და ეპილოგის გარეშე შექმნა დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა! თუმცა, არსებობს თვალსაზრისი, რომ **„ვეფხისტყაოსნის“** პროლოგი და ეპილოგი პოემის ავტორს არ ეკუთვნის და მოგვიანებით უცნობი ავტორების მიერაა ჩამატებული. **ნუთუ ისე ლოგიკურად მოაზროვნე პოეტი, როგორიც შოთა რუსთველია, ასეთ მოცულობით ქმნილებას პროლოგისა და ეპილოგის გარეშე შექმნიდა?.. ეს ხომ იგივე იქნებოდა, რაც ტაძრის აშენება აღსავლის კარის გარეშე.** მაგრამ, თუ მართლაც დავუშვებთ აზრს, რომ პოემის პროლოგი და ეპილოგი სხვა ავტორის მიერაა შემდგომში ჩამატებული, გამოდის, რომ ქართველებს რუსთველის დარი კიდევ ერთი უცნობი პოეტი გვყოლია!.. და თუ ეს მართლაც ასეა, განა უფრო გონივრული არ იქნებოდა, იმ კალამდალოცვილს სხვისი პოემისთვის პროლოგისა და ეპილოგის დამატების მაგიერ საკუთარი დიადი ქმნილება შეექმნა?.. ასე ხომ საკუთარ სახელსაც რუსთველივით უკდავყოფდა და მსოფლიო ლიტერატურას კიდევ ერთი გენიალური ქმნილებით გაამდიდრებდა?!

შეუძლებელია, რომელიმე ნაწარმოები შედევრად ჩაითვალოს, თუ იგი სრულყოფილების განცდას არ ტოვებს. პროლოგისა და ეპილოგის გარეშე ისეთი დიდი პოემა, როგორიც **„ვეფხისტყაოსანია“,** სრულყოფილების განცდას ნამდვილად არ დაგვიტოვებდა და ასე თამამად ვერც შედევრად ვაღიარებდით. უფრო მეტიც, აზრობრივად და შინაარსობრივად უფრო დიდ დაბნეულობასა და კითხვებს დატოვებდა.

ვეცადე პოემის შესავალთან დაკავშირებული ყველა თვალსაზრისის უგულებელყოფა და უცხო მკითხველის თვალით რამდენჯერმე გულდასმით გადავიკითხე. შევნიშნე, რომ პროლოგი სრულიად ლოგიკური თანმიმდევრულობითაა შექმნილი და ექვსი ძირითადი ნაწილისგან შედგება, ხოლო პოეტურად რომ ვთქვათ, ცალკეული „ლირიკული გადახვევები“ პოემაში მოცემული რეალური ისტორიის და ფაქტების გადამალვას, ანუ ერთგვარ მხატვრულ სამოსში შეფუთვას ემსახურება, რაც პოემას უფრო მეტ იდუმალებას ჰმატებს.

შესავლის პირველი ნაწილი, როგორც იმდროინდელი მსოფლიო პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი, ღმერთის დიდებით იწყება.

**სტროფი 1:**

**„რომელმან შექმნა სამყარო**
**ძალითა მით ძლიერითა,**
**ზეგარდმო არსნი სულითა**
**ყვნა ზეცით მონაბერითა,**
**ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,**
**გვაქვს უთვალავი ფერითა,**
**მისგან არს ყოვლი ხელმწიფე**
**სახითა მის მიერითა“.**

**სტროფი 2:**

**„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ**
**სახე ყოვლისა ტანისა,**
**შენ დამიფარე, ძლევა მეც**
**დათრგუნვად მე სატანისა,**
**მომეც მიჯნურთა სურვილი,**
**სიკვდიდმდე გასატანისა,**
**ცოდვათა შესუბუქება,**
**მუნ თანა წასატანისა“.**

ვფიქრობ, პოემის შესავალი მეორე სტროფითაც რომ იწყებოდეს, მკითხველი ამას ნაკლებად შეამჩნევდა. თუმცა, შესავლის ასეთი სახით დაწყება, როგორც ჩანს, განსაკუთრებული აუცილებლობით იყო გამოწვეული. ლიტერატურის მკვლევარი, აწ გარდაცვლილი **ბორის კანდელაკი** მიიჩნევდა, რომ შესავლის პირველ ორ სიტყვაში „**რ**ომელმან **შ**-ექმნა“ **რ**-უსთველი, **შ**-ოთა იკითხებოდა. მერწმუნეთ, მეტად საინტერესო ვერსიაა. იქნებ: „**რ**-ომელმან **შ**-ექმნა **ს**-ამყარო **ძ**-ალითა **მ**-ით **ძ**-ლიერითა“ სულაც ასე იკითხება: „**რ**-უსთველი. **შ**-ოთა. **ს**-არგისი. **ძ**-ე, **მ**-სხეთიდან“ — გვარი, სახელი, მამის სახელი, ძეობა და წარმომავლობის ადგილი! მართლაც წარმოუდგენელი თანმიმდევრობაა. თუნდაც ფაქტი, რომ რუსთველი ნამდვილად მესხეთიდან გახლდათ, პოემის ეპილოგიდანაც შესანიშნავად ჩანს: **„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისად“.** რაც შეეხება „**ს**არგისის **ძ**ეს“ ამ საკითხთან დაკავშირებით ქვემოთ მოგახსენებთ.

შესავლის **მეორე ნაწილში** ღმერთის შემდეგ, ლოგიკური თანმიმდევრობით, პოეტი მეფეს ადიდებს: **„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“,** რაც მართებულია, რადგანაც რუსთველი სწორედაც რომ თამარის ეპოქის შვილია და მისადმი მიძღვნილ სტრიქონებში განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა იგრძნობა.

რაც შეეხება შესავლის **მესამე ნაწილს,** ღმერთისა და მეფის ქებათა-ქების მერე ავტორი პოემის შექმნის მიზეზებზე გვესაუბრება, რაც ასევე სრულიად ლოგიკურია: **„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“.** ავტორი გვიხსნის, თუ როგორ უბრძანეს მას სახოტბო ნაწარმოების შექმნა. თუმცა, სტროფის დაბოლოებიდან: **„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა რბილისა“** — მიგვანიშნებს, რომ ეს მისი სურვილი არ იყო, თუმცა, როგორც ჩანს, იმდენჯერ სთხოვეს, რომ მაინც დაითანხმეს. ხოლო გამონათქვამიდან **„მიბრძანეს მათად საქებრად“** — შესანიშნავად ჩანს, რომ მას ლექსების თქმა, სულ მცირე, ორმა ადამიანმა უბრძანა. მაინც ვინ უნდა ყოფილიყო, ვინც გაბედავდა და მეფის სასახლის კარის ვეზირს პოემის შექმნას უბრძანებდა?! შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პასუხი შესავლის მეორე სტროფშია მოცემული: **„მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა“.** პოეტი გვარწმუნებს, რომ პოემა მიჯნურთა სურვილისამებრ შექმნა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ვეზირის, მეფის და მისის სწორის გარდა სხვა ვერავინ ვერაფერს უბრძანებდა, ეს ნიშნავს, რომ პოემა **თამარისა და დავით სოსლანის** თხოვნით შეიქმნა.

**შესავლის მეოთხე ნაწილში** პოეტი საკუთარ ვინაობაზე გვესაუბრება: **„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“...** ან კიდევ: **„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“.** იგი მკაფიოდ და ღიად გვიხსნის, რომ მისთვის ლექსების წერა არახალია, შესანიშნავად ფლობს შაირს და თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ იგი დამკვეთებს შემთხვევით არ შეურჩევიათ, რადგან ბრწყინვალედ იცის: **„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“.**

მინდა, ამთავითვე აღვნიშნო, რომ მიუხედავად შესავლის შინაარსობრივი თანმიმდევრულობისა, ზოგიერთ სტრიქონში პოეტი, ერთგვარი ლირიკული გადახვევებით, მკითხველის ერთი აზრიდან მეორეზე მოულოდნელად გადართვას ცდილობს. ვფიქრობ, მისი მიზანია, პოემაში მოთხრობილი ამბის ნამდვილობა დაგვიმალოს. ასეთი სტრიქონებია: **„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი; მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!“** ასევე **„მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“**; ასევე: **„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.**

ჩემი თვალსაზრისით სახელი **ტ**-არიელი ერთგვარი კრიპტოგრამაა! უბრალო ენით რომ ვთქვათ, სახელი ტარიელი პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. ვფიქრობ, სახელის პირველი ასობგერა (**ტ**)-არიელი მიგვანიშნებს, რომ პოემის მთავარი გმირი **ტყაოსანია** და **არიული წარმომავლობის არიელი,** ანუ — (**ტ**)-**არიელი!** მოგეხსენებათ, რომ არიელები ირანელები არიან. ისტორიულად, ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ძველი არიანადან. **„არიელების ქვეყანა“ (პროტო-ინდოევროპულ ენაზე „არია“ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობაა „კეთილშობილი“ ან „თავისუფალი“) — ეს ტერმინი იხმარებოდა სასანიანთა სახელმწიფოს ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად. თვითონ ირანელები თავის ქვეყანას ყოველთვის ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ევროპელებმა კი სპარსეთი (Persia) უწოდეს.** ასევე კარგად მოგეხსენებათ, რომ ოსები ირანული წარმომავლობის ხალხია, ანუ იგივე არიელები არიან, ხოლო **დავით სოსლანი** სანახევროდ ოსი გახლდათ, ანუ არიელი! ეს კი ნიშნავს, რომ პოემის დამკვეთი და მისი მთავარი გმირი **ტარიელი დავით სოსლანია!**

რაც შეეხება **მეცხრე სტროფს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“** — შემიძლია განვაცხადო, რომ **„ესე ამბავი სპარსული“** სულაც არ არის სპარსული და პოემაში **გიორგი მესამისა და თამარის** მეფობის პერიოდის ამბებთან ერთად **თამარ მეფის და დავით სოსლანის სიყვარულის ამბავია** მოთხრობილი. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ პოემაში რომელიმე ამბავი სპარსულიდანაც იყოს აღებული.

მაინც რა მაძლევს ამის გაფიქრების საფუძველს? მოგეხსენებათ, **ბაგრატ მესამიდან** და უფრო **დავით აღმაშენებლის** მეფობის პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს სამეფო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული, რაც ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეს ქმნიდა. ვიცით, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოსადმი დაქვემდებარებულ ამ ტერიტორიებზე ეკონომიკასთან ერთად კულტურაც ყვაოდა.

სწორედ ამ პერიოდში დაიბადა განჯაში დიდი სპარსულენოვანი პოეტი **ნიზამი განჯელი,** რომლის დაბადების თარიღადაც 1141 წელი მოიხსენიება. თუ გავითვალისწინებთ, რომ განჯა საქართველოს ექვემდებარებოდა, ხოლო **ნიზამი განჯელსა** და **შოთა რუსთველს** შორის არცთუ ისე დიდი ასაკობრივი სხვაობაა, **სრულებით არ არის გამორიცხული, რომ შოთა რუსთველს, როგორც ვეზირს, ხშირად უხდებოდა ვასალი ქვეყნების ტერიტორიაზე გადაადგილება და საქმიანი შეხვედრების გამართვა.** შეუძლებელია, მას **ნიზამი განჯელის** პიროვნების შესახებ არაფერი სცოდნოდა, რაც მაფიქრებინებს, რომ **ნიზამი განჯელსა** და სხვა სპარსულენოვან პოეტებს პირადად იცნობდა. დასაშვებად მიმაჩნია აზრი, რომ პირადი საუბრისას ისინი ერთმანეთს საინტერესო ამბებსაც მოუთხრობდნენ. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, მათგან მონათხრობი რომელიმე ამბავი პოეტს პოემის რომელიმე ეპიზოდში გამოეყენებინა.

ასევე რუსთველისათვის ნიშანდობლივია **ერთი და იგივე ისტორიული პიროვნების ორ სხვადასხვა პერსონაჟში წარმოჩენა.** პოეტს მსგავსი მხატვრული ხერხი ისტორიული ფაქტების შესანიღბად სჭირდება. უფრო მეტიც, მისი თხრობა იმდენად მაღალმხატვრული და ოსტატურია, რომ გადმოცემული ამბავი ზღაპარს ჰგავს. თუმცა, ყველაზე დიდი ზღაპარი ან მითი, შესაძლებელია, ყველაზე დიდი რეალობა იყოს. **ერთი და იგივე პიროვნების ორი ადამიანის სახით წარმოჩენით პოეტი ცდილობს, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები ერთმანეთისგან განაცალკევოს და შენიღბულად გადმოგვცეს.** რუსთველი ყოველივე ამას ერთგვარი ობიექტურობითა და მაღალმხატვრულობით ახერხებს.

სწორედ ასე იქცა **გიორგი მესამე როსტევან და ფარსადან მეფეებად. თამარ მეფე — თინათინად და ნესტან-დარეჯანად, დავით სოსლანი — ტარიელად და ავთანდილად,** ხოლო **დავარი** თამარ მეფის მამიდის **რუსუდან დედოფლის** პროტოტიპია, რომელიც დავით სოსლანის აღმზრდელი გახლდათ.

ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ **დავით სოსლანი,** როგორც თამარის მამიდის **რუსუდან დედოფლის** აღსაზრდელი, **გიორგი მესამის** სასახლეში იზრდებოდა. წარმოუდგენელია, რომ მას **თამარი** ბავშვობიდანვე არ სცნობოდა. როგორც ჩანს, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს ფაქტი კი **გიორგი მესამისთვის** და მისი დისთვის — **რუსუდან დედოფლისთვის,** რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ვფიქრობ, ისინი იძულებულნი შეიქნენ, **დავით სოსლანი** ოსეთში დაებრუნებინათ. სწორედ ეს ამბავია შეფარვით და განსხვავებული ინტერპრეტაციით მოთხრობილი პოემაში, როდესაც **მამიდა დავარი ნესტან-დარეჯანს** ზანგებს ატანს, ისინი კი მას კიდობანში კეტავენ და ზღვაში აგდებენ.

ვიცით, რომ **თამარი** დიდგვაროვანმა ფეოდალებმა აიძულეს, **გიორგი რუსზე** დაქორწინებულიყო. ჩემი თვალსაზრისით, **თამარი და დავით სოსლანი** ყველანაირად ცდილობდნენ, თავიანთი სიყვარულის დასაცავად ნებისმიერ რისკზე წასულიყვნენ. ამასთან, ყველა ისტორია, რომელიც **გიორგი რუსს** ეხება, გაზვიადებულია და ტახტისგან მის ჩამოცილებას ემსახურებოდა. სხვაგვარად მათი ქორწინება განუხორციელებელი დარჩებოდა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს ფაქტია პოემაში გადმოცემული, სადაც **ნესტან-დარეჯანს** აიძულებენ, **ხვარაზმშაჰის** ვაჟზე იქორწინოს, მან კი **ტარიელს** მისი მოკვლა უბრძანა. **გიორგი რუსის** მამათმავლობაში მხილება, მერე კი მისი **დავით სოსლანის** მიერ სასტიკად დამარცხება და საქართველოდან სამარცხვინოდ განდევნა, სწორედაც რომ, მისი ფიზიკური და სულიერი მოკვდი-






**შოთა რუსთაველი თამარ მეფეს უძღვნის „ვეფხისტყაოსანს“.**
*მიხაი ზიჩის ნახატი*

ნების ტოლფასია.

ვფიქრობ, ასევე ისტორიულ ფაქტზეა დაფუძნებული ქაჯეთის ციხიდან **ნესტან-დარეჯანის** გამოხსნის ამბავიც. განა **ნუქარდინის** მიერ თამარისადმი გამოგზავნილი წერილი ქაჯობა არ იყო? განა მის მიერ საქართველოს ასაოხრებლად და მიწასთან გასასწორებლად მოსული ურდოს **დავით სოსლანის** მიერ სასტიკად დამარცხება შოთა რუსთველისთვის ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის ტოლფასი არაა?

**შესავლის მეხუთე ნაწილში** პოეტი საუბრობს შაირობაზე და ღრმა ლიტერატურული ანალიზით გვარწმუნებს, რომ **„მათა საქებრად“** იგი შემთხვევით არ შეურჩევიათ და ეს საქმე მისთვის სრულებითაც არ არის უცხო: **„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“**, ან კიდევ: **„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“.** პოეტი გვიმტკიცებს, რომ ეს საქმე მისთვის ისეთივე ნაცნობია, როგორც მობურთალისთვის მოედანი და ცხენისათვის — შარა გრძელი. **სწორედ ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამდე შოთა რუსთველი უკვე საკმაოდ ცნობილი და აღიარებული ავტორი გახლდათ.**



# დავით სოსლანის თხოვნით შეიქმნა!

**მეექვსე ნაწილში** პოეტი მიჯნურობის შესახებ გვესაუბრება და გვიხსნის, რომ: **„იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“**, რომ: **„იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა; ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“**, რომ: **„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“**, თუმცა, მიჯნურობაზე საუბრისას მოულოდნელად ჩვენს ყურადღებას ერთი სტრიქონი იპყრობს: **„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია; მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“**. ბევრი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ სიტყვებით **„იგია ჩემი სიცოცხლე“** — პოეტი თამარისადმი სიყვარულში გვიტყდება, რაც ჩემთვის წარმოუდგენელია. მითუმეტეს, მაშინ, როდესაც ავტორი პოემის დასაწყისში თამარისადმი ასეთ მოკრძალებას გამოხატავს: **„მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა-ო“.** შეუძლებელია ასეთი მოკრძალების მერე ვინმეს (თუნდაც ეს ვინმე შოთა რუსთველი გახლდეთ) თამარისადმი გაებედოს, **„იგია ჩემი სიცოცხლეო“** ეთქვას. ეს ხომ დაუჯერებელი სითავხედე იქნებოდა, თანაც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, თუნდაც იმიტომ, რომ პოემა მას თამარმა და დავით სოსლანმა შეუკვეთეს.

დიდ დაკვირვებას არ საჭიროებს, რომ პოეტი ამ სტრიქონებში **ჯიქს** ახსენებს, როდესაც პოემას **„ვეფხისტყაოსანი“** ეწოდება: **„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია!“** დავაკვირდეთ — **ჯიქის** და არა **ვეფხისა და ლომის** ხსენებით, პოეტი ცდილობს, მიგვანიშნოს, რომ ეს სტრიქონები არა **თამარისა და დავით სოსლანის,** არამედ სულ სხვა პიროვნების მისამართით არის ნათქვამი. უფრო მეტიც, გამოთქმით — **„იგია ჩემი სიცოცხლე“** — გვიხსნის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებებისაგან განსხვავებით, ქვემორედ ვინც შეფარვით მყავს ნახსენები, სწორედაც მე ვარ შოთა რუსთველიო!

მაშასადამე, თუ **გიორგი მესამე** — **როსტევანი და ფარსადანია, თამარი** — **თინათინი და ნესტან-დარეჯანი,** ხოლო **დავით სოსლანი** — **ტარიელი და ავთანდილი!** ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რომელი ისტორიული პიროვნება იგულისხმება **ფრიდონში?** მართლაც რა უცნაური სახელია. თუ **არიელის** თანხმოვანი **ტ** აქვს წამძღვარებული, როგორც არ უნდა ეცადო, **ფრიდონს** ვერანაირ თანხმოვანს ვერ მიუსადაგებ. ხუთ ხმოვანთაგან კი ყველა მიესადაგება, განსაკუთრებით **ა,** ანუ ფრიდონს თუ **ა**-ს წავუმძღვარებთ, შედეგი გაგაოცებთ: **აფრიდონი!!!**

**აფრიდონი** ხომ მე-12 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეა, **გიორგი მესამისა და თამარ მეფის** მსახურთუხუცესი. წარმომავლობით **„უგვარო“** — აზნაურის ყმა, ანუ ვასალი, რომელიც **გიორგი მესამის** მეფობის დროს დაწინაურდა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ატარებდა დიდგვაროვან ფეოდალთა შეზღუდვის პოლიტიკას.

**აფრიდონს** სახელოდ (საგამგებლოდ) გადაეცა ქვაბულისძეთა ყოფილი მამული, სამეფო დომენად ქცეული **თმოგვის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა. აფრიდონის** მეუღლის, **ოსიყმის ასულ ხოშაქის** მიერ 1178-1185 წლებში ქვემო ჯინისში ვარძიის ღმრთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესიის სააღმშენებლო წარწერაში იგი ასევე ერისთავ-ერისთავად და მსახურთუხუცესად იწოდება, ანუ გამოდის, რომ: **„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია; მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“**, ანუ **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორი **შოთა რუსთველი** იგივე **აფრიდონია!**

კიდევ რა არგუმენტით შეგვიძლია გავამყაროთ ეს თვალსაზრისი?

**არგუმენტი მეორე.** ისტორიიდან ვიცით, რომ **შოთა რუსთველი აფრიდონივით** ვეზირი გახლდათ, რომელსაც საგამგებლოდ, ანუ მმართველობაში გადაეცა **ქვაბულისძეთა ყოფილი მამული, სამეფო დომენად ქცეული თმოგვის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი წარმომავლობით ნამდვილად მესხეთიდან გახლავთ და პოემის ეპილოგში პოეტიც სწორედ ამას აღნიშნავს: **„ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისად“.** ასე რომ, სრულიად შესაძლებელია, დავუშვათ, რომ იგი წარმომავლობით **სოფელ რუსთავიდან** გახლდათ. როგორც ჩანს, იგი მეფისადმი ერთგულებით გამორჩეული თავადაზნაური იყო, რომელიც საკუთარი ან სულაც მამის დამსახურებით დააწინაურეს და **ერისთავთ-ერისთავის წოდება** უბოძეს. იქნებ მწერალი **სარგის თმოგველი აფრიდონის, ანუ იგივე შოთა რუსთველის** მამა გახლდათ?

შეუძლებელია, თმოგვის ციხის გამგებლობაში ქონის გარეშე ვინმე **თმოგველად** მოიხსენიებოდეს. ვფიქრობ, მხოლოდ **„დილარგეთიანის“** მთარგმნელისამებრ განათლებულ პიროვნებას შეეძლო, **შოთა რუსთველისთვის,** როგორც პოეტისთვის ასეთი ცოდნა მიეცა. **იქნებ ჭაბუკობის ჟამს რუსთველი მამას სხვა ნაწარმოებების თარგმნაშიც კი ეხმარებოდა?** დადასტურებული ფაქტია, რომ **„დილარგეთიანი“** თამარ მეფეს არ მოსწონდა. უფრო მეტიც, იმ პერიოდში ეს ნაწარმოები იდევნებოდა. განა შვილის მეტი, სხვა ვინმე გაბედავდა დაკვეთილი პოემის პროლოგში **„დილარგეთიანის“** მთარგმნელი ასეთი ქებით მოეხსენიებინა: **„დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა“?!**

როგორც ისტორია გვამცნობს, **სარგის თმოგველმა „დილარგეთიანი“** მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში თარგმნა. ალბათ, პოემის თარგმნას 30-35 წლამდე ვერ დაიწყებდა. ასეთი მოცულობის ქმნილების თარგმნას კი, სულ რაღაც, 10 წელი მაინც დასჭირდებოდა. 35+10=45. თუ თარგმანი საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული, დაახლოებით 1147 წელს 45 წელი უნდა გამოვაკლოთ, რაც 1102 წელს უდრის და მიგვანიშნებს, რომ **სარგის თმოგველი** მე-12-13 საუკუნეების მიჯნაზე თუ არა, მე-12 საუკუნეში ნამდვილად მოღვაწეობდა. იგი, სავარაუდოდ, 1102-1105 წლებში უნდა იყოს დაბადებული. ეს კი შესაძლებელს ხდის ფაქტს, რომ იგი **აფრიდონის,** ანუ იგივე **შოთა რუსთველის** მამა გახლდათ. ეს კი ჩემს მოსაზრებას: **რ**-უსთველი **შ**-ოთა ნამდვილად **ს**-არგისის **ძ**-ეა, თანაც **მ**-ესხეთიდან — უფრო განამტკიცებს. რაც შეეხება მეორე **სარგის თმოგველს,** რომელიც მხარგრძელთა საგვარეულოს წარმოადგენდა, მას ეს მამული საგამგებლოდ **აფრიდონისათვის** ჩამორთმევის მერე გადაეცა.

**არგუმენტი მესამე:** როგორც ისტორია გვასწავლის, გადაყენების მერე **აფრიდონის** კვალი ისტორიიდან საეჭვოდ ქრება. **როგორ ჰგავს რუსთველის და აფრიდონის ისტორიული ხვედრი ერთმანეთს,** რაც ჩემს თვალსაზრისს, რომ საუბარი ერთსა და იმავე პიროვნებაზეა, უფრო ამყარებს. მითუმეტეს, ასეთი სტრიქონების შემდეგ: **„ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“.**

შეუძლებელია მსგავსი დატვირთვის სტრიქონები, რაოდენ გენიალურიც არ უნდა ყოფილიყო, რომელიმე პოეტის გონებაში შემთხვევით დაბადებულიყო. ეს სამშობლოდან მიმავალი იმ კაცის სიტყვებია, რომელსაც ყოველგვარი წოდება და ქონება ჩამოართვეს და გადაწყვიტა, სამშობლოდან რაც შეიძლება შორს გადაიხვეწოს. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი დიდებულების და, ზოგადად, ქართველი ხალხის ხასიათს, ადვილი წარმოსადგენია ტიტულებისა და ქონების ჩამორთმევის მერე **შოთა რუსთველი,** ანუ იგივე **აფრიდონი** რამდენ დამცირებასა და დევნას გადაიტანდა. **ავთანდილის ანდერძი სინამდვილეში სამშობლოდან მიმავალი შოთა რუსთველის ანდერძია, რომელიც თამარს და ქართველებს დაგვიტოვა.**

**არგუმენტი მეოთხე:** დამეთანხმებით, რომ ისეთი მოცულობის პოემის შექმნას, როგორიც **„ვეფხისტყაოსანია“,** დიდ ნიჭიერებასთან და პოეტურ ენერგიასთან ერთად, საკმარისზე მეტი დროც დასჭირდებოდა.

წარმოუდგენელია, რომელიმე ამპარტავანი ფეოდალისთვის, მითუმეტეს, თამარის დროინდელისთვის, ვინმეს პოემის შექმნა ებრძანებია: **„მიბრძანეს მათდა საქებრად“...** რაც შეეხება ფეოდალთა იძულებით მეფისგან პატივაყრილ **აფრიდონს,** რომელიც შინაურივით ერთგული გახლდათ, სთხოვდნენ და უბრძანებდნენ კიდეც! როგორც ჩანს, **პოემაზე მუშაობის დასრულების მერე პოეტი უკვე აპირებდა სამშობლოდან გადახვეწას. მითუმეტეს, იძულებით მის გამგებლობაში მყოფი თმოგვის ციხის და სხვა მიწების, ასევე ვეზირის თანამდებობის ჩამორთმევის მერე.** მან კი, როგორც დიდმა ჰუმანისტმა, ყველა ყრმა და მონა გაათავისუფლა, ხოლო გლახაკთ ქონების დიდი წილი უანგაროდ დაურიგა. სხვაგვარად ასეთი სტრიქონები არ დაიბადებოდა: **„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები: მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.** ეს რუსთველის პირადი განცდებით ნაკარნახები სიტყვებია. ასეთი რამ უნდა განიცადო, რომ ასე წრფელად გადმოსცე. მიმაჩნია, რომ **„ვეფხისტყაოსნის“** დევნის ერთ-ერთი მიზეზი მისი ავტორის წარმომავლობაა.

**არგუმენტი მეხუთე:** ზედა ვარძიის მონასტრის წარწერა გვამცნობს, რომ ხსენებული მონასტრის ქტიტორი **ერისთავთ-ერისთავი აფრიდონი** გახლავთ. **ქტიტორი** (ბერძ. κτητωρ) **— საეკლესიო ნაგებობის მაშენებელი; ვინც თანხა გაიღო ტაძრის აგებისათვის ან აღდგენისთვის. ტერმინი ძირითადად გვხვდება „ბიზანტიურ სამყაროში“, ხოლო კათოლიკურ სამყაროში მისი ეკვივალენტია დონორი. ქტიტორივე აწესებდა სამონასტრო ტიპიკონს და მას ხშირად ფრესკებზეც გამოსახავდნენ.**

თუ ეკლესია-მონასტრების სხვა ქტიტორთა ფრესკებს შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ ისინი ფრესკაზე, როგორც ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველი, ხელების ერთნაირი მოძრაობით, ანუ ერთსა და იმავე მდგომარეობაში არიან გამოსახულნი. დიახ, **შოთა რუსთველი** ნამდვილად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქტიტორია, რომელიც ამ მონასტრის ტიპიკონს აწესებდა. როგორც ვიცით, ქტიტორობა **აფრიდონისთვის** უცხო საქმიანობა არ იყო, ანუ აფრიდონის ბედის ისტორიულ წყაროებში საეჭვოდ გაქრობის მიზეზი, ისე როგორც რუსთველის, სამშობლოდან გადახვეწაა.

**არგუმენტი მეექვსე:** „**რ**-ომელმან **შ**-ექმნა **ს**-ამყარო **ძ**-ალითა **მ**-ით **ძ**-ლიერითა, **ზ**-ეგარდმო **ა**-რსნი **ს**-ულითა **ყ**-ვნა **ზ**-ეცით **მ**-ონაბერითა!“ ეს თორმეტი სიტყვა, რუსთველის თორმეტი მოციქულია, რაც შემდეგნაირად იშიფრება: „**რ**-უსთველი. **შ**-ოთა. **ს**-არგისის. **ძ**-ე. **მ**-ესხეთიდან! ..**ძ**-ალითა. **ზ**-ეციერითა. **ა**-მა. **ს**-აინჯეთა. **ყ**-ოველთა. **ზ**-ენაარითა. **მ**-ფლობელი!

არ ვამტკიცებ, მაგრამ არც გამოვრიცხავ, რომ სახელი **შ.ო.თ.ა**-ც **ერთგვარი კრიპტოგრამაა, რომელიც შემდეგნაირად იშიფრება:** შ.ო.თ.ა. ანუ: **შ**-აირი, **ო**-დეს, **თ**-ამარისად, **ა**-მისად! **..ამისად, ანუ თამარისად თქმული.**



ავთანდილი „დაჯდა წერად ანდერძისად...“
*ირაკლი თოიძის ილუსტრაცია*

**ავთანდილის ანდერძი სინამდვილეში სამშობლოდან მიმავალი შოთა რუსთველის ანდერძია, რომელიც თამარს და ქართველებს დაგვიტოვა!**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი



# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



## ისევ ჩაირულოფსე, მიხეილ?



**რულოფსმა** — ორი წელიწადი ვემზადებოდი ფსიქოლოგიურად, მიშას რომ შევხვედროდიო. ასეა, ცოლებს ყოველთვის უჭირთ დიდ ადამიანებთან შეხვედრა. ამანაც, როგორც იქნა, გაბედა, საკუთარ თავს მოერია. კი ფიქრობდა, რაზე უნდა ვილაპარაკოთო, მაგრამ საუბარი მაინც სასიამოვნოდ აეწყო. როგორც ამბობენ, **მიშამ** ლარის კურსით დაიწყო, თან **რულოფსი** გააფრთხილა, უახლოეს ხანში რყევები იქნება და მზად იყავიო.

შემდეგი თემა სეტყვა და რთველი აღმოჩნდა. **რულოფსმა** მწუხარება გამოთქვა დასეტყვილი ვენახების გამო. **მიშამ** კბილები გააკრაჭუნა, მთავრობამ ღვთის ანაბარა მიატოვაო გლეხები...

☺

პირადული ბოლოსკენ შემოინახეს. **ყარაბახის ამბების შემდგომ.** ჰო, კიდევ — განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. დაადგინეს თარიღი, როდის აფრიალდება კრემლის თავზე ქართულ-უკრაინული დროშა.

ჰოდა, ბოლოს **რულოფსმა — ჩვენ ერთად ველარ ვიქნებითო.**

**მიშამ** — მე სხვა შემიყვარდაო.

**რულოფსმა — სხვა თუ სხვებიო?**

**მიშამ** — სხვებიო.

**რულოფსმა — ესე იგი, მაგ გულში ჩემი ადგილი აღარ არიო.**

**მიშამ** — არაო.

**რულოფსმა — ეგეთი გულქვა რათა ხარო?**

**მიშამ** — შენ ჩემ ნარატივში ვეღარ ჯდებიო.

**რულოფსმა — შეიძლება ნარატივში ვეღარ ვჯდები, მაგრამ პლურალიზმი ხომ მახასიათებსო?**

**მიშამ** — ცარიელი პლურალიზმი ვჭამო-ვო?

**რულოფსმა — შენ მაინც ბიძაშენის ენას ხარ აყოლილიო.**

**მიშამ** — თემურა ძიას ეგრე ნუ ახსენებო.

**რულოფსმა — ეგ ბებერი თავიდანვე ვერ მიტანდა და მერე კიდე ნიუ-იორკის ბინიდან გამომაგდო-ვო.**

**მიშამ** — ეგ თემა დაიხურაო.

**რულოფსმა — ჰოდა, სულ კარგად ბრძანდებოდეო.**

**მიშამ** — წადი, შენიო.

**რულოფსმა — დედიშენისაო!**

## მთავარია, რომ პირში ჩალაძე-გამოვლებული არ დატოვოს!

განა **ბიჭი** გადასაგდებია? არა, არ არი გადასაგდები, მაგრამ პერიოდულად მოუვლელის **შთაბეჭდილებასა სტოვებს** — გეგონება, მთელი დღე ვენახში იმუშავა, ლობიოს ჭამისა და „კუშეტკაზე“ წამოწოლის გარდა აღარაფერი უნდაო. აი, **გოგო** სუ სხვანაირია — სხარტი, ცინცხალი, მოხდენილი. იგეთ **შთაბეჭდილებასა სტოვებს,** სადაცაა, ხელებს გაშლის და პოდიუმზე წრესაც დაარტყამს. ვითამ რატო არ უნდა დაარტყას პოდიუმზე წრე და „რეჩი“? რა, ტან-ფეხი არ მოსდევს, თეძო-ბარძაყი თუ მიხვრა-მოხვრა ან ელასტიკურობა?

☺

ხშირად ამბობენ — **ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო,** მაგრამ მთლად დასათანხმებელი აზრიც არ არი... როგორც უკვე გითხარით, **ბიჭს** დაღლილი ჩუტრუკის გამომეტყველება აქვს, **გოგოს** კიდე ნაზი ენერგიულობა გადმოჰფენია სახეზე. რავი, ალბათ, ეგრეც უნდა იყოს... პლიუსი და მინუსი ხო უფრო კარგად ეწყობიან ერთმანეთს? მთავარია, **გოგომ ბიჭი** პირში მთლა **ჩალაძეგამოვლებული** არ დატოვოს!

## „საზმაუში“ ნასაუზმევი ტელემაყურებლების დეტოქსიკაციისათვის



**Nika Gvaramia**

4 სთ ·

მე ვარ ლაზარე!

შენ ხარ ლაზარე!

ყველანი ვართ ლაზარე!

**კოზლაში დაჭრი დედას, კოზლაში დაჭრი მამას, ნაცპარტიელთა ხროვა, თუკი გიბრძანებს ამას!**

☺

ლუქს-კარცერიდან ისეთი გამომეტყველებით გამოვიდა, ვიფიქრე, დაჭკვიანდა-მეთქი... უფრო სწორად, დაწყნარდა-მეთქი. ცრუ ოპტიმისტი გამოვდექ, თურმე, უფრო მეტად გამოთაყვანებულა!

**მე ვარ ლაზარეო... შენ ხარ ლაზარეო... ყველანი ვართ ლაზარეებიო... გრიგორიანები თუ გრიგორიადისებიო!**

**მე ვისვრი მოლოტოვის კოქტეილებსო... შენ ისვრი მოლოტოვის კოქტეილებსო... ყველანი ვისვრით მოლოტოვის კოქტეილებსო!**

**მე ვარ სირი... შენ ხარ სირი... ყველანი ვართ სირებიო!**

☺

აი, ამათი გაგება და იდეოლოგია... **აი, ამით უნდა მოატყუონ გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდები და გამოიყვანონ ქუჩაში.** კაი, ჯანდაბას, იმუშავეს და ყველა მისაბაძი ჩაწიხლეს, მაგრამ ახლა რაღას აკეთებენ?

ახლა აკეთებენ იმას, რომ კოზლაში მამის დამჭრელი და **მოლოტოვის კოქტეილების მსროლელი ლაზარე მამამისთან ერთად** გმირებად წარმოგვიჩინონ.

☺

**მაინც დარწმუნებული ვარ, არ გამოვა მაი ამბავი, რადგან ყველაფერს ფარდა აქვს ახდილი, ახლა ყველა ნაძირალა შიშველია, ხალხი ხვდება, ვინ ვინ არის და რას წარმოადგენს!**

რასაკვირველია, არსებობს საფრთხე, რომ გარკვეულ წრეებში ლაზარეს მამა „ქესტუმა“ იქცევა გმირად. **სწორედ ამიტომაც არის გასაწმენდი ე.წ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ეგეთი გაუგებარი პერსონაჟებით დაკომპლექტებული ტელევიზია საქართველოს ისტორიას არ ახსოვს!**

☺

აჰა, დავიწყე **კოზლაში დაჭრით** და მივედი ტელევიზიამდე... პრინციპში, რა დიდი სხვაობაა დანაგაყრილ გავასა და ე.წ. **„საზმაუს“** შორის?

**არც არაფერი!**

ანტირუსული პლატფორმა - AntiRussian Platform

5 სთ ·

მოგიწოდებთ გლეხებს! ჩვენს მოძმე ერს , უკრაინას ძალიან უჭირს, ამიტომ მრავალბრძოლა გამოვლილო კახელებო, ახლა რთველის სეზონია.

კილო რქაწითელს მინიმუმ 80 თეთრად იბარებენ, ხოდა თითო კილოდან 30 თეთრი გადარიცხეთ უკრაინის ფონდში.

¨ვეხსიტყაოსნის¨ ერი ვართ. რაინდობა , ჩვენ არ გვეშლება ! მოიკელით თქვენ დღეს და დაეხმარეთ ჩვენს მეგობარს. პირობას

გაძლევთ ეს სიკეთე ათმაგად დაგიბრუნდებათ !

## საფერავს და მანავის მწვანეს რაღას ერჩით?

**კახელებო, გაიგონეთ?**

კილოზე 30 თეთრი მაიკელით და უკრაინას გადაურიცხეთ, ძალიან უჭირსო... არადა, ხო ამბობდით, დღე-დღეზე წითელ მოედანზე იქნებაო?

**განა 30 თეთრზეა ლაპარაკი? განა კახელებისთვის რქაწითელიდან 30 ან 50 თეთრი რამეა? არც 80 და 90 თეთრია რამე, ეგენი რო წესიერად იქცეოდნენ, სუ იქ გადავრიცხავდით, მაგრამ რათა?** უკვე ისე გაბრიყვდნენ, გამარჯობასაც აღარ ამბობენ, თუ სადმე გადაგვეყარნენ, უკანალს გვიშვერენ!

ვნახე ის ვიდეო, ჩვენებურ მოციგურავეებს გამარჯვება რომ არ მიულოცეს, ხელის ჩამორთმევა რომ არ იკადრეს...ნაწყენები დარჩენილან — **მეორე ფრონტი რომ არ გავუხსენით და მსხვერპლში არ შევეხიდეთ... პირველად გავიგე, ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას სთხოვდეს, გვამების ამბავში შემეშველეო. ეგეთი იდიოტობა დედამიწის ისტორიას არ ახსოვს!**

☺

ომი ხეირიანად არც ჰქონდათ დაწყებული, ელჩი გაიწვიეს და რაღა არ დაგვაბრალეს.

ჩვენ კიდე პატიოსნად შევწუხდით, გავისარჯეთ, ბიუჯეტზე ხელი გავიკარით, სკოლები გავუხსენით, უფასოდ მოვემსახურეთ, ზედ გადავყევით და ბოლოს იმ დონეზე გაბრიყვდნენ, ზემოდან დაგვიწყეს ყურება.

რაც მთავარია, ერთს არ წამოსცდენია მადლობა, ბოლოს იქამდე მივიდნენ, „ნაცების“ აქციებზე დაიწყეს სირბილი და აქედან მოუნდათ პუტინის დამარცხება...

**ჰოდა... ახლა კილო ყურძენზე მოუნდათ 30 თეთრი.**

არა, მეტი არ უნდათ, თავმდაბალი ხალხია, 50-ს არ ითხოვენ, თქვენც ხო რაღაცა უნდა დაგრჩეთო? მოკლედ, კილოზე 30 თეთრი გვეყოფა, მეტი არ გვინდაო... თან მარტო რქაწითელიდანო. კი, **მაგრამ საფერავმა და მანავის მწვანემ რაღა დააშავა?!**





მიხეილ სააკაშვილი

"არასდროს არაფერი მომიპარავს"

## გეუბნებით - გაფრინდება!

არცერთმა პიარ-სტრატეგიამ თუ ტაქტიკამ არ გაუმართლა — არც 2 მილიონი დოლარის დახარჯვამ, არც ევროპარლამენტართა წიკვინმა, არც მსოფლიო დონის ექიმების მიერ ჰიპოკრატეს ფიცის გატეხვამ, არც მსოფლიო მედიის ჭიკჭიკმა, არც ნასყიდმა „ადუკანტებმა" და ათასი ჯურის თაღლითებმა... ბატონმა მიხამ გადაწყვიტა, საკუთარი თავი თავადვე წარმოაჩინოს ყინწვისის ანგელოზად და ანაკლიის შუქურად.

☺

დიახ, **როდესაც ბატონი მიხა ინტენსიურად დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მას არაფერი მოუპარავს, მას არაფერი დაუშავებია, არცა უმრუშნია, არცა უცრუვნია, არცა მოუკვდინებია, არცა ომი დაუწყია, არცა მიწაზე უხოხნია, არცა ქონება წაურთმევნია, იგი უსპეტაკესია და ასე შემდეგ... წესით რამდენიმე თვეში ფრთებიც უნდა ამოუვიდეს.**

სადა? სად და... როგორც **სოფო წარმომადგენელი** იძახის, ბეჭები უკვე ეფხანება. ჰოდა, თუ ამოუვა, უცებ შეჰკრავს კამარას და... გაფრინდება „ვივამედის" გისოსებიანი ფანჯრიდან პირდაპირ სამოთხის მიმართულებით, გლდანის ციხეში „პერესადკის" გარეშე.




## არ მოითხრების მამული!

კარგი, რა, **იულონა პაპავ,** კარგი, რააა, ამ ატროვებულ გოგო-ბიჭებს რომ აჰყოლიხარ, რაღა დროს შენი აქციები და მიტინგებია?

კაცო, ალაზნის ველზე ჩემი მიწა რომ გადათხარე, მერე დააკონსერვე, მერე ისევ გადათხარე, მერე ისევ დააკონსერვე, მიატოვე და ტყედ აქციე, ამაზე ხომ არ გედავები? **ერთი გადამწვარი სასახლე რომ იპოვე და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნით დაათარიღე, ხომ არ გეკითხები, ერთი ეგ მე-5 საუკუნე რანაირად გაარტყიმეთქი?** არც იმაზე გაკრიტიკებ, ვაკე ადგილს „გელას გორა" რომ დაარქვი — ნეტავ სად ნახე ალაზნის ველზე გორამეთქი?

რავი, იქნებ იმ დამწვარ სამეფო სასახლეში ოქროს უზალთუნებით სავსე ქისაც იპოვე, წილში ჩაგიჯექ? ჰააა... თუ მაგ სასახლეში მეფის ტახტისთვის შემაღლებული ადგილი იყო, რომელიმე სარდაფში განძეულიც იქნებოდა, მაგრამ ხმას არ ვიღებ, ჯანდაბას, მაშინ ვერ გაგაკონტროლე და ეხლა რანაირადღა დაგიმტკიცო?

**იულონა პაპავ, მე შენთან სუ სხვა პრეტენზიები მაქ! რომ აჰყოლიხარ ამ სააკაშვილის პირად წარმომადგენლებსა და იძახი, მიწა — გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები კიდე — მუშებს, თორემ მოიდა რევოლუციაო, არა გრცხვენია?** რაღა დროს შენი რევოლუცია და სახალხო აჯანყებებია?

**თეა წულუკიანმა** ხომ გითხრა — **იულონა პაპავ,** რაც თხარე, გეყოფა, ეხლა წადი და სახლში გათხარეო? აკი, **პლეზიდანიც** ლაპარაკობდა გათხრა-მოთხრაზე. რად გინდა, ის სახელიც და ავტორიტეტიც მოითხარო, წლების მანძილზე რომ აკოწიწებდი?

ჰმ... რევოლუცია არა, შაშაკოლა და **თემურ ჭყონია!**

## მამულზე ფიქრში დანაოჭებულს...

აბა, სცადეთ და დაითვალეთ **კურკუმალის** შუბლზე **ნაოჭები!** ზუსტად ვერ დაითვლით, დაიბნევით, ხან ათი გამოგივათ, ხან — ცხრა, ხან — კიდე შვიდი. აი, მედიცინურ ენაზე სწორედ ამას ჰქვია **ელასტანისა და კოლაგენის ნაკლებობა.** თუ ამას **ჭკუის ნაკლებობასაც** დავუმატებთ, მივიღებთ სრულ კატასტროფას. როგორც მსოფლიო დერმატოლოგია გვკარნახობს, ასეთი **უთვალავი ნაოჭის** გასწორება შესაძლებელია **მხოლოდ საფუარით.** აბა, ახლა ამას **საფუარი** უნდა კიდე? **ისედაც უფუის** თავში ერთი რაღაცა. დიახ, დიახ, შესაძლებელია, აწი თაბაშირმაც ვეღარ უშველოს!

## მაჭუტაძის გამარჯვება ქარდაუვალია!







სულ ვფიქრობდი, ამ ქვეყანაში მესამე ცენტრიდანული ძალა ვინ უნდა შექმნას-მეთქი? და აი, აღსრულდა ნება ერისა — **ნიკოლოზ მაჭუტაძე და ბაჩუკი ქარდავა** პარლამენტში ახალ პოლიტიკურ ჯგუფს ქმნიან!

როდესაც ზოგიერთნი აცხადებდნენ — **არც — ნაცი, არც — ქოციო,** პანიკაში ვვარდებოდი და საკუთარ თავს ვეჩხუბებოდი, თუ **არც ნაცი და არც ქოცი,** მაშ, ვინ-მეთქი?

თურმე, რა ტყუილად ვპანიკიორობდი, რა ტყუილად ვეჩხუბებოდი საკუთარ მე-ს... რას ჰქვია, ვინ? ბუზი იყოს, თორემ თაფლი ბაღდადიდანაც... თუ როგორ არი? უკუღმა, ხომ? კი, ბატონო, იყოს პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს? გინდა, ჯერ ბუზი ყოფილა და მერე — თაფლი, გინდა — ჯერ — თაფლი და მერე — ბუზი, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

მართლაც, ჯერ **მაჭუტაძე** იქნება და მერე **ქარდავა** თუ პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, **ორთავეს უძლეველი პოლიტიკოსის იმიჯი აქვს...** და როგორც ჩანს, მგონი **პაატა ბურჭულაძემაც** ურჩია **მაჭუტაძეს,** საარჩევნოდ **ქარდავასთან** გაერთიანდი, მაგას დიდი მომავალი ეჭყანებაო. ამანაც დაუჯერა... ასე რომ, **მაჭუტაძის** გამარჯვება **ქარდა**უვალია!

## აუცილებელი განმარტება!

ბოლო დროს მომრავლდნენ ვიღაც-ვიღაცები, რომლებიც პირადში **კატეგორიულად მთხოვენ, გავხსნა ჩემი „ფეისბუქგვერდი" არამეგობრებისთვისაც,** რათა დამიფიქსირონ ე.წ. განსხვავებული აზრი.

თუ ადრე მორიდებით, თითქმის ხვეწნა-მუდარის დონეზე მთხოვდნენ, ახლა უკვე შეტევაზე არიან გადმოსულები და **მწერენ, რომ მე ვარ რუსი, პუტინის მონა, ჩემთან მხოლოდ მონები წერენ და ასე შემდეგ...** აბა, ერთი გახსენი, როგორ ,,იბაირამებთ" შენ და შენნაირები, მაგასაც ვნახავთო!

მიმოწერა, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ამ დილით ვნახე პირადში. ვიღაც დაჭმუჭნულსიფათიანი ბრძანების ტონით მეუბნება — **შე რუსო, არ გრცხვენიაო?!**

თავიდან ვიფიქრე, მივწერ, მე და შენს შორის რუსის დედაც-მეთქი, მაგრამ ვიღაც შემოხეტებულთან პოლემიკა რომ არ გამომსვლოდა, მივმართე: შედი **,,ბუტკაში", ფისი ქენი, დაიძინე-მეთქი!**

იუკადრისა. დამემუქრა, ახლა ნახავ, ჩემ გვერდზე რეებს დავწერ შენზეო. ჰა, ჰა, ჰა! **ჩემზე რა უნდა დაწეროს? დიდი-დიდი, ქვეყანას მოსდოს, რომ პუტინის მონა ვარ!**

ისე, ეს პუტინიც ვერ არი, ჩვენ მონები ვართ და ფულს კიდე **ლიაკა ხოშტარიას** უხდის!




## გაფუჭებული ,,ზმეიკა"



გამოვა ხოლმე პარლამენტის ყოველ სხდომაზე და სარკესთან დაყენებული მიმიკებით პანიკიორობს — **ხან ბიძინა ივანიშვილს ემუქრება, ხან უმრავლესობის წევრებს დასჩხავის ყვავივით...**

1994 წლამდე **თვითონ იჯდა მოსკოვში,** იქ დავაჟკაცდა, იქ შეიცნო პირველად სამყარო, ჯერ ლომონოსოვის უნივერსიტეტი დაამთავრა, მერე — ასპირანტურა... 1994-მდე, ანუ როცა აფხაზეთში ქართველები იღუპებოდნენ, ეს იჯდა წყნარად, მშვიდად და იმავე უნივერსიტეტში დისერტაციას წერდა. ახლა კი სხვებს ეძახის — **თქვე რუსეთუმეებო, თქვე პუტინის მონებოო!**

1995 წელს ჩამოსეირნდა საქართველოში. მამის თხოვნით, ასლან აბაშიძემ ჩასვა თავის სიაში, გაადეპუტატა. მოგეხსენებათ, 2003-ში ასლანი გაწირეს და ამანაც ეგრევე — ,,ჰაიდა, პაშოოოოლ"!

მას მერე სიტყვა არ დაუსვლელებია ყოფილი ბელადის დასაცავად.

მეტიც, 2020-ში **ბოკერიასთან** გაქანდა, სიაში ჩაეწერა და მაგის ტანკით მოხვდა პარლამენტში. ზოგს ჰგონია, **არმაზ ახვლედიანი** საკანონმდელო ორგანოში „ნაცებმა" შეიყვანეს, **არა, ბოკერიას წყალობით ზის იქა და ისე იბრიქება, გეგონება, საკუთარი დამსახურებით ეთამაშება ვარსკვლავებს.** ალბათ, გახსოვთ, **ბოკერიას** პარტიაში შესვლამდე **„ქართულ ოცნებაშიც"** იყო. იქ მალე აუღეს ალღო და „დააპაშოლეს".

☺

კაცო, მე ის კი არ მანაღვლებს, **ეს „ისტერიკა" ტიპი** რას იტყვის და ვის დაემუქრება, მე მხოლოდ იმაზე ვდარდობ, რომე... ეგ პირი **გაფუჭებულ „ზმეიკასავით"** რო მორღვევია, ხომ შეიძლება, უფრო დიდზე მოერღვას?

**აი, ამაშია საქმე!**

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №18-42

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.***






## გია ხუხაშვილი:

## კვირიკაშვილმა მითხრა, რომ მისთვის ძალიან მძიმე იყო მოღალატის ტვირთი და რეაბილიტაციას ითხოვდა!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში აღწერს, როგორ აქცია პრემიერად **გიორგი კვირიკაშვილი**, რომელიც მანამდე ერთი, არაფრით გამორჩეული შევარდნაძის დროინდელი მოქკავშირელი დეპუტატი იყო:

***„ერთ დღეს, დავით საგანელიძემ, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ინტეგრირებული ჩვენს საარჩევნო კამპანიაში, მითხრა, რომ არის ასეთი პიროვნება — გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც სურს ჩემთან შეხვედრა, დადებითად დამიხასიათა და მთხოვა, რომ უარი არ მეთქვა მისთვის“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ გვ. 241).*

ანუ ლაპარაკია ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდელ პერიოდზე, როდესაც „ქართული ოცნების“ კოალიცია ყალიბდებოდა სააკაშვილის რეჟიმის არჩევნებში დასამარცხებლად.

**ხუხაშვილი** საგანელიძეს დათანხმდა კვირიკაშვილთან შეხვედრაზე და ერთობ საინტერესოდაც ახასიათებს ამ უკანასკნელს:

***„მე დავთანხმდი და მართლაც შევხვდით ფალიაშვილზე მდებარე „ჩაის სახლში“. მანამდე გავარკვიე, რომ გიორგი იყო ე.წ. „ჩრდილელის მოღალატეთა ჯგუფის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის მომენტში დაითხოვა „ქართუ ჯგუფიდან“*** *(იქვე, გვ. 241).*

რომ დავაზუსტოთ, მემუარისტის მიერ ნახსენები ეს **„ჩრდილელის მოღალატეთა ჯგუფი“** ის ხალხია, ვინც **ბიძინა ივანიშვილის** მიერ პოლიტიკაში შემოსვლის განაცხადისთანავე, სააკაშვილის რეჟიმისგან მოსალოდნელი რეპრესიების შიშით, ზურგი აქცია ბიძინა ივანიშვილს და პირდაპირ უთხრა მას, რომ „ქართუ ჯგუფის“ მსუყე ხელფასებზე კი ნებივრობს, მაგრამ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას ვერ შეძლებს!

აი, ასეთი დეზერტირი იყო **გიორგი კვირიკაშვილი!**

ხუხაშვილი ასე იხსენებს კვირიკაშვილთან შეხვედრას:

***„კვირიკაშვილმა თავიდანვე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მიხსნიდა, რომ მისთვის ძალიან მძიმე იყო „მოღალატის ტვირთის“ ტარება აბსოლუტურად დაუმსახურებლად და ითხოვდა არაიმდენად ტექნიკურ, რამდენადაც მორალურ რეაბილიტაციას. იმდენად დამაჯერებელი და ემოციური იყო, რომ ეჭვიც არ შემპარვია მის გულწრფელობაში და გადავწყვიტე, ბიძინასთან რაღაცნაირად მომეგვარებინა ეს საკითხი“*** *(იქვე, გვ. 241).*

რატომ გადაწყვიტა **გიორგი კვირიკაშვილმა** „რეაბილიტაცია“?!

როდესაც **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა, პოლიტიკაში მოვდივარ საქართველოს სააკაშვილის რეჟიმისგან გასათავისუფლებლადო, კვირიკაშვილისთვის და მისთანებისთვის ეს თვითმკვლელური განაცხადი იყო, მაგრამ თვეების შემდეგ, როდესაც ბიძინა ივანიშვილს ლამის მთელი პოლიტიკური სპექტრი „ჩაუხტა ნავში“, **კვირიკაშვილმაც** ჩათვალა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური განაცხადი არათუ თვითმკვლელური, ერთობ პერსპექტიულიც კი იყო და ამ დაძრულ მატარებელზე შეხტომაც იმიტომ განიზრახა ბიძინას გარემოცვაში ყველაზე გავლენიანი **ხუხაშვილის** დახმარებით!

ხუხაშვილი ბიძინა ივანიშვილთან კვირიკაშვილის რეაბილიტაციის საკითხზე დალაპარაკებას ასე აღწერს:

***„ივანიშვილის რეაქცია ჩემს თხოვნაზე იყო კატეგორიული. მითხრა, რომ მე ვერც წარმომიდგენია, თუ როგორ ხალხთან მაქვს საქმე და რა „ორმაგი თამაშები“ მიმდინარეობდა. მართალია, პირდაპირ კვირიკაშვილზე არ აპელირებდა, მაგრამ მას მოიაზრებდა ჩრდილელის გუნდის წევრად.***

*მე დიდხანს არ მიკამათია, რადგან, ბუნებრივია, ბიძინა ჩემზე ბევრად უკეთ იცნობდა „ქართუ ჯგუფში“ შექმნილ სიტუაციას.* ***ჩვენ ვიყავით პოლიტიკურ ომში და, შესაბამისად, თეორიული შანსიც თუ იყო რაიმე რეალური პრობლემის, ზედმეტი რისკის გაწევა არ ღირდა“*** *(იქვე, გვ. 241).*

მოკლედ, კვირიკაშვილის რეაბილიტაცია არ შედგა!

**ბიძინა ივანიშვილის** „ქართული ოცნების“ კოალიციამ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ხელისუფლება გადაიბარა და ახალი მთავრობის დაკომპლექტება დაიწყო. **ამ პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი მემუარისტიც, რადგან, იმის გათვალისწინებით, რომ მას არანაირი თანამდებობის დაკავების პრეტენზია არ ჰქონდა, ბიძინა ივანიშვილი მას ყველაზე მეტად ენდობოდა კადრების შერჩევისას:**

*„ერთხელაც ვსხედვართ და ვსაუბრობთ გარკვეულ გადაადგილებებზე სახელისუფლებო ვერტიკალში. საუბარი შეეხებოდა* ***ნოდარ ჯავახიშვილის*** *სავარაუდო კანდიდატურას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე...*

***ბიძინამ გამიზიარა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნოდარ ჯავახიშვილის ეროვნულ ბანკში გადაყვანის შემთხვევაში ის მზად იყო, გიორგი კვირიკაშვილი დაებრუნებინა „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე. მან გამახსენა ჩემი თხოვნა და მითხრა, რომ ახლა უკვე ხელისუფლებაში ვართ, შესაბამისად, ადრე არსებული რისკები უკვე აღარ არსებობს და ამიტომ ასეთ გადაწყვეტილებაში პრობლემას ვერ ხედავს“*** *(იქვე, გვ. 241).*

**ხუხაშვილი** არც მალავს, რომ ძალიან ესიამოვნა კვირიკაშვილის ასეთი მოულოდნელი რეაბილიტაცია:

***„სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა და მესიამოვნა, რადგან გიორგის მძიმე გაურკვევლობაში ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაცნობობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, გარკვეულწილად მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მაწუხებდა. შესაბამისად, მოვუწონე გადაწყვეტილება და ბიძინამაც, „სანამ ცხელი იყო“, მოიხმო პირადი მდივანი და დაავალა, კვირიკაშვილს დაკავშირებოდა ბანკში სავარაუდო დაბრუნების თაობაზე“*** *(იქვე, გვ. 242).*

ამის შემდეგ, როგორც მემუარისტი ჰყვება, მან და ბიძინამ განაგრძეს მთავრობის წევრების კანდიდატების შერჩევის პროცესი, მაგრამ ეკონომიკის მინისტრის კანდიდატურაზე „გაიჭედნენ“: ვერცერთი რეალური კანდიდატი ვერ აირჩიეს, ზოგი არ მოსწონდათ, ზოგიც დროს ითხოვდა დასაფიქრებლად და ესეც არ იყო მოსაწონი...

ჰოდა, ამ ლაპარაკისას დაიბადა აზრი, რადგან **გიორგი კვირიკაშვილი** რეაბილიტირებულია, ბარემ ეკონომიკის მინისტრობაც მას ხომ არ ვარგუნოთო?!

ჰოდა, არგუნეს კიდეც!

აი, ასე მოხვდა ყველასგან გარიყული **„დეზერტირი“ კვირიკაშვილი** მთავრობაში მინისტრად!

შემდეგ კი მორიგი სამთავრობო გადანაცვლებისას, ბედის ირონიით — მთლად პრემიერ-მინისტრადაც!

**თუმცა, მემუარისტი კვირიკაშვილზე საუბრისას არაფერს წერს იმ უზარმაზარ კორუფციულ ხვრელებზე, ამ პერსონის პრემიერობისას რომ გაჩნდა!**

**ფაქტია, რომ დღემდე ვერ უპოვიათ ის საბიუჯეტო 700 მილიონი ლარი, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან მოტყდა.**




**აი, ასე მოხვდა ყველასგან გარიყული „დეზერტირი“ კვირიკაშვილი მთავრობაში მინისტრად!**

*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*

**_უკანასკნელ ხანს სააკაშვილის რეჟიმის ჯალათი, ნაპროკურორალი ნიკუტა გვარამია ლაზარე გრიგორიადისის პორტრეტიანი მაისურით გამოგვეცხადა. ყოფილი სახალხო დამცველი, ანალიტიკოსი და ჟურნალისტი ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ ეს ჩაცმულობა სხვა არაფერია, თუ არა მოწოდება და ნიშანი ახალგაზრდებისთვის, რათა ისინიც გრიგორიადისის მსგავსად მოიქცნენ და რუსთაველის პროსპექტი გადაბუგონ:_**



„ნიკა გვარამია ლაზარე გრიგორიადისის სურათით დაპრინტული მაისურით ეწევა იმ აზრის კულტივირებას, რომ „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა, თურმე, კონსტიტუციით გარანტირებული უფლება ყოფილა...“



## ნანა დევდარიანი:

# პატრონებმა გვარამია პოლიტიკურ ველზე შემოაგდეს ერთადერთი მიზნით – როგორმე მოახერხოს ყველა ნაცის გაერთიანება!

— აშკარაა, რომ ამ ბიჭისაგან — ნიკა გვარამიასა და მის ჯგუფს უნდათ წამებულის შექმნა, რომელიც ვითომდა რუსებს ებრძოდა და **„მოლოტოვის კოქტეილებსაც“** იმიტომაც ისროდა, მაგრამ არ გამოვა ეს ამბავი, რადგან სააკაშვილის მოსვლის დღიდან ოცი წელი გავიდა, საზოგადოება პოლიტიკურად ძალიან გაიზარდა და შანსი იმისა, რომ ფართო მასების პროვოცირება შეძლონ, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

**— მაინც რა მიზანს ისახავს გვარამიას მიერ მაისურზე ლაზარე გრიგორიადისის გამოსახვა?**

— ეს ემსახურება ერთადერთ მიზანს — ახალგაზრდობის მოზიდვას და მათთვის ერთადერთი რამის თქმას — **„მეც თქვენნაირი ვარ, ლაზარე რასაც აკეთებდა, იმაში უკანონო არაფერი ყოფილა და თქვენც უნდა გახდეთ ლაზარესნაირები, ანუ „მოლოტოვის კოქტეილები“ დაუშინოთ ხელისუფლებას!“**

**— საინტერესოა, ახალგაზრდობის რა ნაწილზე აქვთ მათ გათვლა?**

— „ებერტის ფონდმა“ გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, ქართველი ახალგაზრდების 60 პროცენტზე მეტს პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს და არც აპირებს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას! ნიკა გვარამიასა და მის პატრონებს ერთადერთი მიზანი აქვთ — მოახერხონ სწორედ იმ 60 პროცენტის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა!

ის მართული და დაფინანსებული სექტა, რომელსაც ნიკა გვარამია წარმოადგენს, ლაზარე გრიგორიადისის სურათით დაპრინტული მაისურით ეწევა იმ აზრის კულტივირებას, რომ თითქოს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსული რეჟიმია, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა ნებისმიერი მეთოდით, მათ შორის, „მოლოტოვის კოქტეილითაც“ გამართლებულია. დიახ, **თურმე, „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება ყოფილა...** აი, ამას ასწავლის და ამისკენ მოუწოდებს ნიკა გვარამია ახალგაზრდებს და ამიტომაა ეს კაცი საშიში! პარადოქსი ის არის, რომ გვარამია ამავდროულად სასაცილო პერსონაა... სასაცილო იყო ის ამ ოცი წლის წინათაც, როცა ძალიან სერიოზული გამომეტყველებით, კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი, თავისი ასაკისთვის შეუფერებელი გარეგნობით, რაიკომის ინსტრუქტორივით გამოჭიმული, სააკაშვილისა და ადეიშვილის პროკურორ-ტელეკომენტატორად მუშაობდა. **კომიკური პერსონაა გვარამია დღესაც, როცა ორმოცდაათ წელს მიღწეულს, თინეიჯერივით აცვია...**

**— ჩაცმულობა იქით იყოს და რა გითხრათ მისმა ბოლოდროინდელმა სატელევიზიო ინტერვიუმ?**

— გაგახსენებთ გვარამიას მიმართვას ჟურნალისტისადმი — ვიცი, ახალგაზრდები მესამე ბლოკში უნდა გამოიყვანოთ და გირჩევთ, რომ აწი პირველ ბლოკში ჩართოთ! მოკლედ, ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს კაცი მომართულია ახალგაზრდების პროვოცირებაზე...

**— ფაქტია, რომ 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი მოვლენების დროს, პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს „მოლოტოვის კოქტეილებს“ მხოლოდ ლაზარე გრიგორიადისი არ ესროდა და ვიდეოკადრებში იდენტიფიცირებულია სხვა მსროლელებიც... საინტერესოა, რატომ დაიჭირეს მხოლოდ გრიგორიადისი და არ დაიჭირეს სხვები?**

— ყურადღება მივაქციოთ ერთ დეტალსაც — როგორც კი ამ საკითხმა პოლიტიკური ყურადღება შეიძინა, მაშინვე გამოიტანეს გადაწყვეტილება გრიგორიადისის მიერ მამამისის დაჭრის ფაქტზე.

**ეს არის ჩვენი ძალოვანი სტრუქტურებისა და განსაკუთრებით პროკურატურის სერიოზული ხარვეზი, როცა ისინი ზომებს დროულად არ იღებენ, განცხადებებს აკეთებენ და ბოლოს ირკვევა, რომ მთელ ამ ორომტრიალში მხოლოდ ერთი კაცია მხილებული. ეს არის ძალიან ცუდი პრეცედენტი, რომელიც ქვეყანას კარგს არაფერს უქადის.**

**— როგორ ფიქრობთ, მოახერხებენ თუ არა უცხოეთის მიერ დაფინანსებული და მართული ჯგუფები საქართველოში სიტუაციის არევას?**

— ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული... კოლექტიურ ნაცებს რომ გადატრიალება უნდათ, ფაქტია, მაგრამ 2003 წლის სცენარის გამეორება ძალიან გაუჭირდებათ! დააკვირდით, რა თქვა **ნიკა გვარამიამ** — რომელიმე პარტიასთან გავაგრძელებ პოლიტიკურ მოღვაწეობას თუ რაიმე პლატფორმასთან, გამოჩნდებაო! გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს ნაცმოძრაობას არავითარი ავტორიტეტი არა აქვს, ამიტომ პატრონებმა ნიკა გვარამია პოლიტიკურ ველზე შემოაგდეს ერთადერთი მიზნით — როგორმე მოახერხოს ყველა ნაცის გაერთიანება!

**— მერედა გვარამიასგან ნაცსექტის ახალი გურუ და დალაი ლამა გამოვა?**

— დალაი ლამობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **ნიკა გვარამიას ძალიან უნდა, გახდეს ნაცმოძრაობის ტროცკი და დაიმორჩილოს ახალგაზრდები!** სწორედ ამას ემსახურება ლაზარეს ფოტოთი დაპრინტული მისი მაისური... რეალურად მათი მიზანია სიტუაციის ადუღება! რაც შეეხება იმას, გამოუვათ თუ არა რამე, ფაქტია, რომ ამის სურვილიც აქვთ და გარედან მხარდაჭერაც არ აკლიათ. შესაძლოა, წელს მათ მიზანს ვერ მიაღწიონ, მაგრამ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა 2024 წლის შემოდგომამდე ქვეყანაში დაძაბულობა შეინარჩუნონ და არჩევნებში სწორედ ამ ფონზე მიიღონ მონაწილეობა. მოკლედ, უტიფრები არიან... **„უტიფარი“** ძველ დროში ისეთ საზიზღარ ადამიანს ნიშნავდა, რომელსაც **ტიფიც კი არ ემართებოდა...** სწორედ ეგეთები არიან და ამიტომ არის ამათგან ყველაფერი მოსალოდნელი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




1967-დან






ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის სტუმრობიდან 57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!

**ცნობილი ჰომეოპათის, ექიმისა და მედიცინის დოქტორ კახა საბახტარიშვილის განცხადებით, ფარული დიაბეტი, ანუ ინსულინრეზისტენტობა თითქმის ყველა პათოლოგიის საფუძველია. ამიტომ დაავადების მკურნალობა უნდა დავიწყოთ სწორედ ინსულინ-რეზისტენტობის დამარცხებით, რომელიც ასიდან სამოცდაათ ადამიანს აღენიშნება:**






## კახა საბახტარიშვილი:

# ინსულინრეზისტენტობას, ანუ ფარულ დიაბეტს რომ ვებრძოლოთ, დღეში ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ უნდა ვჭამოთ!

— მედიცინისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ფარმაცევტული ინდუსტრია ახალ-ახალი მედიკამენტებით ივსება, მაგრამ დაავადებები დაავადებებად რჩება და მათი აღმოფხვრისა და ელიმინაციის თვალსაზრისით ხელშესახები პროგრესი არ ჩანს. ბუნებრივად დაისმის კითხვა — რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და თუ პრობლემას ვერ შველის, მაშინ რა აზრი აქვს ახალი და ახალი წამლების გამოგონებას? პასუხი ერთია — **ახალ-ახალი წამლების შექმნა განპირობებულია იმით, რომ ძვირური მედიკამენტები მჭიდავ პათოლოგიებს კარგად უმკლავდებიან, მაგრამ ამის მიუხედავად დაავადება უკან მაინც არ იხევს და ხშირად ქრონიკულ ფორმას იძენს.** ჩვენი აზრით, ამის მიზეზი **ფარული დიაბეტი, ანუ ინსულინრეზისტენტობაა,** რომელიც, როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, ასიდან სამოცდაათ ადამიანს აღენიშნება.

შეგახსენებთ, რომ ინსულინრეზისტენტობა ის მდგომარეობაა, როცა შაქრისა და შაქრის შემცველი ნახშირწყლების ჭარბი მოხმარების შედეგად ინსულინი ზედმეტი რაოდენობით გამოიყოფა, მაგრამ „არ მუშაობს", ანუ ინსულინს გლუკოზა უჯრედში ვერ შეაქვს. აქედან გამომდინარე, უჯრედი ენერგიას ვერ ღებულობს...

ბოლო პერიოდში ძალზე მოიმატა ალცჰაიმერითა და მოხუცებულობითი ჭკუასუსტობით დაავადებულთა რიცხვმა, საგრძნობლად გაახალგაზრდავდა ალცჰაიმერით დაავადებულთა ასაკიც... მისი ნიშნები ზოგიერთ შემთხვევაში 35-40 წლის ასაკშიც კი ვლინდება. ამ ასაკის ადამიანებში უკვე არცთუ იშვიათია გულმავიწყობა, მეხსიერების და კონცენტრაციის დაქვეითება და ყველა ის სიმპტომი, რომელიც ალცჰაიმერის დაავადებას ახასიათებს. ამის ძირითად მიზეზად **სწორედ შაქრითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღება** მიმაჩნია, რაც განვითარებული და ცხოვრების მაღალი დონით გამორჩეული ცივილიზაციის თანმდევი მოვლენაა.

**— რა შუაშია ალცჰაიმერთან ინსულინრეზისტენტობა, ანუ ფარული დიაბეტი?**

— ალცჰაიმერის დაავადების დროს თავის ტვინში პათოლოგიური ცილები გროვდება, რომელიც ამილოიდურ ფოლაქებად ყალიბდება. ეს ფოლაქები ორგანიზმისთვის უცხოა, ორგანიზმი მას ებრძვის და იწყება აუტოიმუნური და ანთებითი პროცესები, რასაც თავის ტვინის ნერვული უჯრედების დაზიანება და გადაგვარება მოსდევს.

ბევრმა არ იცის, რომ ინსულინი ტვინის ნერვული უჯრედების პროტექტორია, ანუ თავის ტვინს დაზიანებისგან იცავს. რაც შეეხება ინსულინის გამოყოფას, მას შაქრის შემცველი პროდუქტების მიღება ააქტიურებს. ერთი შეხედვით, საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ტვინის მუშაობისათვის ტკბილის მიღება კარგია, თითქოს სწორია, მაგრამ **როდესაც ტკბილეულს გადაჭარბებული რაოდენობით ვღებულობთ, ჭარბი გლუკოზა ორგანიზმისთვის უკვე შხამია.** სწორედ ამის გამო ორგანიზმი საგანგებო რეჟიმში გადადის და ინსულინრეზისტენტობით შხამისგან, ანუ შაქრისგან თავს იცავს — სისხლში ინსულინი ნორმაზე ხუთჯერ და ექვსჯერ მეტია, მაგრამ უჯრედში ვერ შედის და დაბლოკილია! ცხადია, ასეთ დროს ინსულინი ვერც თავის ტვინში ხვდება და თავის ტვინის დამცველის ფუნქციასაც ვეღარ ასრულებს. ამიტომ ვისაც პარკინსონი ან ალცჰაიმერი სჭირს, შაქარსა და შაქრის შემცველ ნახშირწყლებზე საერთოდ უარი უნდა თქვას!

თუ პაციენტები ამ წესს დაიცავენ, მაშინ ინსულინრეზისტენტობა უკან დაიხევს, ინსულინი სისხლში ნორმის ფარგლებში იქნება და თავისუფლად შეაღწევს უჯრედებში, რაც მისი პირდაპირი ფუნქციაა. არ უნდა დაგვავიწყდეს მეორე ფაქტორიც — **არამარტო ალცჰაიმერით დაავადებულთათვის, არამედ ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანისთვისაც კი დღეში ოთხჯერ და ხუთჯერ კვება დიდი ზიანის მომტანია.** საქმე ის გახლავთ, რომ ყოველი კვების შემდეგ ორგანიზმში ყოველთვის გამოიყოფა ინსულინი, რაც იწვევს პანკრეასის ჯირკვლის დატვირთულ მუშაობას და საბოლოოდ მის გამოფიტვას. ინსულინრეზისტენტობას, ანუ ფარულ დიაბეტს რომ ვებრძოლოთ, დღეში ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ უნდა ვჭამოთ!

**— თუ დღეში ორჯერ ვჭამეთ, მაგრამ მაინც გვშია, რა არის ამის მიზეზი?**

— თუ მძიმე ფიზიკურ შრომას არ ვეწევით ან სპორტით არ ვართ დაკავებული, მაშინ ხშირი შიმშილის მიზეზი ერთადერთია — შაქრისა და შაქრის შემცველი ნახშირწყლების მიღება! საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ბავშვობიდანვე გვაჩვევდნენ ტკბილეულობას. ტკბილის მიღების შედეგად თავის ტვინი გამოყოფს კმაყოფილების ჰორმონ **დოფამინს,** რასაც თან სდევს ბედნიერების ჰორმონის **სეროტონინის** გამოყოფა, ანუ ტკბილეულის თუნდაც მცირე რაოდენობით მიღების შემდეგ ჩვენ კმაყოფილები და ბედნიერები ვხდებით, მაგრამ ეს ყველაფერი მაქსიმუმ ერთი-ორი წუთის განმავლობაში გრძელდება... **ტკბილეულის მიღებიდან გარკვეული დროის გავლის შემდეგ ადამიანს ეწყება მოთენთილობა, სისუსტე, ძილიანობისკენ მიდრეკილება, კმაყოფილება იცვლება უგუნებობით და როცა ადამიანი კვლავ მიიღებს ტკბილეულს ან შაქრის შემცველ პროდუქტს, ეს მოვლენები მომენტალურად იხსნება.**

დროთა განმავლობაში ადამიანი ნარკოდამოკიდებულის მსგავსად, შაქარდამოკიდებული ხდება. აი, ასე ყალიბდება **ინსულინრეზისტენტობა...** ნურავინ იფიქრებს, რომ ტკბილეულობაში მხოლოდ რაფინირებული შაქარი, ნამცხვრები, ტორტები, ორცხობილები და კანფეტები იგულისხმება.

**კარტოფილი, მაკარონი, ბურღულეული, პური, ფაფები, ეს ყველაფერი დიდი რაოდენობით შაქარსა და შაქრის შემცველ ნახშირწყალს – სახამებელს შეიცავს.**

ვისაც კარტოფილი უყვარს და ხშირად მიირთმევს, ინსულინრეზისტენტობისთვის არის განწირული!

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაავადებათა 70 პროცენტი ინსულინრეზისტენტობითაა გამოწვეული. აი, მაგალითად, ქალებში ფართოდ გავრცელებული **პოლიკისტოზი** ინსულინრეზისტენტობასთან პირდაპირ კავშირშია. ასეთ დროს ქალებში გამოიყოფა ჭარბი რაოდენობით მამაკაცთა სასქესო ჰორმონები ანდროგენები, რომელიც პოლიკისტოზსა და უამრავ სხვა დარღვევას იწვევს. ხოლო კაცებში ინსულინრეზისტენტობის დროს, პირიქით, ანდროგენების რაოდენობა შემცირებულია, რაც, თავის მხრივ, **ტესტოსტერონის,** ანუ მამაკაცთა სასქესო ჰორმონების დაბალ დონეს განაპირობებს. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს იმპოტენციას, ერექციის დაქვეითებას და ა.შ.

**— კიდევ რა ფუნქცია აქვს ინსულინს?**

— ინსულინს უჯრედში არამარტო გლუკოზა შეაქვს, არამედ ამინომჟავებიც და მიკროელემენტებიც — კალიუმი, მაგნიუმი და ა.შ ბევრმა არ იცის, რომ ინსულინს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია. ყველა იმ უჯრედში, სადაც ინსულინრეზისტენტობის გამო ინსულინს უჯრედში შესვლა უჭირს, ანთება ვითარდება. სახსრების დაავადება და ართრიტი შესაძლოა, სწორედ ინსულინრეზისტენტობით იყოს გამოწვეული, რომლის არსებობის შესახებაც ადამიანს ხშირად



**„ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანისთვისაც კი დღეში ოთხჯერ და ხუთჯერ კვება ჯანმრთელობისთვის დიდი ზიანის მომტანია!"**

## კვირგვინოსნები

**სალომე ბაქურაძე**
*მომღერალი*



მე შეიძლება, **განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით არასდროს გამოვირჩეოდი,** მაგრამ დედა სულ მაქებდა. მეუბნებოდა, რომ **ძალიან ლამაზი ვიყავი.** ეს თვითშეფასებას იმდენად მიმაღლებდა, რომ მთელი ცხოვრება ლაღად მოვდივარ, **თავი ყველაზე ლამაზიც მეგონა და ყველაზე ნიჭიერიც.**

„თბილისელები"

**გოგი წულაია**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



კიდევ კარგი, გამაფრთხილეს, რომ **დაჭერას მიპირებდნენ და თავს ვუშველე.** საქართველოში ყველა არჩევნების შემდეგ სულ იმაზე ვყვიროდი, **არჩევნები გამიყალბეს-მეთქი.** ასეც იყო, მაგრამ სულ ერთი და იგივე როგორ უნდა იყვირო!

„კვირის პალიტრა"

**თამთა ქელიძე**
*მომღერალი*



შოუბიზნესში მრავლად არის **მიუღებელი საქციელი** მათი მხრიდან, ვისგანაც არ ელი. **შენც ვერ წახვალ ყველაფერზე სცენაზე დგომის სანაცვლოდ.** ის, რაც საკუთარი თავისთვის ვერ გავაკეთე, სხვისთვის განვახორციელე. **სხვების პოპულარობაზე ვიმუშავე.** სიხარულს მანიჭებს ნიჭიერების აღმოჩენა.

„სარკე"

**ანა ნათელიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*



ამერიკის საზღვარი რომ გადავკვეთე, ძალიან დიდხანს მაკვირდებოდნენ, **ვერაფრით მიხვდნენ, რატომ მქონდა დიპლომატიური პასპორტი და 13 დაკავება.** ჩემნაირი შვილი რომ მყავდეს, ძალიან გამიჭირდებოდა.

„თბილისელები"



„ვისაც პარკინსონი ან ალცჰაიმერი სჭირს, შაქარსა და შაქრის შემცველ ნახშირწყლებზე საერთოდ უარი უნდა თქვას!“

# „ის, რომ შაქარი ნორმაში გვაქვს, არაფერს ნიშნავს, მთავარია, ვიცოდეთ, რამდენია ჩვენი ინსულინრეზისტენტობის ინდექსი!

წარმოდგენაც არა აქვს. უკვე ბევრჯერ ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **ის, რომ შაქარი ნორმაში გვაქვს, არაფერს ნიშნავს, მთავარია, ვიცოდეთ, რამდენია ჩვენი ინსულინრეზისტენტობის ინდექსი, ანუ „ჰომა-ინდექსი“!**

**— შაქარი რომ მტერია, გასაგებია, მაგრამ როგორ უნდა გადაეჩვიოს მას ადამიანი?**

— შაქრის ნელ-ნელა მიტოვება შედეგს ვერ იძლევა. შაქარი მყისიერად, უცბად უნდა გადავაგდოთ და ჩვენი კვების რაციონიდან ამოვძირკვოთ, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა... მკვეთრად უნდა შევზღუდოთ ნახშირწყლოვანი საკვების მიღება. დღის განმავლობაში მისი მოცულობა 50 გრამს არ უნდა აჭარბებდეს! **პარალელურად უნდა მივიღოთ დიდი რაოდენობით ბოსტნეული და ჯანსაღი ცხიმები — თევზი, ზეითუნის ზეთი, სალა, ლორი, ცხიმიანი ხორცი და ა.შ.** ცილოვანი საკვების მოცულობა 100-150 გრამს არ უნდა აჭარბებდეს! გვახსოვდეს, რომ ცხიმები ინსულინის დონეს არ წევენ და ინსულინრეზისტენტობას არ იწვევენ. ამიტომაც, როცა ცხიმოვან საკვებს ვღებულობთ, სიმაძღრის შეგრძნება დიდხანს გაგვყვება. ასეთ დიეტას **კეტოგენური დიეტა** ეწოდება, რაზეც შემდგომ ინტერვიუებში ვრცლად ვისაუბრებთ. ამ დიეტას **კეტოგენური** იმიტომ ჰქვია, რომ ორგანიზმი გლუკოზის ნაცვლად ცხიმების დაჟანგვის პროდუქტებს, ანუ კეტონებს მოიხმარს. რაც მთავარია, ასეთ დროს ორგანიზმი ზედმეტი ცხიმისგან თავისუფლდება. **კეტოგენური დიეტა** ინტერვალურ შიმშილობასთან ერთად მსოფლიოში ყველაზე აღიარებულია. უფრო მეტიც, ასეთი დიეტის საშუალებით თვით სიმსივნის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლაც არის შესაძლებელი, რადგან კიბოს ძალიან უყვარს შაქარი.

**— დავუშვათ, შაქრის მიღება ალვკვეთეთ, რას ვიგრძნობთ პირველი ორი კვირის განმავლობაში?**

— თუ შაქარს ჩვენი კვების რაციონიდან სრულად ამოვიღებთ, ხოლო შაქრის შემცველ ნახშირწყლებს დღის განმავლობაში 50 გრამზე მეტს არ მივიღებთ და დავიცავთ ჯანსაღ **კეტოგენურ დიეტას**, პირველი სამი დღე გაგვიჭირდება, მაგრამ შემდეგ დაიწყება ასეთი პროცესები: შაქრისა და ტკბილეულობის მიმართ მოთხოვნილება გაგვიქრება; შიმშილი დიდხანს არ შეგვაწუხებს; ჭამის შემდეგ დაღლილობა ან საერთოდ გაქრება, ანდა მნიშვნელოვნად შემცირდება; თავის ტვინი უკეთ ამუშავდება და გაიზრდება მისი კონცენტრაცია; გაგვიუმჯობესდება მეხსიერება; ნებისმიერი ანთება უკან დაიხევს და ტკივილი ნაკლებად შეგვაწუხებს; ინსულტების, ინფარქტების, თრომბების წარმოშობისა და განვითარების ალბათობა მინიმუმამდე შემცირდება; სასიცოცხლოდ აუცილებელი B და K ვიტამინების ათვისება უფრო უკეთესი გახდება; ქოლესტერინისა და ღვიძლის ფერმენტების მაჩვენებლები მკვეთრად გაუმჯობესდება; ზედმეტი ცხიმი ღვიძლიდან გამოვა, „საწვავად“ დაიხარჯება და რაც მთავარია, თუ ყველფერს სწორად დავიცავთ, პირველივე კვირას ორგანიზმიდან გამოვა 6 ლიტრამდე სითხე — წყალი; ეს ზედმეტი წყალია, რომელსაც ჩვენ ვატარებთ და ძალზე ცუდია გულისათვის. **ზედმეტ წყალს ზედმეტი ცხიმი გაჰყვება; ლიპი თანდათანობით გაქრება; თირკმლის ფუნქციები გაუმჯობესდება, რომელსაც შაქარი პირდაპირ „ჟანგავს“; გაუმჯობესდება მხედველობაც... ორი კვირის თავზე ინსულინრეზისტენტობის ინდექსი რომ შევიმოწმოთ, გასაოცარ ცვლილებას ვნახავთ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



# „ვისაც კარტოფილი უყვარს, ინსულინრეზისტენტობისთვის არის განწირული!“



## ხატია სიჭინავა
*ყოფილი ტელესახე*



თუ ჩემს სიძლიერეზე ლაპარაკობთ, **ნამდვილად ვისურვებდი, რომ ჩემს შვილს ჰყავდეს ჩემნაირი ცოლი.** ვიცი, რომ მას მაშინ არაფერი გაუჭირდება.

„სარკე“

## ჯესიკა ალბა
*მსახიობი*



ჩემთვის **მიუღებელია ეროტიკული სცენები** და არა მგონია, ამ საკითხზე მომავალში გადაწყვეტილება შევცვალო.

„სარკე“

## მალხაზ ქვრივიშვილი
*მსახიობი*



სახლში რამე თუ გაფუჭდება, **ყველაფერს შევაკეთებ, მშვენივრად გამომდის.** დავალაგებ კიდეც, ჭურჭელსაც გავრეცხავ და საჭმელსაც მოვამზადებ.

„თბილისელები“




იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80

სამშობიარო სახლი და პედიატრიული კლინიკა



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55




# «ტონზილინმა» ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!

***ჩირქოვანი ნუშურა ჯირკვლები, რომელსაც „გლანდებსაც“ უწოდებენ, ბავშვის მშობლებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არასათანადო მკურნალობას გართულებები შეიძლება მოჰყვეს:***

**ყურის ანთება: ოტიტი; რევმატიზმი; სახსრების შეძენილი ანთება: პოლიართრიტი; გულის შეძენილი მანკი; თირკმლის ანთება: ნეფრიტი.**

მკურნალობის მეთოდად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად, **ანტიბიოტიკები** გამოიყენება, თუმცა, მათ **გვერდითი მოვლენებიც** გააჩნია: თრგუნავენ ქრონიკული ტონზილიტის დროს ბავშვის ისედაც დასუსტებულ იმუნიტეტს და პროცესი ქრონიკულ ფორმაში გადაჰყავთ. საკმარისია გაცივება, რაიმე ვირუსი ან ბაქტერია ბავშვს შეხვდეს, ანთებითი პროცესი კვლავ იფეთქებს. თითქმის ყველა მშობელმა იცის, რომ ქრონიკული ტონზილიტი დიდხანს თუ გაგრძელდა, ის რევმატიზმით შესაძლოა გართულდეს, საბოლოოდ ასეთ „გლანდებს“ ოპერაციულად აშორებენ და ჩვენთან ეს წესი დღესაც მიღებულია.

**ოპერაცია საკითხის არასწორი გადაწყვეტაა!** უნდა ვიცოდეთ: ბავშვი, როდესაც დაიბადება, მისი იმუნური სისტემა, ძირითადად, სწორედ ე.წ. „გლანდებია“. ის არის ის პირველი ბარიერი, ფილტრი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და მავნე ნივთიერებების მოხვედრას. **სრულყოფილი იმუნური დაცვა ბავშვს 8-10 წლის ასაკში უყალიბდება.** „გლანდებს“ თანდათანობით ანაცვლებს იმუნური სისტემების სხვა ორგანოები: **ძვლის ტვინი, ელენთა, ღვიძლი და ა.შ.** მთავარი ამოცანაა, ბავშვის „გლანდები“ 8-10 წლის ასაკის **მიღწევამდე ოპერაციულად ამოკვეთას გადავარჩინოთ.**

არის ერთი პრობლემაც: როდესაც ბავშვს იმუნიტეტის მთავარ ორგანოს — გლანდს — მოაცილებენ, ორგანიზმი დაუცველი ხდება. ასეთ ბავშვებს ოპერაციიდან გარკვეული დროის შემდეგ ხშირად უვითარდებათ: **ასთმა, სხვადასხვა სახის ალერგიები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები** და ა.შ. გარდა ამისა, „გლანდები“ ასრულებს ერთგვარი ენდოკრინული ორგანოს როლსაც. მათ, ვისაც განუვითარდათ: **მასტოპათია, ფიბროადენომა, ფარისებრი ჯირკვლისა და საკვერცხეების კისტა, საშვილოსნოს მიომა, პროსტატის ადენომა,** ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ბავშვობის ასაკში „გლანდების“ ამოჭრამ.





ჰომეოპათიურ მედიცინას, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლია დაჩირქებული „გლანდები“ **ამოკვეთას გადაარჩინოს!**

**„ბულის ელექსირის“, „იმუნო-ჰერბის“, „მამოსილის“** შემქმნელის, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსის, ექიმ-ჰომეოპათ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით, ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად, შეიქმნა უნიკალური და ინოვაციური ბუნებრივი პრეპარატი: **„ტონზილინი“**, რომელმაც **ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„ტონზილინის“** გამოყენებით, **ანგინის, ჩირქოვანი ტონზილიტის** მკურნალობისას შედეგები ჩანს მკურნალობის დაწყებისთანავე. **ძლიერდება იმუნური სისტემა, ალაგდება ჩირქოვანი საცობები, „გლანდები“ ჩვეულ ფორმას უბრუნდება. „ტონზილინი“** აუცილებლად უნდა მიიღონ იმ ბავშვებმაც, რომელთაც **„გლანდები“ უკვე ამოჭრილი აქვთ,** რადგანაც ოპერაციის შემდეგ არცთუ ისე იშვიათია რევმატიზმის შედეგები. ამ პრეპარატზე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობდა დაკვირვება. **მისმა ეფექტურობამ 80-90%-ს მიაღწია,** ხოლო **ასეულობით ბავშვი „გლანდების“ ოპერაციულად ამოკვეთას გადაურჩა!**

## P.S.

*კოვიდპანდემიის დროს **„იმუნო-ჰერბმა“** საოცარი შედეგები აჩვენა: ვინც მას ღებულობდა — 70-80 პროცენტს კოვიდი საერთოდ არ დაემართა ან ყოველგვარი გართულების გარეშე გადაიტანა. საუკეთესოა **„ტონზილინის“ „იმუნო-ჰერბი-ფორტეს“** კომბინაცია. ორგანიზმი დაცულია რესპირატორული ვირუსებისაგან: გრიპი, რინოვირუსები, კოვიდი და ა.შ. ეს პრეპარატები ჯანმრთელმა ბავშვმაც უნდა მიიღოს პროფილაქტიკის მიზნით. ეს უსაფრთხო მცენარეული პრეპარატები, ფაქტობრივად, ბუნებრივი აცრაა. იკითხეთ **„PSP“-ს** და სხვა სააფთიაქო ქსელებში*

**ტელ: 593-31-70-34**

**„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“, ვაჟა-ფშაველას 43 (პროფკავშირების სახლი, მეტრო დელისთან)**



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგიური ამინდი ოქტომბერში

*— ოქტომბრის დასაწყისში სირთულეები, ძირითადად, რომელ სფეროს დაუკავშირდება? რატომ არის სასურველი, მნიშვნელოვანი შეხვედრა ანდა გეგმის განხორციელება გადაიდოს თვის მეორე ნახევარში? რა განაპირობებს 18 ოქტომბრის შემდეგ ადამიანებში ენერგიის, ბრძოლისუნარიანობის გაზრდას და შინაგანი თავისუფლებისა და წარმატების მიღწევის სურვილს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება სასწორიდან ღრიანკალის ზოდიაქოში? ამ პერიოდში ცის კაბადონზე პლანეტების — მარსისა და ვენერას ადგილმდებარეობა რას შეუწყობს ხელს და რატომ უნდა მოვასწროთ ყველაფერი 27 ოქტომბრამდე? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— ღვინობისთვე როგორ ჩაივლის, ვარსკვლავები რას გვაუწყებენ?**

— **ოქტომბრის დასაწყისი მარტივი არ იქნება. განსაკუთრებით დისჰარმონიული შესაძლოა ფინანსური სფერო იყოს. სავსემთვარეობის** (29 სექტემბერი) ძლიერი ენერგეტიკა **29 სექტემბრისა და 8 ოქტომბრის შუალედში იმპულსურ, გაუაზრებელ ქმედებებს განაპირობებს, რაც განსაკუთრებით საზიანო აღმოჩნდება ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის.** ამ დროს აჩქარება არ იქნება რეკომენდებული. მით უფრო, რომ სწრაფად შედეგის მიღწევის ცდუნება საგრძნობლად მოიმატებს, რაც შეცდომებს განაპირობებს და საფრთხეებს შექმნის. **ამიტომ სასურველია, ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა, საქმე თუ გეგმის განხორციელება ოქტომბრის მეორე ნახევარში გადაიდოს.**

**— როდის არის მოსალოდნელი ვითარების გაუმჯობესება?**

— **13 ოქტომბრიდან საერთო ვითარება სწრაფად დაიწყებს გამოსწორებას.** ამ დროს უკვე თამამად იქნება შესაძლებელი ახალი პროექტების ან ძველი გეგმების განხორციელება და ახალი საქმის დაწყება. სასიკეთო და შედეგიანი იქნება ბიზნეს-მოლაპარაკებები. მნიშვნელოვნად გამყარდება საქმიან-პარტნიორული, საოჯახო და სასიყვარულო კავშირები.

**— როგორი იქნება ვითარება ცის კაბადონზე?**

— **14 ოქტომბერს ახალმთვარეობასთან ერთად მოსალოდნელია მზის დაბნელება** (პიკი — 22.00 საათზე). ამ დღეებში სასურველია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, ოთახებში სანთელ-საკმეველი შემოატაროთ და ოპტიმისტურად განეწყოთ. 18 ოქტომბრის შემდეგომ, **მზე** და გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** დატოვებენ **მთვარის კვანძების** ნეგატიური ზემოქმედების ზონას, რის შედეგადაც ადამიანებში ენერგიულობა მოიმატებს, შინაგანი თავისუფლებისა და წარმატების სურვილი გაჩნდება და მოტივაცია, ბრძოლისუნარიანობა გაიზრდება.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში ოქტომბრის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება სასწორის ზოდიაქოდან ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზის გადანაცვლება 23 ოქტომბერს (20.22) ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშანში ადამიანებში გაამახვილებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, ინტუიციას, მოთმინებას, ნებისყოფას, შეუპოვრობას, ბრძოლისუნარიანობას და ასევე სიჯიუტეს, ეჭვიანობას, სარკაზმს, შურს, წყენას, სამაგიეროს გადახდის სურვილს, უკომპრომისობას და სექსუალურ მიდრეკილებებს.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **21-27 ოქტომბრის დროის მონაკვეთში, დედამიწის სასიკეთო ვიბრაციები უფრო ინტენსიური გახდება. მზესთან ერთად ღრიანკალის ზოდიაქოში იმოძრავებს ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა მარსიც (12 ოქტომბრიდან).** პლანეტური ენერგიების ამგვარი ცვლილება დედამიწელებს მნიშვნელოვნად გაუძლიერებს თავდაჯერებულობას, რისი გააზრებული გამოყენების შემთხვევაში, ადრე ნაფიქრ და დაგეგმილ საქმეებში დადებით შედეგებს მივაღწევთ. ყოველივე ამას, აგრეთვე, ხელს შეუწყობს სილამაზისა და სიყვარულის მმართველი პლანეტა **ვენერა,** რომელიც 9 ოქტომბრიდან **ქალწულის** ზოდიაქოში იმოძრავებს. ამიტომ თვის ბოლო დეკადაში მოიმატებს ურთიერთგაგება და ხელმძღვანელობასთან ისევე, როგორც საქმიან პარტნიორებთან, პირადი შეთანხმების მიღწევა და მოლაპარაკება გაადვილდება. ამავდროულად, ცოტა ხნით პოლიტიკური კლიმატიც გაუმჯობესდება. გარდა ამისა, ზრდა-განვითარებისთვის დამაკმაყოფილებელი პერსპექტივა წარმოჩნდება, აქციებისა და ვალუტის კურსი დასტაბილურდება, საინვესტიციო აქტიურობა გაიზრდება. **მთლიანობაში ეს პერიოდი ხელს შეუწყობს ადრე დაგეგმილ და კარგად გააზრებულ შენაძენს, ფულის საქმეში ან ქონებაში დაბანდებას, თამამ გადაწყვეტილებებს.** თუმცა, სასურველი იქნება, ყველაფერი 27 ოქტომბრამდე მოასწროთ, რადგან **28 ოქტომბრიდან** სასიკეთო კოსმოსური ენერგიები შესუსტდება, ხოლო დედამიწის ბიოსფეროს დაძაბულობა მოიმატებს. ნიშანდობლივია, რომ **29 ოქტომბერს, სავსემთვარეობას, მოსალოდნელია მთვარის დაბნელება** (პიკი — 00.25 საათზე). ამგვარად, **თვის ბოლო დღეებში არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და რაიმეს დაგეგმვა. ოქტომბრის ბოლო ისევე, როგორც ნოემბრის დასაწყისი, საქმეებისა და ინიციატივებისთვის ნაკლებად ხელსაყრელი იქნება.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 2 - 8 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
წინდახედულად იმოქმედეთ, რათა ფარულმა მტერმა ან შურიანმა ადამიანმა მახე არ დაგიგოთ. კანონს ნუ დაარღვევთ. საყვარელ ადამიანთან და ახლობლებთან ტაქტიანი და დიპლომატიური იყავით. ამგვარად საწადელს ადვილად მიაღწევთ და არც არავის გააღიზიანებთ. მეუღლეს წვრილმანზე ნუ შეედავებით. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, გართულების თავიდან ასაცილებლად ეცადეთ, დროულად მიიღოთ საჭირო ზომები და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

**კურო** (21.04-20.05)
შესაძლოა, სამსახურში ორაზროვანი სიტუაცია შეიქმნას. ეცადეთ, წინააღმდეგობანი დროულად დაძლიოთ, რათა ავტორიტეტი არ შეილახოთ. ფინანსებთან დაკავშირებით ნუ გარისკავთ. რჩევისთვის მეუღლეს ან შეყვარებულს მიმართეთ. თქვენი ენერგოპოტენციალი იკლებს, რაც შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. ბუნებასთან სიახლოვე, მოგზაურობა და სუფთა ჰაერზე ყოფნა განწყობას გამოგისწორებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თავს ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, ხშირი იქნება განწყობის ცვალებადობა. შემოსავლის გასაზრდელად მეტი იურთიერთეთ და იმოქმედეთ. მეგობრებმა, შესაძლოა, ახალი საქმე შემოგთავაზონ. მშობლებთან ურთიერთობა უფრო ჰარმონიული გახდება. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, რათა ავადმყოფობა არ მოგეძალოთ. კარგი პერიოდია სიყვარულისთვის, დასვენებისთვის და მეგობრებთან გართობისთვის.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თქვენი ძირითადი საზრუნავი ყოველდღიური საქმეები, ოჯახი და სახლი იქნება. შემოსავალი იკლებს. ნერვიულმა დაძაბულობამ, შესაძლოა, განწყობაზე და ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედოს. ახლობლებთან ურთიერთობაც გართულდება. ეცადეთ, არავისთან არ იკონფლიქტოთ და ხშირად დაისვენოთ, თუმცა, ქალაქიდან გამგზავრება ჯობს, გადადოთ. ეცადეთ, ეს კვირა ჰარმონიასა და სიმშვიდეში გაატაროთ. სასიკეთო იქნება ბუნებასთან, მცენარეებსა და ცხოველებთან სიახლოვე.

**ლომი** (23.07-23.08)
ახალი ინფორმაცია ცხოვრებისეული მიზნების შეცვლაზე დაგაფიქრებთ. მოსალოდნელია, სამუშაო პროცესის გართულება. შესაძლოა, მივლინება გადაიდოს. სასიყვარულო ურთიერთობა კი გაუმჯობესდება. უმჯობესია, პირადი პრობლემებით მეტად დაინტერესდეთ, მათ შორის, ჯანმრთელობით და აუცილებლობის შემთხვევაში გამოკვლევები ჩაიტაროთ და მკურნალობაც დაიწყოთ. სასიკეთო იქნება დიეტის დაცვაც.

**ქალწული** (24.08-23.09)
ფინანსური საბუთების მიმართ ყურადღება გმართებთ, რათა შეცდომები არ დაუშვათ და ვალის აღება არ მოგიწიოთ. მიღებული ინფორმაციები და უცხოეთში მიმოწერა კარგად გააანალიზეთ, რათა არავინ არ შეგაცდინოთ. შესაძლოა, ჩვევების შეცვლა მოგიწიოთ, რაც ნერვულ სტრესსა და გადაღლაში პოვებს გამოხატულებას. პირად საკითხში კი უმჯობესია, დათმოთ და რჩეულის სურვილი გაითვალისწინოთ. ეცადეთ, წონაში არ მოიმატოთ და კარგი განწყობაც შეინარჩუნოთ.

**სასწორი** (24.09-22.10)
ენერგიულობა და კომუნიკაბელურობა მოგემატებათ. გადაადგილებები, შეხვედრები და საქმიანი მიმოწერაც გახშირდება. შესაძლოა, შემოსავალმაც იმატოს. მოგზაურობა წარმატებით ჩაივლის. კარგი დროა ცოდნის მისაღებად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამავდროულად, მცირე კონფლიქტები ჯანმრთელობაზე აისახება. ფარული სასიყვარულო ურთიერთობის შემთხვევაში კი მოსალოდნელია კავშირის გაოფიციალურება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მატერიალური მდგომარეობა ჯერჯერობით არასტაბილური იქნება. ახალი საქმის დაწყება შესაძლოა, გარკვეულ პრობლემებს დაუკავშირდეს. სამაგიეროდ, ძველი საქმეები წარმატებით წარიმართება და შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. შედეგიანი იქნება ონლაინ ურთიერთობები და საქმიანობა. მოგზაურობა კი სასურველია, გადადოთ. სასიყვარულო ან საოჯახო კავშირი შესაძლოა, სხვების განხილვის საგნად იქცეს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
კარგი პერიოდია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. საოჯახო, სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობაში კი ჯობს, მოთმინება გამოავლინოთ და არ გაიბუტოთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციებიც შეამოწმეთ. მოგზაურობა შესაძლოა, პრობლემებს დაუკავშირდეს ანდა სულაც ჩაიშალოს. კარგი პერიოდია მკურნალობის დასაწყებად და გარეგნობის გასაუმჯობესებლად.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ფინანსური და მატერიალური კეთილდღეობა თქვენი მთავარი საფიქრალი გახდება. ახლობლებისა და ნათესავების პრობლემებით დაინტერესდებით, ასევე მიმდინარე მოვლენებითა და ხალხით. პირად ცხოვრებაში, შესაძლოა, ორაზროვანი სიტუაციები გახშირდეს. უჩვეულო ემოციები ჯანმრთელობას ავნებს. ამ პერიოდში ფსიქოსომატური მდგომარეობაც მეტ ყურადღებასა და დასვენებას მოითხოვს.

**მერწყული** (20.01-18.02)
ახალი პროექტების დასაწყებად მოემზადეთ და მომავალი პერიოდი დროულად დაგეგმეთ. ბევრი წვრილმანი პრობლემის მიუხედავად, მიზნის მიღწევა გაგიადვილდებათ. პროფესიულ და კარიერულ აღმასვლაში გარშემო მყოფები დაგეხმარებიან. შვილებიც ყურადღებას ითხოვენ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, სპორტსა და გამაჯანსაღებელ პრაქტიკებს მიმართეთ. მოგზაურობა გადადეთ. სამაგიეროდ, უცხოეთიდან, შესაძლოა ახალი სასიამოვნო ამბავი შეიტყოთ ან საჩუქარი მიიღოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
სასურველი ფინანსური მდგომარეობის მისაღწევად მოთმინების და პროფესიონალიზმის გამოვლენა გმართებთ. ახლობელთა რჩევები დაგეხმარებათ ოჯახური და სასიყვარულო კონფლიქტის დაძლევაში. ფიზიკურ შრომას მოერიდეთ, ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, არ გადაღალოთ გონება. კარგი პერიოდია საქმიანი მივლინებისთვის ან დასასვენებლად გასამგზავრებლად. სხვა ქალაქში დამყარებული კავშირი ხანგრძლივ მეგობრობაში ან საქმიან თანამშრომლობაში გადაიზრდება.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 3, 6, 7 და 8 ოქტომბერი

**14 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 21.55 საათზე, მზის დაბნელება, პიკი – 22.00 საათზე;**
**29 ოქტომბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 00.24 საათზე, მთვარის დაბნელება, პიკი – 00.25 საათზე.**



## რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

### 2 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.58 საათზე, ჩადის 18.42 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 20.17 საათზე, ჩადის 3 ოქტომბერს 10.25 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 19.56 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღის დანაპირები შეასრულეთ და სხვებსაც მოსთხოვეთ, შეასრულონ. სხვათა საქციელს დაუკვირდით, თქვენც ხომ იგივე შეცდომას არ უშვებთ?! კარგი დღეა მასაჟისთვის, არომათერაპიისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, უძრავი ქონების, ტანსაცმლ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, მშენებლობისთვის, სასიცოცხლო შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, კანისა და თმის კვება. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, გაბრაზება, სულსწრაფობა. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, რადგან მაღალია ინფექციებით დაავადების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 3 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.59 საათზე, ჩადის 18.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.01) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 20.52 საათზე, ჩადის 4 ოქტომბერს 11.39 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 20.15 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.19 საათიდან 09.03 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან მაცდუნებელი ძალა **ლილიტი** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში 9 თვით და პრობლემებს შექმნის მრეწველობაში, საბანკო-საფინანსო სექტორში, მედიცინაში, პედაგოგიკაში, სამეცნიერო სფეროში, ჟურნალისტიკაში, რაც დაუკავშირდება საჭირო კადრების უკმარისობას, ბიუროკრატიას, შრომის არასწორ ორგანიზებას, ექიმის შეცდომას, არასწორი დიაგნოზის დასმას, მკურნალობის გაჭიანურებასა და მედიკამენტების, აპარატურის უკმარისობას. დღეს აქტიურად დაიცავით თქვენი პოზიცია. ეცადეთ, იდეის რეალიზება მოახდინოთ. არ არის სასურველი ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, გარისკვა, სულსწრაფობა, ფარიაქი. კარგი დღეა სწავლისთვის, მოლაპარაკებებისთვის, მგზავრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, გიშერი, ჰიაცინტი, აკვამარინი, ბერილიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 4 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.00 საათზე, ჩადის 18.39 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია, ამოდის 21.34 საათზე, ჩადის 5 ოქტომბერს 12.50 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 20.44 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შეეცადეთ, გეგმები აქტიურად განახორციელოთ. შესაძლებელია, პრობლემური საკითხის მარტივად გადალახვა. შედეგიანია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, სახსრების მკურნალობა. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, სწავლისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, საქმიანი შეხვედრებისა და მიმოწერისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, საკანცელარიო ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების შეძენა, საიდუმლოს გამხელა, თმის შეჭრა-შეღებვა, რემონტის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ამაზონიტი, ჰიაცინტი, ჰელიოტროპი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

### 5 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.02 საათზე, ჩადის 18.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.39) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 22.25 საათზე, ჩადის 6 ოქტომბერს 13.53 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 21.28 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.34 საათიდან 16.39 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს კარგი დღეა ტრადიციებისთვის პატივის მისაგებად. ნუ იკამათებთ, სიმართლე გაირკვევა და იზეიმებს. ხელი შეეწყობა სიყვარულის ახსნას, ხელის თხოვნას, კონტაქტებს, მოლაპარაკებებს, სწავლას, საკომუნიკაციო აპარატურის შეძენას, საქმიან შეხვედრა-მიმოწერას, ინფორმაციის გაცვლას, ინტერვიუსა და რეკლამას, საბანკო ოპერაციებს. საღამოს კარგია შემოქმედებითობის გამოვლენა, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობა, კულტურულ-გასართობი ღონისძიების ჩატარება. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები, მკერდი, კუჭი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ზურმუხტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

### 6 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.03 საათზე, ჩადის 18.35 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 23.21 საათზე, ჩადის 7 ოქტომბერს 14.47 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 22.28 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 17.49 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტის, გონებისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში, რაც გააძლიერებს მშვიდობიანობისკენ, დიპლომატიისკენ, კომპრომისის დაშვებისკენ მიდრეკილებას, შემოქმედებითობას, ცნობისმოყვარეობას და ასევე სულსწრაფობას, მერყეობასა და უყაირათობასაც. დღეს იმატებს ფინანსური ხრიკების ალბათობა. იყავით ყურადღებით! კარგი დღეა ხერხემლის, სახსრების, კბილების, მუხლების სამკურნალოდ, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციის დასაცავად, შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ფოტოგრაფიისთვის, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშთა შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, რაუხტოპაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

### 7 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.04 საათზე, ჩადის 18.34 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 8 ოქტომბერს 15.30 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.41 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.12 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს არ აჰყვეთ ავანტიურისტთა წინადადებებს, ფინანსურ თუ სასიყვარულო ცდუნებებს. ურთიერთობას გაართულებს ხასიათცვალებადობა. იმატებს წყენა, ეჭვიანობა, გულისტკენა. ცივ საკვებსა და სასმელს ნუ მიიღებთ. კარგი დღეა კბილების, სახსრების, ხერხემლის, მუხლების სამკურნალოდ, შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სასამართლო პროცესისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, თავის დაბანა, სამკურნალო მცენარეების შეგროვება, დაპირებების გაცემა, ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, აქატი, მარჯანი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 8 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.05 საათზე, ჩადის 18.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.40) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 00.23 საათზე, ჩადის 16.06 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 23.59 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.40 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პარტნიორულ ურთიერთობას გაუფრთხილდით. ზედმეტი პატივმოყვარეობა, პრეტენზიულობა, ეგოიზმი აკონტროლეთ. საიდუმლოს გახსნის დღეა! შესაძლოა, ენერგიის კარგვამ გამოიწვიოს მოთენთილობა, ქრონიკული დაავადებების გამწვავება. გულს, ხერხემალს გაუფრთხილდით. შედეგიანი იქნება თვალების, ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, ძვირფასეულობის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საბავშვო ზეიმის მოსაწყობად. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სიმძიმეების აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.





**2 ოქტომბერი. ორშაბათი.** მოწამეთა: ტროფიმესი, საბატიოსისა და დორიმედონტისა; მოწამისა ზოსიმე მეუდაბნოისა.

✝ **3 ოქტომბერი. სამშაბათი. დიდმოწამისა ევსტათი პლაკიდასი, ცოლისა მისისა თეოპისტიასი და შვილთა მათთა აღაპისა და თეოპისტესი; ერთაწმიდობა.**

✝ **4 ოქტომბერი. ოთხშაბათი. წარგზავნა ჯვართამაღლების დღესასწაულისა.** მოციქულისა კოდრატესი, 70-თაგანისა, რომელი იყო მაღნეზიას; მღვდელმოწამეთა იპატი ეპისკოპოსისა და ანდრია ხუცისა; მღვდელმთავართა ისააკისა და მელეტისა, კვიპრელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა ევსევისა და პრისკესი; პოვნა წმიდათა ნაწილთა დიმიტრისა, როსტოველი მიტროპოლიტისა.

✝ **5 ოქტომბერი. ხუთშაბათი.** წინასწარმეტყველისა იონასი; მღვდელმოწამისა ფოკასი, სინოპიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იონა ხუცისა, წმიდათა მამათა თეოფანე კანონთგამომთქმელისა და თეოდორე გამომეტყველთა მამისა; მოწამისა ფოკა მემტილესი.

✝ **6 ოქტომბერი. პარასკევი. მუცლადღება პატიოსნისა, დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;** ღირსთა დედათა ქსანთიპასი და პოლიქსენიასი; მოწამისა ირაიდა ქალწულისა; მოწამეთა: ანდრიასი, იოანესი და ძეთა იოანესთა პეტრესი და ანტონინესი.

✝ **7 ოქტომბერი. შაბათი. დედათა შორის პირველმოწამისა, მოციქულთა სწორისა თეკლასი;** ღირსისა კოპრესი; წმიდისა ვლადისლავ სერბელისა.

✝ **8 ოქტომბერი. კვირა. არსენი დიდისა, კათალიკოსისა;** ღირსთა ეფროსინესი და მამისა მისისა პაფნუტისა, ალექსანდრიელთა; ღირსმოწამისა პაფნოტი მეგვიპტელისა და მისთანა 546-თა მოწამეთა; მიცვალება ღირსისა სერგისა, რადონეჟელი იღუმენისა, სასწაულმოქმედისა.


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93    598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



## მადლობა დინარა ლაზარაშვილს!

*დინარა ლაზარაშვილის პრაქტიკაში უამრავია შემთხვევა, როცა უმძიმესი დიაგნოზით ადამიანები განიკურნენ და დღემდე შრომისუნარიანები არიან. დაავადებას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, პაციენტმა პირველივე სეანსიდან იგრძნოს შვება.*

● *ირმა.ხ., ნ–ს დედა: — ჩემს შვილს მუხლ-სახსრის რენტგენოგრაფიით დაუდგინდა* ***დიდი წვივის ეგზოსტოზი ფართო ფუძეზე ზომით 12 მმ.*** *წანაზარდის მრავლობითობის გამო სასწრაფო იყო ქირურგიული ჩარევა. ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ, ისე მივედით* ***დინარა ლაზარაშვილთან,*** *რადგან წლების წინ სწორედ მისი სეანსების წყალობით მკერდისა და იღლიის არეში ინვაზიური კარცენომისგან განვიკურნე!* ***ნიკოს მე-3 სეანსიდან წანაზარდმა დაიწყო კლება, ხოლო მე-13 სეანსის მერე ხელით ძლივს ესინჯებოდა — რენტგენოგრაფიით 2 მმ გახდა. საბოლოოდ კი სრულიად გაქრა — ოპერაციას გადავურჩით.*** *ჩემი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდი მას!*

● *პაციენტი ქ. დ.: —* ***კატარაქტის ოპერაციის შემდეგ დავკარგე მხედველობა. მარჯვენა თვალიდან — ვეღარაფერს, მარცხენიდან კი ბუნდოვნად ვხედავდი.*** *არ დამიტოვებია თვალის არცერთი კლინიკა. თვალებმოჭუტული, ჩაცვენილი გუგებით დამოუკიდებლად ქუჩაში ვერ დავდიოდი. ამ მდგომარეობით მოვხვდი* ***ქალბატონ დინარასთან. პირველივე სეანსიდან გუგები გამიფართოვდა, 3-4 პროცედურის შემდეგ მარჯვენა თვალში სინათლე ჩამიდგა, შევძელი სილუეტების დანახვა, მარცხენიდან კი უფრო მკვეთრად,*** *ორივეს უფრო ფართოდ ვახელდი.* ***ორი კვირის მერე, მარჯვენა თვალიდან 3-4 მეტრ მანძილზე ვხედავ, მარცხენიდან კი 60-70%-ანი მხედველობა დამიბრუნდა.*** *მკურნალობის პროცესში მომეხსნა ყურებში გამუდმებული ხმაური და სმენაც აღმიდგა.*

დინარა ლაზარაშვილთან მიღება წინასწარი ჩაწერით, დარეკეთ: 555-73-24-62



## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

მას ათასობით გამოჯანმრთელებული პაციენტი ემადლიერება. ის კურნავს: ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას (სწრაფად, თანაც ლაქებისა და ნაოჭების გარეშე), თმის ბუდობრივ ცვენას, დატილიანებას, დისბაქტერიოზს, მოგაშორებთ კანზე გაჩენილ ლაქებსა და ნაწიბურებს, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქავილიც ქრება და სიწითლეც), მოგირჩენთ ნაწოლებს, დაჩირქებულ ჭრილობებს, ბუასილს, სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, მოგაშორებთ არასასიამოვნო სუნსა და ოფლიანობას ფეხებიდან, სპეციალური ნილბებით გაგისწორებთ ნაოჭებს და გაგიქრობთ ჩირქოვან გამონაყარს სახის კანზე. მისი წამლების მეშვეობით ღვიძლი, ნაღველი და მთლიანად ორგანიზმი იწმინდება ტოქსინებისა და შლაკებისგან.

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. სეკანსი; 9. ფული; 11. ვეტერანი; 12. შხარა; 13. გორენიე; 14. სუმო; 15. ბალავაძე; 16. მაინა; 17. ლენტეხი; 18. დიახ; 19. მირაბელი; 23. აკაკი; 26. ნინია; 29. ტაო; 31. მინანქარი; 32. ლარნაკი; 33. სერია; 34. რაი; 35. ამერიკაში; 40. ბროში; 41. ხალიფატი; 43. ტრავიატა; 44. ნაირიტი; 47. მარინადი; 50. კაპუცინი; 54. სამარე; 56. სინეკურა; 60. პარაკლისი; 61. ადონისი; 64. მიკრონი; 65. დონ; 66. ლატანია; 67. ნარვალი; 69. დინამიტი; 71. ია.

**შვეულად:** 1. გელათი; 2. ნევადა; 3. კანაპე; 4. სიგელი; 5. კორუნდი; 6. ნანსენი; 7. იშემია; 8. ნარიტა; 9. ფასადი; 10. ლამბადა; 19. მუმია; 20. რენიე; 21. ბანკი; 22. ლიანა; 24. კარაბინი; 25. კრაკოვი; 26. ნისია; 27. ნორდი; 28. ალაბამა; 29. ტირიფი; 30. ორიონი; 36. მერია; 37. რევიუ; 38. კრახი; 39. შხარა; 42. ლარდი; 45. რომანოვი; 46. ტერ; 48. ნოე; 49. დეუ; 50. კაპელა; 51. პირიტი; 52. ციკანი; 53. ნაირა; 54. სად; 55. ემისია; 56. სიმდი; 57. ნოკია; 58. კროლი; 59. რაინი; 62. ოდრა; 63. ინა; 68. ლი.

**ლაზარეთიკუნისიბერეტაროსინიშანიძეობამაკეტი**
**ფორტეპიანოლაკოსტავასაკაბერეტირადიანისიონი**

| სამხედრო საავადმყოფო | მსახიობი მილა ... | იტალიური პისტოლეტი | იტალიელი კომპოზიტორი | ქართველი ენათმეცნიერი | აშშ-ის ექს-პრეზიდენტი | დიდი ჯოხი |
|---|---|---|---|---|---|---|

| დარისა და ავდრის ქართული ღვთაება | მეტსახელი | მოხუცებულობა | იგივეა, რაც ამინდი | პირობითი გამოსახულება, რისამე სიმბოლო | შვილის შეძენა | რაიმე ნაკეთობის ნიმუში |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 9. „ხელის ჭუჭყი"; 11. დიდხანს ნამსახური, ომგადახდილი მებრძოლი; 12. მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე; 13. სლოვენიური საყოფაცხოვრებო ტექნიკის ფირმა; 14. იაპონური ჭიდაობის სახეობა; 15. ქართველი ექსფალავანი; 16. დაუშვი — პორტის მტვირთავების მეტყველებაში; 17. რაიონული ცენტრი ქვემო სვანეთში; 18. დასტურის სიტყვა; 19. ღოღნოშოს ჯიში; 23. მწერალი ... წერეთელი; 26. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი; 29. ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; 31. ემალი; 32. ვაზა; 33. დიდი ფილმის ნაწილი; 34. იტალიის ტელეკომპანია; 35. ს. ლეონეს ფილმი „ერთხელ ..."; 40. გულის ქინძისთავი; 41. სახელმწიფო წყობილება ფეოდალურ მუსლიმანურ ქვეყნებში (ისტ.); 43. ჯ. ვერდის ოპერა; 44. საბჭოური კაუჩუკის სავაჭრო დასახელება; 47. მწნილი; 50. ერთგვარი ამერიკული მაიმუნი; 54. საფლავი; 56. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი ადგილი; 60. საეკლესიო მღვდელმსახურება, სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა; 61. აფროდიტეს სატრფო; 64. მეტრის მემილიონედი; 65. მიმართვა მამაკაცისადმი ესპანეთში; 66. ოთახის დეკორატიული პალმა; 67. ზღვის მარტორქა; 69. ასაფეთქებელი ნივთიერება; 70. ჩვენებითი ნაწილაკი; 71. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა;

შვეულად: 1. ტაძარი ქუთაისთან; 2. აშშ-ის შტატი; 3. პატარა დივანი; 4. რაიმე დამსახურების აღსანიშნავად გაცემული საბუთი; 5. ძალიან მაგარი მინერალი; 6. ნორვეგიელი მოგზაური; 7. ადგილობრივი სისხლნაკლებობა; 8. აეროპორტი ტოკიოში; 9. შენობის წინა მხარე; 10. ბრაზილიური ცეკვა; 19. დაბალზამებული გვამი; 20. ფრანგი პოეტი; 21. საკრედიტო დაწესებულება; 22. მსახიობი ... ასათიანი; 24. მოკლეყურიანი მსუბუქი თოფი; 25. ქალაქი პოლონეთში; 26. ვალი; 27. ჩრდილოეთი; 28. აშშ-ის შტატი; 29. ერთგვარი რბილმერქნიანი ხე; 30. თანავარსკვლავედი ცის ეკვატორულ ნაწილში; 36. მუნიციპალიტეტი; 37. ერთგვარი საესტრადო წარმოდგენა; 38. სრული მარცხი; 39. ჭესი; 42. გადამდნარი ღორის ქონი; 45. რა გვარია სოსოიას რუსი (ლიტ.); 46. სომხური გვარების თავსართი; 48. ბიბლიური პერსონაჟი; 49. კორეული ავტომობილი; 50. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 51. მინერალი, გოგირდის ალმადანი; 52. თხის ნაშიერი; 53. ნიგერიული ფულის ერთეული; 54. რა ადგილას? 55. ქაღალდის ფულის ნიშნების გამოშვება; 56. ოსური ცეკვა; 57. ფინური ტელეფონების ფირმა; 58. ცურვის სახეობა; 59. მდინარე გერმანიაში; 62. მდინარე პოლონეთში; 63. თმის ბუნებრივი საღებავი; 68. ამერიკელი მწერალი ქალი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| კლავიშებიანი საკრავი | ფრანგი დიზაინერი | პატარა მწვანე ბაყაყი | რბილი უფარფლო ქუდი | სივრცითი კუთხის საზომი ერთეული | ტაძარი თბილისში |
|---|---|---|---|---|---|

| ხმამაღლა (მუს.) | პიანინოს სახეობა | ეროვნული მოძრაობის ლიდერი მერაბ ... | ქსოვილი კაბისათვის | საზოგადოებრივი საპირფარეშო | ქალაქი თურქეთში | რაიონული ცენტრი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 2 — 8 ოქტომბერი №43 (1507)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**




THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol